



# OLE

მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან  
ISSN 1512-3995

ოლე — ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა  
*სულხან საბა*

ოლე — ახომი საჩრდილობლად დატოვებული  
ხე  
*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*

ოლე — გიორგი ლეონიძის პოეტური შედეგრი

## მთავარი რედაქტორი აკაკი დაუშვილი

რედაქტორები:  
ფარნაოზ რაინაული  
ნუნუ ძამუკაშვილი

მისამართი: 2200 თელავი  
ერეკლე II-ის გამზირი №6  
III სართული  
მობ: 555 46 44 29  
მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთი“  
მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა  
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ  
ელექტრონული ფოსტით  
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალის წინა ნომრების შეძენა  
შეგიძლიათ რედაქციაში

ჟურნალ „ოლეს“ ეს ნომერი გამოიცა  
თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიცი-  
პალიტეტის (მერი ბატონი **პლატონ კალმა-  
ხელიძე**) და თვითმმართველი თემი თელავის  
მუნიციპალიტეტის (გამგებელი ბატონი **ალე-  
ქსანდრე შათირიშვილი**) მხარდაჭერით.



მარტი, ივნისი, სექტემბერი, დეკემბერი №1 (24), 2015



გამოდის სამ თვეში ერთხელ



„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი



## შინაარსი

### მწერლის სიტყვა

**2. ფარნაოზ რაინაული.** სიტყვა  
საქართველოს მწერალთა კავშირის XXIV  
ყრილობაზე

### მხატვრული ლიტერატურა

- 5. ფარნაოზ რაინაული.** ლექსები
- 11. ელდარ ჭიჭიაშვილი.** ლექსები
- 14. აღნაზი დათუკიშვილი.** ლექსები
- 17. გივი ჩიღვინაძე.** მოთხრობები
- 22. აკაკი ბიქინაშვილი.** ლექსები
- 24. ჯუმბარ უთრუთაშვილი.** ლექსები
- 26. თინათინ მრალაშვილი.** ლექსები
- 28. ნათია კამუკაშვილი.** ცოცხო, ცოცხო  
გაფრინდი! ზღაპარი
- 30. ცისანა თვალაშვილი.** ლექსები
- 32. ლილა თარალაშვილი.** ლექსები
- 34. ნუნუ კამუკაშვილი.** საბავშვო  
ლექსები

### დოკუმენტური პროზა

**36. ნუზარ ვანიშვილი.** არქეოლოგიური  
მოგზაურობა ტაოში

### პორტრეტი

**40. ნანული კუპატაძე.** დაქალი

### თარგმანი

**42. ჯულია დონალდსონი.** პრინცესა  
მირორ-ბელი და მფრინავი ცხენი

### გოგლა

**45. გიორგი ჯავახიშვილი.** ქართული  
სიტყვის მოკალმასე


### ნერილები

- 50. როინ ჭიკაძე.** ანა კალანდაძის პოეზია  
— მზის საგალობელი
- 56. ციციწო მარკოზაშვილი.** ოპერა  
„დაისი“ თელავში
- 58. ელისო ჭიჭიაშვილი.** პოეტური  
კოსმოგონია

ჟურნალის გარეკანზე

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილში“





**ფარნაოზ რაინაული**



**სიტყვა საქართველოს მწერალთა კავშირის XXIV ყრილობაზე  
(15 ივნისი, 2014 წელი)**

ჩვენო, ძვირფასო კალმოსნებო, ჩვენო ძვირფასო კოლეგებო, გულმხურვალედ მოგესალმებით მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ სახელით, გისურვებთ სიმხნეს, სიმტკიცესა და ნაყოფიერ შემოქმედებით საყრილობო მუშაობას – ჩვენი ერის, ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

დღეს, საქართველოს მწერალთა კავშირის XXIII ყრილობიდან, რომელიც 2009 წლის 15 ივნისს გაიმართა, 5 წელია გასული. თითოეული ჩვენგანი, მწერალთა ახალ ყრილობაზე, გარკვეული ანგარიშით მოვედით: რა უნდა გაგვეკეთებინა საანგარიშო პერიოდში, რა გავაკეთეთ, რა ვერ გავაკეთეთ და რატომ ვერ გავაკეთეთ?.. როგორ უნდა გამოვასწოროთ – ის, ხარვეზები და ნაკლოვანებები, რაც გავაჩნდა სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო?..

საანგარიშო პერიოდი, – ყრილობიდან ყრილობამდე, ჩვენთვის იყო გოლგოთა და ჯოჯოხეთის კალო. ეგრეთ წოდებული „ნაციონალური ურდოს“ ადგილობრივი მესვეურნი ცინიკურად გვეუბნებოდნენ: თქვენ რომ დაგაფინანსოთ, არა გვაქვს საშუალება, რადგან ვილაცას დასამარხი ფული არ აქვს, ვილაცას – სამკურნალო, ვილაცას ჭერი აქვს ჩამონგრეული და შესაკეთებელიო(!)

თურმე, ჩვენი ჟურნალი რომ გამოცემულიყო, კახეთში ველარც ავადმყოფს განკურნავდნენ, ველარც ჩამონგრეულ ჭერს შეაკეთებდნენ და ველარც მკვდარს დამარხავდნენ, – რომ იტყვიან, სინდისზე გვაგებდნენ, მაშინ, როცა – მათი ხშირი ქეიფებიდან, მარტო, ერთი ქეიფის, პურმარილის ფულით, მთელი წლით დაფინანსდებოდა ჟურნალი „ოლე“. ვმუშაობთ უაღრესად შემცირებული შტატებით, შეკვეცილი ფინანსებითა და სიმბოლური ხელფასებით, ამას თუ ხელფასები ჰქვია. ამ ფონზე, დღესაც, გამოაგნებელია: ახალი ხელისუფლების მოხელეთა ხელფასები და პრემიები, დეპუტატების სახელფასო ფუფუნებაც.

არა მგონია, ისეთი ფინანსური პრობლემები ჰქონდეს საქართველოში, რომელიმე მწერალთა ორგანიზაციას, როგორც მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“.

ჟურნალი „ოლე“ კვარტალურია. დაარსებიდან, – 10 წლის მანძილზე უნდა გამოცემულიყო 40 ნომერი, გამოიცა მხოლოდ – 23, აქედან 3 ნომერი ქველმოქმედებით. თითქმის, – უხელფასოდ ვმუშაობთ, – წელიწადში, ხან 6 თვის ხელფასს ვიღებთ, ხან – მხოლოდ სამი თვის, ხან კი საერთოდ არც ერთ თეთრს. ასე იყო – 2004 წელს, 2007 წელს და 2009 წელს. ათ

წელიწადში 4 წლის ხელფასი თუ გვექნება მიღებული. ეს მაშინ, როცა, გასული 10 წლის მანძილზე კულტურის სამინისტრომ ორჯერ გამოაცხადა რესპუბლიკური კონკურსი, – 2005 და 2008 წელს და, ორივეჯერ ჟურნალმა „ოლე“ გაიმარჯვა. მაგრამ... კონსტანტინე არსუკიძისა არ იყოს: „დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, კარგი რატომ ავიგიაო“...

დღემდე, მაინც, რომ იტყვიან, რწმენით, იმედითა და ოცნებით მოვედით, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი? არც წიგნების გამოცემითა ვართ განებივრებული, – წინა ორ ყრილობაზე დავაყენე საკითხი, მწერალთა ჩვენი ასოციაციის წევრებიდან, 5 ავტორის თითო წიგნის გამოცემის შესახებ და, სამწუხაროა, არც ერთი ყრილობის შემდეგ, არავის გახსენებია ჩვენი სამართლიანი თხოვნა და მოთხოვნა. წინადადებას ვაყენებ, რომ რადიკალურად შეიცვალოს მწერალთა სათაო ხელმძღვანელობის დამოკიდებულება სამხარეო მწერალთა ორგანიზაციებისადმი.

ქვეყანაში, საერთოდ, რატომღაც, იგნორირებულია მწერლის განუმეორებელი ღვაწლი, მივინყებულია მისი უზენაესი როლიცა და დამსახურებაც...

მიუხედავად, ზემდგომი სახელისუფლო ორგანოების ფანტასტიკური უყურადღებობისა, მაინც, იობის მოთმენით, ვცდილობთ მაქსიმალური ყურადღება დავუთმოთ ახალბედა მწერლების შემოქმედებით დაფრთიანებასა და დაოსტატებას. საანგარიშო პერიოდში ვატარებდით კონკურსებს დევიზით: „ჩვენ მოვივართ“ და „პოეტების ახალი თაობა“, კონკურსში გამარჯვებულებს, მათი ნაწარმოებების დონის მიხედვით ვაჯილდოვებდით: ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს დიპლომებით, აგრეთვე სიგელებით, ხოლო მათს ნაკალმარს ადგილს ვუთმობდით ჟურნალის ფურცლებზე. ამის ნათელი, საილუსტრაციო, მაგალითია, თუნდაც, მიმდინარე წელი. ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა 2014 წელს ჟურნალის, მხოლოდ, ერთი, მარტის ნომერი დააფინანსა და ის, ერთიც – მთლიანად, ახალგაზრდა ავტორებს დავუთმეთ.

სასიხარულო ფაქტია, რომ ჭეშმარიტად ნიჭიერი თაობა მოდის, მაგრამ მეტი თანადგომა სჭირდება მათ კრებულების გამოსაცემად, რისთვისაც ჩვენ ფინანსები არ გავაჩნია, ხოლო, ვისაც ფინანსები აქვს – მათ არა აქვთ გული და სიყვარული საქართველოს ხვალისდელი დღისადმი.

რაც, სისხლი დაღვრილა პლანეტაზე, სიძულ-



ვილითა და ძალმომრეობით, მტრობით დაღვრილა. სიყვარული და სიკეთეა – სიდიადე, კაცობრიობის გადამრჩენელი, მწერალი კი: მოძღვართ მოძღვარია სიკეთისა და სიყვარულისა.

ნებისმიერმა სახელმწიფო მოხელემ მიპასუხოს: რა დაგვრჩა თავმოსაწონები და ხელიხელსაგომანე-ბელი კაცობრიობის ისტორიიდან? – ეს ხომ, როგორც ანბანური ჭეშმარიტება, ყველა ჭკუაზე მყოფელმა იცის?

ჩვენ რატომ უნდა გვჭირდებოდეს, თუნდაც, ნურსულთან ნაზარბაევის სიტყვების მოშველიება, რომ „ერის ერობის კოდი კულტურაში დევს“... ყველა, ნათლად მოაზროვნე ადამიანმა იცის, რომ კულტურა არის ერის ერობის ქვაკუთხედი, – ხოლო, მწერლობა კულტურის მწვერვალია და, უპირველეს ყოვლისა, მწერლობამ გამოიყვანა ადამიანი გამოქვაბულიდან.

კაცობრიობის ისტორიიდანვე გვახსოვს, დიდი დამპყრობლებიც კი, როგორი რუღუნებით ეპყრობოდნენ კულტურას, როგორ უყრიდნენ თავს კულტურის დიდოსტატებს, თავიანთი ქვეყნების ცენტრებში, ხელოვნების ასაღორძინებლად, ხოლო, ბარბაროსები როგორ ანადგურებდნენ და ნაცარტუტას ადენდნენ...

გენიალური თომას მანი ამბობს: „ჭეშმარიტი მწერალი – სიმართლის, სიკეთისა და პატიოსნების სიმბოლოაო.“

რატომ ვერ დაიჭირა თავი ალექსანდრე მაკედონელის იმპერიამ? არაბების, მონღოლების, სპარსულმა ექსპანსიამ, ბიზანტიის იმპერიამ, ნაპოლეონის, ჰიტლერისა და სოციალისტურმა იმპერიამ? ეს იყო ძალმომრეობაზე აშენებული ხუხულები, – მართალია, – იყო ძალა, მაგრამ არ იყო მორალი, არ იყო სიმართლე, სინდისი და პატიოსნება, ღირსება.

რა დარჩა დღეს ღირებული კაცობრიობის ისტორიიდან? უპირველეს, კულტურა... კულტურა გახლავთ მორალის განმსაზღვრელი. კულტურით უახლოვდება ადამიანი ღმერთს, ანტიკულტურით კი სატანის გზას მისდევს.

ჭეშმარიტი მწერალი მორალის განსახიერებაა, ხოლო მისი შემოქმედება კაცობრიობის სულის ემბაზი. ამორალური, ვერასოდეს, მორალურ ღირებულებას ვერ შექმნის...

„რაც მტრობას დაუნგრევია

სიყვარულს უშენებიაო“

ამბობს ხალხი და მტრობას მორალი არ გააჩნია, სიყვარულია მორალი.

ჩვენი ერის მამა და მოძღვარი, დიდი ილია ამბობს:

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, –

მინიერი, ზეციერსა,

ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,

რომ წარუძღვე წინა ერსა“...

სატანისტებს სურთ მწერლობას სწორედ, ეს, – ერის წინამძღოლის ფუნქცია წაართვან და პირიქით: პანდორას ყუთის გამხსნელის როლი დააკისრონ... ზოგჯერ, როგორც ჩანს, აღწევენ კიდეც მიზანს. ევროპიზაცია, თუ, დღემდე, ცივილიზაციისა და კულტურის სიმბოლოდაც კი აღიქმებოდა, დღეს, მათი, ცალკეული ზნეობრივი მხარე – ამაზრუნეია, რომელიც ზოგმა, ვაიქართველმა და ვაიკალმოსანმა აიტაცა, რაც, ეგზომ, უცხოა ქართული სულისა და ქართული ტრადიციისათვის და მათ მაგიერ, სირცხვილით ვინვით... ამ ქართველ პორნოსანთა სახელები კი საყოველთაო ზიზღის საგანი გახდა. ეს ჩვენი უდიდესი ტკივილია. მწერალი ხომ თავისი არსით

მორალისტია და რაოდენ სამწუხაროა, რომ გონებაგადაბრუნებულებს სურთ – მწერლობა ამორალიზმად იქცეს... ეს, – მართლაც, გამაოგნებელია...

XXI საუკუნე, მსოფლიომ, ზეიმითა და თავისებური ეიფორიით დაიწყო, მაგრამ... განვლილმა წლებმა დაადასტურა, რომ ეს, მხოლოდ, წარმოსახვითი ილუზია იყო... უკეთურობისა და უარესობისკენ მივდივართ... ველარ ჭამა პური სამართალმა, ველარ დალაგდა თეთრი და შავი ცალ-ცალკე...

მახსოვს, 30, თუ, ცოტა მეტი წლის წინათ, იმ დროისთვის, უზარმაზარმა, მილიარდიანმა ქვეყანამ – ჩინეთმა, როცა მართვის მოდერნიზაცია დაიწყო, დაახლოებით, 10 წელი მოანდომა წელში მტკიცედ გამართულიყო, ჩვენ კი, 5 მილიონიან ქვეყანას რა მოგვდის? 20 წელზე მეტია, რაც საბჭოური მართვის სისტემა დაინგრა და, ვითომ, დემოკრატის ვაშენებთ, მაგრამ... მონოკრატია გამოგვდის...

პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კატაკლიზმები პირდაპირ ახდენს გავლენას ჩვენს შემოქმედებით საქმიანობაზეც. განსაკუთრებით ყირამალა დააყენა გლობალიზაციამ ბევრი რამ...

ყოველგვარი, მიხვევ-მოხვევის გარეშე რომ ვთქვათ, XXI საუკუნეში საბედისწერო ჟამი უდგას საქართველოს. ლამის, განახევრდა ტერიტორიითაც და მოსახლეობითაც. 5 მილიონიდან, 3 მილიონამდე თუ ვიქნებით, დანარჩენი, თითქმის, მსოფლიოშია გაფანტული. ამას წინათ, ალვანში გახლდით და საგანგამო ამბავი მითხრეს, – სოფლის ბევრ უბანში კაცის ჭაჭანება აღარ არის, ბინები გამოკეტილია და ევროპაზე, აშშ-ზე და კანადაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ, ზოგი ავსტრალიამდე, ახალზელანდიამდე და ფილიპინების კუნძულებამდეა წასული, ხოლო, ესპანეთში იმხელა დიასპორა ყოფილა, თურმე, რომ იუმორით, თუშპანეთს ეძახიან...

ძალიან დამაფიქრებელია, მომავალში, ევროპასთან უფიზო რეჟიმის შემოღებაც. მშვიერ-ტიტველი ქართველობა, ალბათ, მთელ ევროპას მოედება და... საქართველო დარჩება, როგორც – უპატრონო ეკლესია...

ამ კუთხით, ძალიან არის საჭირო, როგორც: ტირტეოსის ჩანგი, მწერლის კალამი და მწერლის თილისმიანი სიტყვა. დღეს, სახარებასავით ჟღერს ჩვენი სასიქადულო მგოსნის, რაფიელ ერისთავის შედევი: „სამშობლო ხევსურისა“.

რა ვქნათ? შევქმნათ? მხატვრული ნაწარმოებები: ბავშვებისათვის, – როგორ დაინეროს სახელმძღვანელოები: სექსის სწავლებაზე, ან და ერთსქესიანთა ქორწინებაზე, ჰომოსექსუალიზმზე; კაცობრიობა დღეს, ზნეობრივი დილემის წინაშე დგას, – როგორც არასდროს.

რა ქნან მხატვრული სიტყვის დიდოსტატებმა ცხოვრების დინებას მიჰყვენ?

აი, აქ იწყება, სწორედ, მწერლის უზენაესი მოვალეობა და უდიდესი ვალი: უფლისა და ხალხის მსახურებისა.

ატომურ იარაღზე უფრო საშიშია მორალური გახრწანა... მსოფლიო გლობალიზმს ვერ ავცდებით, რომელსაც ორი მხარე აქვს, ტექნიკურ-მეცნიერულ-ეკონომიკურ-კულტურული და ამორალურიც...

ჩვენ, XXI საუკუნეში, ჩინეთის კედლებს ვერ შემოვავლებთ საქართველოს, მაგრამ ასეთი დიდი გამოცდის წინაშე საქართველო არ მდგარა... ამორალურ წარღვნას როგორ გადავურჩებით, რომელიც ერის, ეროვნების გადაგვარების, გახრწნის, სულიერი განადგურებისა და ფიზიკური მოსპო-



ბის სანყისია, – მსოფლიო რუკიდან მცირე ერების გაქრობის სანყისია. აი, ეს არის უწინარესი ამოცანა და მზაკვრული მიზანი სატანური ძალებისა.

ასე მგონია, ძალმომრეობით, ამ ტენდენციითა და ამორალიზმით კაცობრიობა აპოკალიფსის წინაშე დგას და ისმება კითხვა: რა არის გამოსავალი?.. მე მგონი, ამ, გორდიას კვანძის გახსნას დელფოსისა და მემფისის მისნები არ სჭირდება. ახლა, უფრო, ათმაგდება ყველა სალად მოაზროვნე ადამიანის პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით კი – მწერლის, „ადამიანთა სულის ინჟინრის“...

როცა, ყველაზე მეტად არის საჭირო ჩვენი ერთიანობა, ერთად დგომა, სიმტკიცე და შეუვალობა, ნუთუ, ახლა ვახარებთ მტრებს ლათინური სენტენციის ხორცშესხმით: „დივიდე ეტ იმპერა“, – დაყავი, დაანაწილე და იბატონე“. არასოდეს არ უნდა დავავიწყდეს ქართული ხალხური სიბრძნე: რომ – „ძალა – ერთობაშია“...

ამ ჯოჯოხეთში ყველას გვაქვს პირადი ტკივილი, მაგრამ... პირადი ტკივილი რა სათქმელია, როცა, ლამის ქვეყანა ილუპება დაღესის დოქტრინით...

როგორ ვუშველოთ ერს, ხალხს, ქვეყანას, – რომ

არ წაიშალოს პლანეტიდან: დიდი ფარნავაზის, ვახტანგის, დავითის, თამარის, შოთას, ილიას, ვაჟას მოდგმა... აი, უპირველესი, სასიცოცხლო საზრუნავი... ქართველ მწერალთა ფიქრისა და საქმის უზენაესი ორიენტირი.

ისტორიულად, ერის მოძღვრის ფუნქცია დაეკისრა ქართულ მწერლობას და... რაოდენ გულსატკენია – დღევანდელ კორეასავით და გუშინდელ გერმანიასავით, ორად გახლეჩილი, საქართველოს მწერალთა კავშირის ერთიანი ორგანიზმი. ეს მაშინ, როცა, სწორედ, ქართულმა მწერლობამ უნდა აჩვენოს ქვეყანას სოლიდარობის: ნათელი, მტკიცე და ბრძნული მაგალითი.

რწმენასა და იმედს გამოვთქვამ, რომ: არა მარტო, ქართული რეალობიდან, არამედ, მთლიანი მსოფლიო პოლიტიკიდან გამომდინარე, სწორ ანალიზს გააკეთებენ ქართველი მწერლები და ერთიანი, მტკიცე მონოლითურობით დაუპირისპირდებიან: ყოველგვარ ანტისაზოგადოებრივ, ანტიპოლიტიკურ, ანტიზნეობრივ, ანტიმორალურ, ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას, – პირადი ღირსებითა და შემოქმედებითი ძალმოსილებით.





ფარნაოზ რაინაული



საით მივდივართ?!..

(ჰიპერმეტრიული ვერლიბრი)

*ჩვენისთანა ბედნიერი  
განა არის, სადმე, ერი?  
ილია*

მიქრის,  
მიილტვის  
დროის ეტლი, –  
რაშებით  
ნელთა,  
და...  
ველარ განვვლეთ  
ჯოჯოხეთი  
უდაბნოეთის,  
ჯვარზე გაკრული  
ივერია  
ვერ ჩამოვხსენით,  
ნატანჯ-ნაგვემი,  
ცრემლდათხეულ –  
სისხლდათხეული...

ქვის იარაღით,  
ქვის ცულებით,  
ქვის შურდულებით  
ვებრძვით –  
შიმშილის დინოზავრებს,  
შიმშილ-მამონტებს.  
რამდენი –  
შოთა,  
საბა,  
დავით,  
ტატო,  
ილია, –  
უსამართლობის  
ღვარძლის,  
ქიშპის  
ურჩხულმა ჩანთქა?!.

სტომაქ-მადღარნი  
ზე – ასულან, –  
ტოტებზე ხეთა,  
მინაზე,  
ნეტავ,  
თუ ჩამოვლენ,  
უფალო,  
როდის?..

ისინი  
მაინც,  
ვერ ხედავენ  
თვით, – ტელესკოპით:  
თავისი მუცლის,  
ფულის კერპის,  
და... ცხვირის  
გარდა...

და... კვენესის მიწა, –  
მოფარფატე ფიქრი  
ცახცახებს,  
ინვის სიტყვა და...  
გრუხუნია  
განცდის ზვავების,  
ყორანი დაქრის –  
ავთა,  
შავთა  
ამბების მაცნე,  
ელვა-ტკრციალი,  
ჭექა-ზარი  
გვაცურებს მეხთა!..

პირი გამშრალა,  
შემოგვადნა  
ძონძი სხეულზე,  
ნაღვერდალივით  
ცხელ ქვიშაზე  
ფეხნი დამსკდარან...  
მივათრევთ სხეულს  
მძიმე სულით  
და მივლასლასებთ,  
ღმერთო, –  
ციერო,  
რა შორია  
აღთქმულ ქვეყნამდე!!!..

გახმა ზურმუხტი  
თვალთა ნამით, –  
უმდულარესით,  
დაიხმო სმენა, –  
ამოხვინჩვით,  
მოთქმა-გოდებით,  
ლოდიც კი დადნა  
სათქმელი და  
უთქმელი დარდით,  
სადღაა ენა, –







ესოდენი  
ჭირის სათქმელად?!..

ოხრავს მამული  
ნაშუბარი,  
ნაჭარ-ნაკაფი,  
ნახანჯლ-ნახმლევი,  
ნაისრალი,  
ნაიარევი,  
ნარბევ-ნაცემი,  
ნატყვიარი,  
ნაგლეჯ-ნანენი,  
ნაშენ-ნაშალი,  
ნატუსალი  
და ნამუსრალი...

შეგინებული,  
შერყვნილი და  
შეჩვენებული,  
თავში ჩარტყმული,  
ფეხთ სანმენდად  
ძირს დაგდებული,  
ლამის დამხრჩვალ  
კრედიტ-ვალით, –  
უზარმაზარით,  
ჩარჩთა,  
თაღლითთა –  
უთავბოლო,  
დუქან-ბაზარი...

ყოფნის  
არსობის –  
რა სიცხადე,  
რა სიმკვეთრეა, –  
მაძღარ-მშიერთა  
ორი კასტა, –  
ორი პოლუსი,  
ნელთა აღრიცხვას  
ნუთუ, ვინყებთ  
ისევ, თავიდან?! –  
დროს, კვლავ,  
ვაბრუნებთ –  
პლებების,  
პატრიციების...

ხვეჭის,  
ტაცების,  
დამცირების  
საასპარეზო,  
უსასოობის  
„უ“ ათასის  
აპოთეოზი,  
„გულმონყალეთა“  
თვალთმაქცური  
ბადე და...  
ყულფი,  
კანონთა –  
ოდენ,  
სასაფლაო  
და პანთეონი...

პირქვე დაემხო, –  
აღმა მსრბოლი  
სახელ-დიდება,  
დემოკრატიის –

შირმით,  
ნიღბით,  
თამაშ-თამაშით,  
ჟამი დამდგარა  
უჟამობის, –  
ყოფნა-არყოფნის,  
გაუტანლობის,  
გაორების, –  
გაუსაძლისი...

ჩვენ რომ  
დავიცვათ –  
ჯვარი ვაზის, –  
რწმენა,  
ღირსება,  
სულის ტაძარი,  
ნათლის სვეტი...  
სად გვყავს  
ლაშქარი?!  
თუმც გვყავს  
არმია –  
უპოვართა  
და დავრდომილთა,  
ქურდთა,  
მეძავთა,  
მათხოვართა  
და ნარკომანთა...

სად არის: –  
სითბო – გაყინულთა,  
პური – მშიერთა,  
წყალი – მწყურვალთა  
და... წამალი –  
მიზნით სნეულთა?!  
სად არის:  
წყარო საესავის  
და სათნოების, –  
ღველფი ნუგეშის,  
სულთა  
ჩვენთა  
გადასარჩენად?!

შენი შვილია,  
პრეზიდენტო,  
ეგ მათხოვარიც,  
ქურდიც,  
მეძავიც  
და... დაღლილიც  
ფულების  
თვლაში...  
ნუთუ, შენც –  
ლამე არა გძინავს  
დუხჭირი  
ფიქრით,  
მჭმუნვარე განცდით,  
ტკივილებით  
და... მშობლის  
ხვედრით?!

შენც –  
მათებრ გცივა?!  
მათებრ გშია?!  
მათებრ გწყურია?!  
და...  
მათებრ, კენესის



მაგ მკერდის ქვეშ –  
გულიც და  
სულიც?!.  
მაინც, –  
სად არის  
ხსნა – სიმართლის,  
სინდის-ნამუსის,  
ხსნა –  
სიანკარის  
და...  
საერთოდ,  
სირცხვილ-სიცოცხლის?!

პასუხს მოითხოვს,  
პასუხს, –  
მკაცრი,  
დრო – ხვალინდელი,  
დრო – უნრფელესი,  
დრო – თემიდა,  
დრო – მზის სასწორი...  
ჩვენ დავითხარეთ  
თვალები და...  
ვჩოჩავთ –  
ცეცებით,  
უდაბნოეთში –  
გზა  
სად არის?!.  
საით მივდივართ???!.

31. XII. 2002 – 5. I. 2004

### იმუნიტეტი...

ღირსება –  
ათში,  
ერთს თუ ამშვენებს,  
ვაშენებთ  
კოშკებს  
ჩალის სართულთა,  
ვაშენებთ?..  
ისევ ვანგრევთ, –  
ნაშენებს,  
ცხოვრება,  
ასე,  
უფრო გართულდა...

გაძლა,  
გაბევრდა, –  
ირგვლივ,  
მგლის ფარა,  
თუმც,  
ქათმებივით,  
გააქვთ კაკანი,  
ბევრს –  
პარლამენტშიც,  
იცავს,  
იფარავს, –  
იმუნიტეტის  
ჯავშან-ბაკანი...

სადღაა ცოტნე,  
ანდა – ალუდა?! –  
სკამფულა

თავის ბუხარს  
აჩალებს,  
იმუნიტეტი  
ალალს არ უნდა,  
იმუნიტეტი  
უნდათ ყაჩალებს...

27. II. 2003

### ჩემო წაო, ჩემო მინავ...

ჩემო ცაო,  
ჩემო მინავ,  
აქარგულო, –  
ჩაქარგულო, –  
ლეგენდებით  
დახუნძლულო,  
სულით –  
რვალო,  
კაკალგულო...

მიხატულო,  
მოხატულო,  
ყვავილებში  
ჩაკარგულო,  
მტერო, –  
შურით  
გახეთქილო,  
დაბოლმილო,  
გათანგულო...

სალალობო,  
სანავარდო,  
მზეო, –  
გულში  
გადარგულო...  
სიყვარულის  
საგანძურო,  
და... სიკვდილო,  
დაკარგულო...

6. V. 2014

### ერისიონი, – ანუ – საქართველოს საგალოზნელი

*ვუძღვნი: ანსამბლ „ერისიონს“, მის  
ხელმძღვანელს ჯემალ ჭკუასელს,  
ამ ანსამბლის მთავარ დამფინანსებელს,  
ამერიკელ (სიეტლიდან) ჯიმ ლოსა და  
კლიპის რეჟისორს ფრანგ პიერ ვერგნერს.*

ისე ანთია  
მზეი, –  
სიმღერის,  
ცეცხლით დაინვავეს  
ნამნამს აულიც,  
თუ –  
ივერიის  
გნამს უკვდავება,  
მუხლის





მოდრეკით  
ამ წვას აუვლი?..  
ცად დაფრინავენ  
ანგელოსები,  
ეს, – რა ხმებია,  
რა სასწაული?!

მე ვხედავ:  
გახსნილ  
ქართულ ქარაგმას,  
ვაზის ფესვებს და  
მაჯას ჯანიერს,  
ღმერთებს, –  
ტაიჭთა  
ფლოქვთა თქარუნით,  
მუდამ  
ხმლის პირზე  
მავალ ამ იერთ,  
ჩაკრულოს,  
ლილეს,  
და ოდოიას,  
კრიმანჭულსა და  
მრავალჟამიერს!..

ეს, – გელათია,  
და ნიკორწმინდა,  
ხატი ყინწვისის,  
ფრთები! –  
ღმერთმანი,  
ქორო ვარძიის  
მითოს-ზღაპრული, –  
სართულ-სართული  
ქვაბნი, – დევთანი;  
ცერზე შემდგარი  
ციხე-კოშკები, –  
საუკუნეთა  
ჯავშან-ბექთართი!..

ეს ძალა არის –  
საბახტრიონე,  
საასპინძე და  
რწმენის ციონი\*  
სვეტიცხოველის  
სველი ჩუქურთმა,  
ზარზმა,  
ხახული,  
ძველი სიონი!..  
ეს არის –  
კლდეზე  
თერგის დგაფუნი  
ზვირთი – არაგვის  
ჩქერი – რიონის!..

ცეკვა –  
ცერულით,  
ელვა-ხანჯლურით, –  
დაქრიან  
როგორც –  
ველის სიონი,  
ცეკვავეს დიდგორი,  
ცეკვავეს შამქორი,  
მღერის ჯვარი და  
მღერის სიონი,  
სცენის ტორნადო  
და ტაიფუნი, –  
ერის დიდება,  
ერისიონი!..

19-26. I. 2002

რა მინდა გითხრათ,  
სტრიქონებით, –  
უგულწრფელესით?  
ვინა ქმნის  
ამინდს –  
ტახტ-სკამოსან  
ალკაპონეთა?..  
წერდა კანონებს  
ჰამურაბიც,\* –  
უუძველესი,  
მაგრამ –  
ის, კანონს,  
უმტკიცესად  
აკანონებდა!..

წინ –  
გზას ვერ ვხედავ  
და... წარსულშიც  
არ დავბრუნდებით,  
დემოკრატიით –  
თუმც,  
შევნიღბეთ  
კონსტიტუცია,  
დღეს –  
ვის სჭირდება  
მკვდარ კანონთა  
აბლაბუდები? –  
კონსტიტუცია  
ვინ აქცია  
პროსტიტუციად?!..

დამდგარი წყალიც  
ყროლდებაო, –  
გამიგონია,  
ბაყაყთა გუბეს  
მქუხარება  
უკვირს ლელესი?! –  
ჩვენთვის –  
ნიმუში,  
ნუთუ,  
ისევ ბაბილონია?! –  
წესრიგი გახლავთ –  
მარად,  
ყველგან,  
უპირველესი!..

3. II. 2003

**\*ჰამურაბი** – ძველი ბაბილონის მეფე. კაცობრი-  
ობის ისტორიაში პირველმა შეადგინა კანონთა  
კრებული. კრებული მისივე სიტყვებით იწყე-  
ბა: „ღმერთისაგან მოწოდებულია, რომ ქვეყ-  
ნად ბრწყინავდეს სამართლიანობა, – მოისპონ  
კანონდამრღვევნი და ბოროტმოქმედნი, რათა  
ძლიერმა არ შეავინროვოს სუსტი“ ...

\*ციონი – უკიდევანო სივრცე – გალაქტიკა.



## შემოგვევლე, იმერეთო!!!

*ვუძღვნი ჩემს იმერელ  
შვილიშვილებს: პაატა,  
ავთანდილ და ნათელა  
შალამბერიძეებს.*

ნიფის გვირაბს  
გავცდი...  
ირგვლივ –  
მზე შლის  
სხივთა გვირილას...  
სიყვარულით  
მოხვანცალებს:  
ეს, –  
ყვინჩილა  
ყვირილა...

ემღერებათ  
ნაკადულებს, –  
ბანცალებენ  
მთვრალები...  
მომანათა  
იმერეთმა –  
სერაფიმის  
თვალები...

აქ, –  
უმაღვე გადაიყრის:  
ნისლში ვინაც  
ძირულა...  
ტაშს უკრავენ  
ვერხვები და,  
ცერულს  
ცეკვავს  
ძირულა...

კორტოხებზე  
კუნტრუმობენ  
ფრთახატულა  
ოდები...  
გეხუტები –  
ზესტაფონო, –  
მოველ,  
განა გმორდები?..

სულ, –  
ვარდებად ილაღანე:  
დღემდე თქმულო,  
არ თქმულო,  
გენაცვალე, ქუთაისო, –  
მასპინძლობით  
განთქმულო!..

თუ რამ, სადმე,  
თაფლი იყო,  
ზედ ნავისვი, –  
ენაზე,  
შემოგვევლე:  
იმერეთო, –  
გულმზეო და  
ენამზევ!!!

## საზღვარი არ აქვს?!

ნათელი –  
მუდამ,  
სჯობნისო  
უკუნს,  
მაშინ,  
ჩვენ,  
რატომ,  
მივდივართ  
უკუ?!.

ერთს –  
მილიონი  
არ ჰყოფნის, –  
სრული  
ათასს –  
შიმშილით  
ამოსდის  
სული...

მტერს ვანდობთ  
საქმეს –  
ისრის და  
მშვილდის,  
მასხარად, –  
ცირკის,  
ვუყურებთ  
სინდისს...

ღირსება –  
ღმერთად,  
ღირსეულს  
უღირს,  
ღირსება –  
ღინღლად  
არ უღირს  
უღირსს...

მოვიდა ქვეყნად –  
რაისთვის?!.  
და რად?!.  
თავი –  
ღმერთების  
რომ მოაქვს  
დარად?!.

ბრძენს –  
მიწყვი  
ქვეყნის  
ანუხებს ვალი,  
თაღლითს –  
ტახტისკენ  
უჭირავს თვალი...

ჩალიჩობს –  
ჩარჩი, –  
ჩანჩურა ორდე,  
უღირსი  
იღებს  
ღირსების  
ორდენს...





მქუხარე სევდის  
დავაშროთ  
ზღვა რით?  
თეთრის და  
შავის  
არ არის  
ზღვარი...

ბულბულზე  
უკეთ  
გალობსო  
ყვავი  
უსამართლობა  
ვარდივით  
ჰყვავის...

ხომ აქვს  
საზღვარი –  
მტკვარსა და  
არაგვს? –  
უსინდისობას  
საზღვარი  
არ აქვს!!!

21. III. 2003

### ბელოზებელი...

მტერი  
ვით უზამს  
სიავეს? –  
რაც უყო  
თავის ენამან?!  
კეთილის  
კილვა-აუგმან,  
გულშავმან –  
ზრახვა-რქენამან,  
არც შეინყალა  
უფალმან, –  
ქვენამან,  
არცა –  
ზენამან,  
თვით გარდმოისხა  
მდულარე –  
ბოროტმან, –  
რისხვის დენამან...  
სიმართლე გითხრათ, –  
დასტურად,  
ამ სულში  
სხივთა ფენამან,  
ბრიყვს  
თავი მოსჭრა, –  
მოცაკლა:  
არ –  
ბაგით  
სიბრძნის ცვენამან,  
არ –  
ანონილმან  
სიტყვამან,  
არ –  
მტრისგან  
მტრულმან  
წყენამან,  
არა –

ხმალმან და  
ხანჯალმან,  
მხოლოდ –  
თავისმან  
ენამან...

10. XI. 2002

### სატანა – ფული...

„ფული ადამიანს უნდა ემსახურებოდეს,  
და არა – ფულს ადამიანი... ფული დღეს,  
ბოროტების სიმბოლო უფრო არის, ვიდრე – სიკეთის“.  
ხალხური სენტენცია

პანდორას ყუთით –  
დღეს,  
სატანა შესახლდა  
ფულში...  
პირიდან მიწის –  
ლამეულნი  
სინათლეს გვიან...  
სანამ –  
მზისქვეშეთს  
გადაუვლის:  
ვიში და  
უში,  
დრო არის სანამ! –  
სანამ...  
სანამ –  
არ არის გვიან...

დემონმა,  
ემმამ,  
და სატანამ  
იცვალა სახე, –  
იქცა:  
სხვა სულად,  
სხვა არსად და...  
პლანეტას უვლის...  
უჩინმაჩინი, –  
ბოროტების  
იზრდება სხვა ხე,  
ადამის მოდგმას  
რა დაღუპავს? –  
სატანა, – ფული...

4. VIII. 2007





## ელდარ ჭიჭიაშვილი



### ეგ ორლესული დამკარ ვადამდის!

გულს ცხრა ლახვარი, წმინდა გიორგის,  
სისხლშეუშრობმა დამკრა კრწანისმა,  
წყალმა წამართვა ნაშანთი დედა,  
დიდგორიც სევდამ გაითავისა!  
არაგველებს მმედგრავს კიჟინა,  
ჩაქოლილი ვარ ციხის ნაშალით,  
სად გაიყიდა პაპის ფარ-შუბი,  
სად მიიშლამა დედის თავშალი?  
ეგ ორლესული დამკარ ვადამდის,  
გული დასადვრელ სისხლით მევესება,  
ყურში ჩამტირის ბებერი ლომის  
უკანასკნელი ამოკვნესება!  
ხან ძირს გართხმული დაგტირი მწარედ  
გულგასენილი შენი ვაებით,  
ხან დედის ძუძუს ჩაფრენილ ბალღის  
ნეტარ ლულუნით გეთამამები!

### ფანდურო...

რა ლეგენდებზე ჟღერტულეებ,  
ჩემო ჰანგო და ფანდურო,  
ლამის მეხრეო, ფხიზელო,  
ცისკრით თვალამობანგულო?  
გალობ და უფლის ჩიტივით  
გულთან მიკენკავ ტკივილებს,  
ხან ცრემლით იბან ფრთა-ნისკარტს,  
ხან ლაჟვარდებში ლივლივებ!  
ხან მინას ებში სახნისად,  
მიუთხრობ ერქვან-ჭაპანთა:  
რა ტკივილები იარგნეს  
იმქვეყნად მამა-პაპათა!  
ახლა ჩემი ვთქვათ სათქმელი,  
ბედო, ლოდინით ნაბურო!  
ხან შევებას ვექცეთ ტკივილად,  
ხან ტკივილს მივესალბუნოთ!  
ერთი ხარ, ჩემო უფალო,  
ჩემო შევბავ და ტკივილო,  
თუ ატირებულს გიხილავ,  
მე როგორ ვიპირღიმოლო?  
მე შენი ბერიზვარა ვარ,  
პატარა ხბო ვარ, სახარე,  
შენი – ჩემი წმინდა საყდარი,  
ჩემი ხატი და საზარე.  
დედას ამსხლიტეს ძუძუდან,  
ცრემლი იმედით ვაქარვე,  
ყელს საკადრისი შემაბეს,  
შენს კალთას შემომაფარეს,  
ქედმოდრეკილი გეახელ,  
ჩემო ლოცვავე და არაკო,

გულის ლუსკუმა გამიპე,  
რომ სისხლი შემოგზვარაკო!  
გადმოსკდი გულის ბარძიმით,  
სისხლო, ჯვარ-ვაზის ბჭიანო,  
რომ მამა-პაპის ფერფლისკენ  
სიცოცხლედ გაიმზიანო!  
წინ დამიფინე ნათელი,  
უფლის ბილიკო, ბზიანო,  
რომ მერე პურ-ღვინის მადლში,  
ქრისტეს სისხლს შევეზიარო!  
ან მზარდე შვინდა ხარვივით,  
მიმზადე გუთან-სათარი,  
ქედზე უღელი დამადგი,  
მუხის გულისა ნათალი!  
შენი ტკივილი ვლოღნო და  
ცრემლის გილოკო მარილი,  
მთას ვზიდო ლოდი სატაძრე,  
ვაბრწყინო შენი არილი!  
კარგ ყმას ვეცალო უღელში,  
ჯვარცმით ავლიო გოლგოთა,  
რომ სასოებად ვესაგზო  
სოფლის ქვრივ-ოხერ-ობოლთა!  
მერე კი... მერე სიცოცხლე  
გასრულდეს, როგორც წესია,  
შვილიშვილებმა მოიმკონ,  
პაპას რაც დაუთესია!

### არა ყოფილა...

გაუფერულდი, აგეხსნა ტაბუ,  
ყავლი გასვლია ნაჩვევ ქარაგმებს,  
არა ყოფილა მინა ზურმუხტი,  
არც ცა ყოფილა ლურჯი სმარაგდე.  
ვგავდი სასწაულს აყვავებული,  
სისხლი უხმობდა მზეს და საყვარელს,  
ვარდსა და შროშანს როცა ველოდი,  
თოვლი და სუსხი გადმომაყარე!  
ხან ნეტარების ჯილა დამადგი,  
ფეხთ ფიანდაზა მიფინე ღრუბლის,  
ხან ტკივილების ჯვარზე გამაკარ,  
ეკლის გვირგვინით შემიმკე შუბლი!  
არად მიღირხარ, უკან ნაიღე  
დამადლებული პური და ღვინო!  
თუ დაბადებით ვერ გაგახარე,  
ჩემი სიკვდილი როგორ გატკინო?  
ვარ მინისა და მინად ვიქცევი,  
გინდა მატყუო კიდევ სადამდე?  
გახუნებულა შენი ზურმუხტი,  
გაშავებულა შენი სმარაგდე!





## ირმისა

უდროოდ დაობლებულო,  
 გემტერა დედინაცვალი,  
 წამლად შენს გულ-ღვიძლს ითხოვდა,  
 ღანვს ჩამოისვა კანალი,  
 თავი აბრალა მამაშენს,  
 თვალში აყარა ნაცარი  
 და მამაშენიც, ბედასლი,  
 გაგიხდა მამინაცვალი!  
 ზურგზე შეგისვი, იმ ღამეს  
 გადავიკარგეთ სხვა მხარეს,  
 შენ ჩემი გახდი მეხრე და  
 მე – შენი შვინდა სახარე!  
 ირემმა ძუძუ განოვა,  
 მზემ პირი გბანა სხივ-ცვარით,  
 ყელს მეხვეოდი, ვიყავი  
 მე შენი დასაფიცარი!  
 გზარდე და გეფერებოდი,  
 გითბობდი მუხლის იოგებს,  
 ეგ ცრემლიანი თვალეები  
 რამდენჯერ ამოგილოკე!  
 წამოვიზარდეთ, ვაშენეთ  
 ჩვენი ციხე და ტაძარი,  
 ერთად ვანვიმეთ ოფლი და  
 ერთად ვაგორეთ ზამთარი!  
 შენ შემოგწირე, რაც თვალში  
 შემომრჩა მზე და იმედი,  
 მე დავუძღურდი და შენ კი –  
 მხარ-ბეჭით მზეს ასხივებდი!  
 ნეტავი გულში რა გქონდა,  
 ყელზე თოკს როცა მაბამდი,  
 ან სად მიგყავდი იმ ღამეს,  
 ან უნდა გვევლო სადამდის?  
 სულ არ მეგონა, თუ ასე  
 დამთმობდი და გამწირავდი,  
 მე დამაძინე და შენ კი  
 ზღაპარში გაუჩინარდი,  
 გამომეღვიძა, გეძახე,  
 რქები ვალენე ცივ ტინებს,  
 გეძებე, ვერსად გიპოვნე,  
 დავჯექ და ბევრი ვიტირე!

## მგლეზნი

მთებს აქეთ ალგეთის მგლეზნი,  
 მთებს იქით მგლეზნი არღუნის,  
 კარგყმობის წესი და რჯული  
 ჯიშად აქეთ ამოდალული!  
 სისხლში გაყურსულ ლეგენდას  
 ვინ წააყარა ნაცარი?  
 ტკივილი, გულის მგესლავი,  
 არის და თითქოს არც არი!  
 მაშ რა აყმუვლებთ მგლის შვილებს,  
 რად კრთება ღამის დუმილი?  
 უამბოდ როგორ ჩაივლის  
 ამდენ მგლის ლეკვთა ყმუილი!

## რა ტკივილია მანძილად?

სად დაილია ნისლივით  
 სოფლის უაზრო დგანდგარი,  
 რა სინანულმა მინავლა  
 სულში მდულარე ხანძარი?  
 რიყეზე უწყლოდ დაგდებულ  
 გული თევზივით ფართხალებს,  
 ბევრჯერ ნასეტყვს და ნამეხარს  
 მაინც ერთი რამ ახარებს,  
 ვილაცა ბუდობს გუმანში,  
 მასთან ათენებს, ალამებს,  
 სისხლის დულილად აქუხებს  
 საბრძოლო ბუკს და ნალარებს,  
 ცას მედგრავს ლალი კივილით  
 კლდის თავს მომდგარი სახარე!  
 მეც ბევრჯერ გავეპასუხე  
 და სისხლით მივესაფარე!  
 ვინატრე სანატრებელი –  
 ცას ბორჯღლად შლილი მზებადე,  
 ხელთ ჯავარდენი მეპყრას და  
 მტრის სისხლით მიწას ვღებავდე,  
 ზეცით კურთხევა დიოდეს,  
 მეც ორლესულად ველავდე,  
 რომ მტრის სულები ვისაგზო  
 კიდეც საკვირველ ძლევაძდე!  
 მერე კი... სევდის ტალღებში  
 მთის კალმახივით შეეკანდე!...  
 რა ტკივილია მანძილად  
 გულიდან ცრემლის წვეთამდე?

## ფლყებო...

გულს ბორგვა შემომრჩენია  
 ხოგაის მინდის მახვილის,  
 ან იქნებ წინაპრის ხმაა,  
 მინიდან ამოძახილი!  
 შემომყურებენ დღეები,  
 მზერაში უჩანთ მდურება,  
 მომდგარან სახლის დირეზე  
 დაქანცულ ბედაურებად.  
 ის ერთი დილა, მზიანი,  
 შორით რომ მოჩანს ზმანებად,  
 რად არ ერევა მარაქას,  
 უხედნ კვიცივით თავნება?  
 ხან გულზე მდგება ტორებით,  
 ხან საისრეზე მშორდება,  
 ხან სადღაც გაინაპირებს,  
 მესმის ურვა და გოდება!  
 რას დაშლიგინობს ჭიხვინით,  
 ვის ან რას მიეძრახება?  
 მთიდან მზირალი ტაძარი  
 შავ-მწვანედ რად ითალხება?  
 ყველა აქ დაქუჩრებულია,  
 ეს სადაური დოლია?!  
 მიწას ჩასცქერენ დუმილით  
 და სევდის ლაგამს ლოღნიან.  
 განა სულ უნდა ვიგლოვოთ,  
 ზოგჯერ სიმღერა მწაღია,  
 ნასეტყვი გული ვუფონო  
 ღვთისმშობლის მიწას, მადლიანს!  
 ცას ჩამოვყარო ჰანგები,  
 უფლის გულიდან მდინარი,  
 იმ ხმაბადაგში ვაბუდო



ამ საგულეში ვინ არი!  
სადროშოს შემორჩენილი  
დედის ფერთალხი თავშალი,  
ჭერხოდან გადმომზირალი  
პაპის ხმალი და ჯავშანი,  
მიღმახევეს დაყუდებული  
ციხიონი და ლაშქარი,  
სისხლით და ცრემლით ნაცვარი  
ციხე გულს ჩამონაშალი!  
გაიაბინდეთ, დღეებო,  
მორჩით ნისლებთან ბორიალს,  
ნინ ისევ გველის გოლგოთა,  
ტაძრამდე კიდევ შორია!

## ფიფაპას ნამღერი

გასწიეთ, ჩემო ხარებო,  
გულიდან სევდა წამშალეთ,  
სულ ჩვენი წმინდა სისხლია,  
რაც ბელტი გადავაშავეთ.  
ამალილინეთ, ამოვთქვა,  
გულში რაც გლოვის ჰანგია,  
რა სუნთქვა მოდის მიწიდან,  
რა სურნელი და ბანგია?  
მკერდგახსნილ დედას ნუგეშად,  
ნეტავ, რისი თქმა სწადია?  
ეს ხომ წინაპრის ძვლების და  
გულის სითბო და მადლია!  
რაც გუთანს ხელი მოვკიდე,  
ჯერ პირშიშველა ყმაწვილმა,  
რამდენჯერ წუთისოფელმა,  
მსეტყვა და თავზე მანვიმა!  
მას მერე სევდის მდინარის  
ავდევ და ჩავდევ ნაპირებს,  
საწუთროს უსამართლობა  
ზოგჯერ ძილშიაც მატირებს!  
ზოგს დაანათლა განცხრომა,  
ზოგს სისხლით თრევა კევრისა,  
ზოგს ჯილა უფლისწულისა,

ზოგს ნაბდისძველა გერისა!  
თქვენი ვარ, თქვენი ტრფიალი,  
ჩემო მიწავ და გუთანო,  
წინაპრის ოფლით მორწყულო  
და სისხლით ნასათუთარო!  
გასწიეთ, ჩემო ხარებო,  
გულიდან სევდა წამშალეთ,  
სულ ჩვენი წმინდა სისხლია,  
რაც ბელტი გადავაშავეთ!

## ვერ ამოვშალე...

ვერ ამოვშალე გულიდან  
შენი ჯვარცმა და გოლგოთა,  
კარგ ყმისად ნატვრა-წუხილი  
სოფლის ქვრივ-ოხერ-ობოლთა!  
რაც უნდა რისხვა დაგატყდეს,  
მეხთატეხა და კანკალი,  
ცეცხლითვე უნდა გასრულდეს  
ცეცხლის ალო და სამკალი!  
გულში გაქვავდი, ტკივილო,  
მტერს არ ვენახო მტირალი,  
დედა მმფარველობს, ღანვებზე  
სისხლდაცრემლჩამომდინარი!  
სისხლში დარისხდნენ ზარები  
ალავერდის და გელათის,  
კრწანისთან სისხლის არაგვი  
ჩქეფით შემომწვდა ყელამდის!  
სად დავემლო ამ ტკივილს  
ქვეყნად, სამარის კარამდის,  
სამასი რისთვის გავწირე,  
თუ ერთს ვერ დაგიფარავდი!  
სამასმეერთედ ვერ ვიქეც,  
ძუძუ მომკვნესის დედისა!...  
რა ანგელოზმა დამწერა,  
ვაი, ასეთი ბედისა?!





ალნაზი დათუკიშვილი



მაიკო ღვინჯილიას

ჩვენ რა ასატანები ვართ,  
მეტწილად დაღვრემილი სახეებით,  
ვნერთ ლექსებს და არა ჩეკებს,  
ვსვამთ სასმელს და არა შეკითხვებს.  
ჩვენი თითები უმეტეს დროს  
კლავიატურასთან ატარებენ  
და არა სხვათა ფერობაში,  
როგორც ეს ლექსებშია...  
ჩვენს თითებს მოსაწევის სუნი აქვს.  
ლამით ფხიზლად ვართ,  
როგორც ბოროტმოქმედნი, ან ღამურები,  
მთელი საიდუმლო იმაშია, რომ  
ვინც გაფრინდა, ანგელოზად იქცა.  
ჩვენ რა ასატანები ვართ,  
ქრონიკული ჰიპერ-სიგიჟით,  
ასტრალური ატროპიებით,  
ფობიებით,  
თანდაყოლილი სიკვდილებით  
და მსხვერპლად ქცეული სულებით.  
მიუხედავად ამ ყველაფრისა,  
ერთხელ მაინც უნდა ნახოთ მაიკოს თვალები,  
როცა ისინი გიოს უყურებენ,  
და დარწმუნდებით,  
ჩვენ რა ასატანები ვართ.

ეგოიზმი

როცა საუბრობენ სამყაროს კატასტროფებზე,  
მე ვფიქრობ ჩვენი სისხლით შეღებილ,  
გზის მოსახვევზე.  
როცა საუბრობენ ბუნებრივ კატაკლიზმებზე,  
მე ვფიქრობ ნისლზე,  
რომელიც ნოემბრის საღამოს ჩამონვა  
გზატკეცილზე.  
როცა საუბრობენ მასშტაბურ ომებზე,  
მე ვფიქრობ ერთად გატარებულ ერთ წელზე,  
რომლის არც ერთი დღე არ შეგვარგეს მშვიდად.  
როცა რელიგიაზე საუბრობენ,  
სულ ვფიქრობ იმ მამაოზე,  
რომელსაც შეეძლო,  
ჩემზე ცოდვილად წარმოეჩინა თავი.  
როცა სამოთხეზე საუბრობენ,  
მე ვფიქრობ თვითმკვლელობის  
გახშირებულ ფაქტებზე.  
როცა მარტოობაზე საუბრობენ,  
ვფიქრობ საკუთარ თავზე.  
როცა მოჩვენებების არსებობას განიხილავენ,

ჯოჯოხეთზე მეფიქრება.  
როცა განიკითხავენ განმკითხველთ,  
მე ხშირად მიწევს აღიარება მათი გონების  
გამჭრიახობის,  
რაოდენ ზუსტი უნდა იყოს,  
შენი მისამართით ნასროლი ქვა,  
რომ მოგხვდეს და გეტკინოს.

P.S.  
როცა სიყვარულზე საუბრობენ,  
მე ჩუმად ვარ.

\*\*\*

მე ეჭვიანი ვარ,  
საშინლად ეჭვიანი.  
ეჭვი სიგიჟეა,  
შეხედე ჩემს თვალებს, ნითლად ანათებენ,  
გიჟის თვალები მაქვს,  
გავგიჟდი!  
ნუ მიყურებ ასე,  
გიჟს პასუხს არ სთხოვენ,  
გამოკეტავენ სპეციალურ კლინიკაში  
და აკვირდებიან.  
ყველაზე ჭკვიან ექიმებს ყოველთვის აქვთ ეჭვი,  
ჰო, ისინი ეჭვიანობენ,  
მერე ჩვენსავით გიჟდებიან.  
ჰგონიათ, რომ ამპულებს შეუძლიათ  
სიგიჟის მოხსნა,  
შეჩერება მაინც.  
– არრრრრ, ეს არ არის საგიჟეთი,  
ეს ემოციების ციხეა! –  
ყვირის თვეების დაუბანელი სოსო,  
დაესევიან მერე თეთრხალათიანები და  
ერთი ამპულის დარტყმით აძინებენ.  
მე მესმის გიჟების,  
ჭკვიანებთან ურთიერთობა მიჭირს,  
აი შენ...  
მამაჩემი ამბობს რომ შენ გიჟი ხარ,  
ჩემი ძმაც ამას ამბობს,  
მამაჩემმა იცის რომ მე მჯერა ჩემი ძმის.  
მე მხოლოდ იმისი მჯერა რომ  
ჩემს ძმას ვუყვარვარ,  
შენც ხომ გიყვარს ჩემი ძმა.  
არ გენყინოს,  
მეც გიჟი ვარ.  
თანაც ეჭვიანი,  
ვეჭვიანობ როცა ადრე იღვიძებ,



როცა ფიქრობ,  
როცა ოთახიდან გადიხარ,  
შენს ღიმილზე და მონყენაზე ვეჭვიანობ,  
ნუ მიყურებ ასე,  
ეჭვი სიგიჟეა,  
მე ამ ყველაფრის საბაბი მაქვს,  
მიყვარხარ  
და  
ვიტანჯები!

\*\*\*

როცა პოეტები მუხებს მისტირიან,  
ვდგები ფანჯარასთან სუნთქვის მათხოვარი,  
ყელზე მებჯინება ღამის მისტირია,  
როგორც ვერცხლის დანა, შენი სახსოვარი.

ახლა კიბოს მსგავსად მახრჩობს მონატრება,  
მკვლელი უჯრედები სისხლში გაერია,  
ანი, არაფერი აღარ მოგვარდება,  
ყველა ევაა და ყველა კაენია.

ადამს კი წილად ხვდა მარტოდენ სიკვდილი,  
რადგანაც დაეცა ყველა ვინც გადარჩა,  
ჭრილობას აცდენილ საფეთქელს მივტირი,  
ასე რომ უხდება სისხლი და დამბაჩა.

ჰმ,  
ეს უკვე მომაკვდინებელია...

## ანასოფიას

ახლა ანასოფ ღამეები წვებიან დაბლა,  
ზეცაზე მთვარე შიშველი და სავსე მკერდია,  
გამართლებულად მიმანჩია სხეულის გახდა,  
რადგან სიცოცხლე უდაბნოში, – მეტისმეტია.

მერე უეცრად მახსენდები წევხარ ნაპირზე,  
იქ სადაც ზღვაა ბობოქარი, როგორც ცხოვრება  
და მელიმება, ახლავე რომ მტვრად გადავიქცე,  
შენ ხომ ალუსი ლექსებიდან გემახსოვრება.

ახლა ანასოფ შენ არ იცი, როგორ მიშველე,  
გნერ და ხატება შენი ლექსში ვერ დაეტია,

მლაშე ტალღებმა აგილოკეს მთელი სიშიშველე  
პროვინციული გამოთქმით რომ მეტისმეტია...

მე თანახმა ვარ სხეულის გახდაზე.

## ლევან ფვალ-ს

ჩემი ჭაღები საფლავებია,  
მე გასართობიც მაქვს,  
ეს გასაეირნებაა ჩემიდან ჭერამდე...  
მარტივად რომ ვთქვათ:  
– მე მეშინია ღამეების როგორც ლევანის,  
მეტალის სანოლს ჩაჭიდული ვუყურებ წყვილად,  
ამ ჩანყვეტილი გულის მსგავსად ღამეც ვერ არის  
კარგად და სული მოჩვენების ზენიტში მიაქვს.  
ასე მარტივად,  
მე ვნებდები ალქაჯ აჩრდილებს  
და ბრეკეტები დამიყენეს სხეულზე თითქოს,  
ყოველი ძვალი საშინელი ძალით დაჭიმეს  
და მოსაშვებად თუნდაც მცირედს,  
ალკოჰოლს ითხოვს.  
მე მეშინია,  
სავსე მთვარე ცაზე ვერ აღის  
და ყოველ ღამით ვიტანჯები მისი ყურებით,  
მე მეშინია დედაჩემის თეთრი პერანგის  
და მამაჩემის ცარიელი თოფის ლულების.  
უფრო მარტივად,  
ყოველღამით მე ვხედავ ქაჯებს,  
როგორ დგებიან საფლავებთან სადაც ქვებია,  
მერე ტუჩებთან მიიტანენ საკუთარ მაჯებს  
და იისფერი თრომბოციტით იკვებებიან.  
მე მეშინია აბაზანის სარკესთან დგომის,  
სადაც ადვილად შეიძლება სისხლის ჩარეცხვა,  
მე მეშინია ჩემს ქალაქში დარხნულ ჭორის,  
თითქოს ტაძართან ვიდექი და ტანზე არ მეცვა.  
ეს სიმართლეა, მეშინია აღიარების  
და ხშირად მომყავს მაგალითი, – ხალხი ვერ არის,  
როცა ტაძრებში მოვაჭრენი ფანჯრებს ალებენ,  
მე ზუსტად ისე მეშინია, როგორც ლევანის.  
ოღონდ ეგ არის,  
ჩემი ჭაღები საფლავებია...  
შიში!!!

## განსხეულება

*უძღვნი ჩემს ფიზიკის მასწავლებელს ყენია მღებრიშვილს*

მახსოვს, როგორ იდგნენ ჭადრები მოჭრილი ხელებით,  
რადგან მათი მტვერი საზიანო იყო ჩვენი ფილტვებისთვის.  
მახსოვს, როგორ დაურიგეს მოკვეთილი კიდურები  
ქალაქის მაცხოვრებელთ,  
რომლებმაც ისინი, იანვრის სუსხიან ღამეებში  
კვამლის მოჩვენებებად აქციეს.  
ასე განსხეულდნენ...  
ამოდიოდნენ ბუხრის საკვამურებიდან  
და ზეცისაკენ მიიწევდნენ.  
მახსოვს მკვდარი ჩიტი რომ ვიპოვეთ,  
როგორ ვცდილობდით რაც შეიძლებოდა ღრმად დაგვემარხა,  
რამოდენიმე თვის შემდეგ ამოვთხარეთ და იქ  
ალარაფერი იყო.  
ისიც განსხეულდა.  
მახსოვს ფიზიკის გაკვეთილზე  
თავში მოხვედრილი ვაშლის  
მატერიალური მტკიცებულებები.  
შეკითხვა, – მასწავლებლო რატომ არ ეცემა დედამინა?







და პასუხი, – სად უნდა დაეცეს, როცა ყველაფერი ფარდობითია.  
 სამყაროს თავისი კანონზომიერებები ჰქონდა...  
 მასწავლებლო, თქვენ ხშირად იმდენად დაღლილი სახე გქონდათ,  
 როცა გაბრაზებდით ველარც ბრაზდებოდით.  
 გაკვეთილის ახსნისას ხშირად ჩაგისუნთქავთ ღრმად,  
 ისე, როგორც მე ვსუნთქავ ახლა.  
 მახსოვს თქვენი დაღლილი თვალები,  
 ისეთი, როგორსაც ხშირად ვხედავ ახლა სარკეში.  
 მახსოვს, ერთი სული გქონდა  
 როდის გახვიდოდით კლასიდან,  
 ისე, როგორც ახლა, შემორჩენილი აკვიატება,  
 გასვლის საკუთარი მე-დან.  
 მასწავლებლო, ბოდიში ყველა იმ წუთისთვის,  
 როცა არ გისმენდით,  
 რადგან არაფერია იმაზე უარესი,  
 როცა არ უნდათ რომ მოგისმინონ.  
 მასწავლებლო, იცით,  
 ჩვენ აღარ ვართ ფიზიკურად 29,  
 ერთი ჩვენთაგანი უკვე განსხეულდა.  
 ქეთი...  
 ახლა დაგვიანება სიკვდილის ტოლფასია,  
 ადრე ნასვლა კი ნეტარება,  
 დამითხოვეთ მასწავლებლო...  
 ქალაქში ისევ დგანან ჭადრები  
 მოჭრილი ხელებით,  
 რადგან მათი მტვერი  
 მავნებელია ჩვენი ფილტვებისთვის,  
 და ვართ ასე  
 დანარჩენი 28 მატერია...

\*\*\*

ყელშია დაყვედრებული სიკეთე,  
 ანგინა  
 და მოკვეთილი გლანდების კვალი.  
 ყელშია სწორად დაშვებული შეცდომები,  
 ჯანმრთელი დაავადებების მკურნალობა  
 და უვიცთა კაბინეტები ფსიქოპალატებში.  
 ყელშია სერთიფიცირებული ჭკუის დამრიგებლები  
 და მედიტაციური დროის კარგვა.  
 ყელშია ნაკბენები არა მწერთა, –  
 გაცხოველებული ენების.  
 ფეხზე დაკიდული არარაობებიც ყელში ამოდიან,  
 აბა გაბედე და ბედნიერი სახე მიიღე,  
 მაშინვე ყელში გწვდებიან.  
 ყელზე ახლა ძალის ჯაჭვზე მძიმე ჯაჭვებია მოდამი.  
 ყელშია მოდა, – მოხდენილი სიმახინჯე,  
 ახალი კანი ადამიანის სხეულზე.  
 ყელშია, რომ ყოველი გადაჭარბებული რელაქსაციის დროს  
 გაღებინებს.  
 ყელშია, რომ ზოგჯერ ყელზე შემოხვეული შარფი უფრო გათბობს,  
 ვიდრე მზე.  
 ყელშია გვამების ყელგამომჭრელთა ოსტატობა,  
 ატომური მასტერკლასები  
 და ხორცგადამამუშავებელი სამხედრო ბაზები.  
 ყელშია მოროდორთა მარადიული რწმენა,  
 რომ ვინც მოიგო ომი,  
 ნადავლიც მისია.  
 ყელშია რითმების მუდმივი ჩიჩინი  
 და სიკვდილებით შეშინებული პოეტები.  
 ყელშია საკუთარი მე.  
 ყველაფერი ყელზე გებჯინება,  
 ცრემლი,  
 თოკი,  
 დანა,  
 ტკივილი შენი და სხვისი  
 და მე არ მიკვირს თუ რატომ გვტოვებს სუნთქვა,  
 როცა მისთვის ყელში ადგილი აღარ რჩება...





ბივი ჩილვინაშვილი

ყარალის ბელი (ძველი ამბავი)

სამოროდო სიმინდში ჩამდგარმა თომამ თობხი შეარჩერა და ოფლიანი სახე მიუშვირა ხევიდან დაძრულ ნიავს.

- ოჰ, რა კარგად დაუბერა ამ დალოცვილმა, დაისვენე შვილო, დაისვენე, - მიმართა გვერდით მომუშავე ვაჟს, - მოიტანე ცივი ნყალი, გადასძახე ბიძაშენს და ვისადილოთ ანი, - მერე შუბლზე გადაისვა ხელი, ტყიან ფერდობს გახედა და უცებ შემცბარმა წამოიძახა:

- ნახე, ბიჭო, ნახე, უყურებ შენ? აუყვავა ეს უდღეური ყენია გადაღმურთა გზას, ისაა, ბიჭო, თუ თვალი მატყუებს?

გიომაც გახედა ტყიან ფერდობს და მწვანე ტოტებს შორის დალანდა ბილიკზე მიმავალი თოფიანი კაცი.

- ისაა, აბა, ვინ იქნება! - უპასუხა მამას.

- დაუხვდება ახლა ვინმე მგზავრს და გაამწარებს, აბა, სანადიროდ ხომ არ წავა? გამწარდა მაგაზე მაგის ცოლ-შვილი! არა, რომ არავინ დაუყუა აქამდე ეგ უვარგისი! - მერე ხმას აუნია და გაბრაზებულმა გასძახა ტყეში გაუჩინარებულ კაცს:

- ეე, ყენია! არ შეგრჩება უკეთურობა, არა!..

იყო ასეთი დროც, წინა საუკუნის დასაწყისში ტყისპირა სოფლის ორიოდ უნამუსო კაცი ქედის გადაღმა მდებარე სოფლების მცხოვრებთ ხვდებოდა გზაზე და ძარცვავდა. ამ სოფელზე ამოვივლიდნენ ხოლმე მგზავრები: ბრუნდებოდნენ საშოვარზე წასულელები, ზოგიც ბაზრიდან მოდიოდა დატვირთული, გაივლიდნენ ტყისპირა სოფელს და მიუყვებოდნენ მთებში ჩაკარგულ საურმე გზას ფეხით თუ ცხენით.

ყენია ერთი უსაქმური კაცი იყო, სულ საემამაკოზე ეჭირა თვალი, ცოლ-შვილი მშიერ-ტიტველი დაუდიოდა. აბა, ნაქურდალ-ნაძარცვით ვის უცხოვრია ბედნიერად? სოფელს მისი ნამდვილი სახელი დაევიწყებინა და რატომღაც ყენიას ეძახდა. ახლაც მიუყვებოდა ტყის ბილიკს თოფგადაკიდებული, თან აქეთ-იქით იხედებოდა, არ უნდოდა, ფერდობებზე გაჭრილ ახობებში მომუშავე თანასოფლელებს დაენახათ. მაგრამ, როგორც ვნახეთ, შეასწრო მაინც თვალი თომამ და იმუქრებოდა ახლა:

- ვეტყვი მეზობლებს და ერთი კარგად დავბეგვავთ, რომ მოიშალოს ეს სიგლახე! კაცო, ჩვენ რომ გადავიდეთ იქით, უნდა გაგვძარცვოს იმ ხალხმა?!

- ამას წინათ რა მოსვლია, თუ იცი? - ღიმილით მოხედა მამას გიომ, - ჩამოუხსნია ვიღაცის სახლის ფანჯარაზე მინები, პატრონები შინ არ ყოფილან. მიაქვს შინ თურმე. გზას მორიდებია და სიმინდის

ყანა გადაუჭრია მოკლეზე, უცებ უკნიდან სიმინდების შრიალი გაუგონია, მომდევს, ალბათ, ვინმეო, უფიქრია და გადამხტარა ლელეში დასამალავად. დაცემულა, დაღენია ეს შუშები, ხელებიც გადაუჭრია ზედ და თავიც გაუტეხია. წამოდგა თურმე, როგორც იქნა, ზეზე და რას ხედავს, - თავისი წუნკალი ძალი არ უყურებს კუდის ქიცივით, თურმე ის მოსდევდა უკან და ამრიალებდა სიმინდებს.

- ეგრე მოუხდება მაგას, - ჩაიციხა თომამ.

- არც მალავს თავის სიგლახეს, თვითონ მოყვავა თურმე ამ ამბავს წყაროზე, თუ არა, ვინ გაიგებდა? - დაამთავრა გიომ.

შუადღე გადასული იყო, ტყეში გამავალი გზის ნაპირზე რომ ჩასაფრდა ყენია და მოიმარჯვა თავისი ცალღულიანი თოფი. არავინ ჩანდა გზაზე. ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი ისმოდა ირგვლივ და პატარა მდინარის საამო ხმაური აღწევდა ხევიდან. ტყისპირა მდელზე ფუტკრები საქმიანობდნენ და ნაირ-ნაირი პეპლები დაფარფატებდნენ. ამ ფრინველებმა და მწერებმაც დაინახეს ყენია, ყველამ იცოდა მისი აზრი და მიზანი, ესაუბრებოდნენ კიდევ ერთმანეთს თავიანთ ენაზე, ნახე, მოდის საყაჩაღოდ ის უკეთური კაციო. მაგრამ არ ერეოდნენ ადამიანთა საქმეებში, შრომასა და ოჯახზე ზრუნვაში ათენებდნენ და აღამებდნენ.

დიდხანს მოუნია ლოდინმა ყარალს, ერთხანს ჩასთვლიდა კიდევ. ის იყო, ხელის ჩაქნევას და უკან გაბრუნებას აპირებდა, რომ ცხენის ფლოქვების ხმა მოესმა შორიდან. ახლა კი გამოფხიზლდა, უფრო მოხერხებულად მოენყო და გაფაცვიცებით დაინყო გზისკენ ცქერა.

- ვინ არის ნეტავი? ბევრნი თუ არიან, არ ღირს გამოჩენა, - ჩაიბუტბუტა გულადგერებულმა და დაელოდა.

მალე მგზავრიც გამოჩნდა - ძალიან მალალი, ხმელი კაცი მოუძლოდა დატვირთულ ცხენს. მოკლე მოსასხამსა და გალიფე შარვალში გამოწყობილს, ფეხზე ახალთახალი, პრიალა ჩექმები ეცვა, ყველაზე მეტად ამ ჩექმებზე დარჩა თვალი ყენიას. ცხენიც ჯიშინი მოჰყვებოდა მგზავრს, კარგადაც იყო დატვირთული: ერთ მხარეს სავსე ტომარა, მეორე მხარეს კი ორი დიდი ხურჯინი ეკიდა.

- რამხელა ახმახია ეს უპატრონო, - შეათვალიერა ყენიამ მგზავრი, - გავბედო? არაფერში მაჯობოს, მარა რა უნდა მიყოს? რაც მთავარია, იარაღი არ უჩანს. მაგრად უნდა შევაშინო, - ჩურჩულებდა ყარალი და გზაზე გადმოსახტომად ემზადებოდა.





მოახლოვდა მგზავრი, ჩუმად ღლინებდა, ცხენიც მორჩილად მოჰყვებოდა.

– გამღერებ მე შენ კარგად, – ჩაილაპარაკა ყერიამ და სამალავიდან გამოვარდა თოფმომარჯვებული.

– ჰაატ! გაჩერდი ახლავე, ხელები აწიე მაღლა! არაფერი გაბედო, თორემ დაგახალე თოფი, გაუშვი მაგ აღვირს ხელი, არ გაიღო ხმა, თუ არ გინდა, როგორ გაგათავო ახლავე!..

შეცბა მგზავრი, თითქოს გაღიმებული უყურებდა მომცრო ტანის კაცს, მერე ხმა ამოიღო და გამწყურალმა ჰკითხა:

– ვინ ოხერი ხარ და რას მერჩი, რა გინდა?

– რაიო, რაიო? ოხერიცა ხარ და მამაძალიც, არ გესმის შენ ჩემი? დაგახლო თოფი ხომ? თუ გგონია, დაგზოგავ შე აყუდებულო! – ჩახმახი შემართა ყერიამ და უფრო მიუახლოვდა მგზავრს, – მიაბი ეგერ ცხენი ხეზე და გაიხადე ტანსაცმელი, თორემ მოგკალი და გაგათავე ახლავე! – მეტი რიხი შეიმატა ხმაში ყარალმა.

– კაი, ჰო, კაი, – დამორჩილდა თითქოს მგზავრი, შებრუნდა, ცხენიც მიაბრუნა, მორჩილად მიაბა გზისპირა ხეზე და იქიდან გამოხედა ყარალს.

ყერიას გამბედაობა მოემატა.

– აგრე, ეგ ცხენი გაგანვალე მინც გზაში. ახლა ტანსაცმელი გაიხადე, მორჩილად, მორჩილად! რათ გინდა ამ სიცხეში, შეგანუხებს, – დაცინვაც დაუნყო მგზავრს, – დროზე, დროზე!..

– კაცო, ვინ ხარ, ღმერთი არა გნამს, რას მიშვრები, თუ ხვდები?

– აბა, აბა, არ დამინყო ახლა ლაპარაკი, ბევრი არ მცალია, დროზე, თუ არა, დაგახლი თოფს, გესმის?!

მგზავრმა მოკლე მოსასხამი გაიხადა, იქვე მიადგო და ყარალი კიდევ ერთხელ შეათვალიერა.

– ჰა, რაღას უდგებარ, არ გესმის შენ?!

– ფუი, შენს კაცობას! – აღმოხდა მგზავრს.

– კაცობას მოგცემ მე შენ, ახლა ეგ ჩექმები გაიხადე, ჩქარა, თორემ გაგათავე აქვე!

– ამ ჩექმების გამხდელი ვარ ახლა მე? რომ იცოდე, როგორ მიჭერს, იკმარე ეგ და გამიშვი ჩემს გზაზე.

– გესვრი თოფს, გესვრი, შე აყუდებულო, არ დაგინდობ, იცოდე, – კბილებში გამოსცრა ყერიამ.

მგზავრი იქვე ბექობზე ჩამოჯდა, გაჰკრა ჩექმის ქუსლები ერთმანეთს, ხელიც მიაშველა, მაგრამ ვერ მოახერხა გახდა. შედგა ისევ და მიხედა ყერიას.

– მიჭირს ამის გახდა, მიჭერს ძალიან, რა ვქნა, რა მოვახერხო? ძლივს ჩავიცვი ამ დილით, შეურცხვა ამას შემკერავი. ამ სიცხეში დამიბუჟდა ფეხები და რა გამახდევინებს ამას?

– მიდი, მიდი, გაიხადე, თორემ გაგაგორებ აქ და მე გაგხდი მერე!

მგზავრი ისევ შეეცადა ჩექმების გახდას, მაგრამ არ გამოუვიდა არაფერი.

– რა ვქნა, ვერ ვიხდი ხომ ხედავ? მოდი, ნამეხმარე ცოტა, გამახდევინე და ნაილე ეს ოხრები, ამისთვის ხომ არ მოგაკვლევინებ თავს?

– რაიო, მე მოგეხმარო, კაცო, რას ამბობ? – ჩაიცინა ყარალმა, – აბა ახლავე გაიხადე! – უფრო ახლოდან მიუშვირა თოფი.

– რა ვქნა, აბა, რომელ წყალში გადავარდე? ხო ხედავ, ვერ ვიხდი, მიჭერს ძალიან, შემოსალტული მაქვს ფეხებზე, იმიტომ მოვდიოდი ნელა, ხომ დაინახე, – ფეხები ერთმანეთს დაუშინა მგზავრმა, – დავ-

ეგდები აქ და რაც გინდა, ის მიქენი, – ლამის ცრემლები გადმოყარა ბოლოს.

ყერიას ყველაზე მეტად სწორედ მგზავრის აპრილებულმა ჩექმებმა მოსჭრა თვალი, ეს როგორ ვერ უნდა გავახდევინოო, გაიფიქრა, მგზავრს უკვე დამორჩილებულად თვლიდა.

– მაჩვენე, აბა, არ ადგე შენ ზეზე, იჯექი, მაჩვენე ჯერ ერთი ფეხი, ეგრე, – თოფი მარცხენა ხელში გადაიტანა ყარალმა და მარჯვენათი ნაეპოტინა ცალ ჩექმაზე.

დაიძაბა მგზავრი, ცოტა აცადა მის ფეხებთან დახრილ ყარალს, მერე უცებ მეორე ფეხი გამოაქანა, ჰკრა მუცელში და უკულმა გადაატრიალა.

– უჰ, შენი, – ამოიგმინა ყერიამ, თოფი დაუვარდა, ხელები ჯერ მუცელზე იტაცა, მერე მინც ნამოხტომა დააპირა, მაგრამ ველარ გამართა ნელი. დაასწრო ახმახმა – უფრო ჩქარა ნამოიმართა, დაავლო თოფს ხელი და მოუღერა:

– ახლა გიტირებ დედას! – წამოგდომა აღარ დააცადა ნაქცეულს, შედგა იმ ახალი ჩექმებით და ჩასცხო ნიხლები.

– არ მომკლა, თუ კაცი ხარ, – აკნავლდა ყერიამ, – ნუ დაიდებ ჩემი ცოლ-შვილის ცოდვას, დამანებე თავი!..

კარგა ხანს ურტყა ნიხლები მგზავრმა ყარალს, ერთი-ორჯერ დაიხარა და სახეში გაულანუნა ხელი. ყერიამ ჯერ წამოდგომას ცდილობდა, მერე ხვეწნა დაუნყო თავის მსხვერპლს, ტირილზეც გადავიდა და ბოლოს სულ გაკმინდა ხმა.

– არ მოკვდეს ეს უპატრონო! – გაჩერდა ახმახი, ფეხი ამოსდო და გულაღმა ამოაბრუნა მინაზე დამხობილი ყარალი.

ყერია კვნესოდა და მძიმედ სუნთქავდა. ერთხელ თვალი გამოაპარა, ქვემოდან შეათვალიერა მგზავრი, მერე თავი წარგო ბალახში და კვნესა განაგრძო.

მგზავრი ბექობზე ჩამოჯდა, დაწყნარდა. ცოტა ხანში ადგა, ცხენს აღვირი უკან გადაუგდო, გზის პირას ბალახზე მიუშვა და მერე ისევ თავზე დაადგა ყარალს.

– გეყოფა კვნესა, წამოდექი ახლა ზეზე!

– ნულარ გამლახავ, თუ კაცი ხარ, შემოგაკვდე-ბი ხელში, მეტი კი არ შემიძლია მე, ნუ დაიდებ ჩემი ცოლ-შვილის ცოდვას, – აწუნუნდა ყერია.

– შენ რატომ იდებდი ჩემი ცოლ-შვილის ცოდვას, შე უნამუსო, ჰა! – ჰკითხა ახმახმა, – შიშველტიტველი და ცარიელი რომ მიუვიდოდი ცოლ-შვილს შინ, ცოდვები არ იყვნენ?!

– შემაცდინა ეშმაკმა, არ გართმევდი არაფერს, ჩექმები მომენონა ძალიან!..

– ახლა ამბობ, არ გართმევდიო, ცხენიც არ მიგყავდა თავისი საპალნიო? ჩექმებიო, რომ იძახი, ამ ჩექმებში ხომ თავიანფეხებიანად ჩახვალ, შე უპატრონო?

– ჩემთვის კი არ მინდოდა, გაცყიდი და ორი დღის ლუკმას ვუშოვი მშიერ ცოლ-შვილს-მეთქი.

– რაო, აბა, ადექი ახლა და შენ გაიხადე ყველაფერი, თორემ დაგასრისე მინაზე, – ისევ ბრაზი მოერია ახმახს.

– კარგი, კარგი, რად გინდა ჩემი ძველა-ძველა, – კვნესით წამოდგა ყერია და მგზავრის წინ მორჩილად დახარა თავი.

– გაიძრე ეგ პერანგი, შარვალიც გაიხადე, თორემ დაგიზილე ისევ გვერდები, რისთვის არცხვენ მთელ სოფელს, – ტყისპირა სოფლისკენ გაიშვირა





მგზავრმა ხელი, – ვიცი, კარგი ხალხი ცხოვრობს იქ და შენ ვინ ოხრობა ხარ ასეთი უნამუსო? რომ მოვდიოდი, ერთი-ორმა ოჯახშიც მიმიპატიჟა, მობრძანდი, დაისვენეო. მიქეიფნია ადრე თქვენს სოფელში, – გაიხადე ყველაფერი, შიშველი უნდა გაგიშვა, რომ დაინახოს იმ ხალხმა, როგორი ოხერიც ხარ!

ყაჩაღმა გასაქცევი გზა მოათვალე რუმად, იცოდა, მგზავრი დევნას არ დაუნყებდა, მაგრამ ჯერ თოფი ენანებოდა, იქნებ შევაცოდო თავი და დამიბრუნოსო, ფიქრობდა, თან ისე იყო ნაცემი, ხვდებოდა, ვერ გაასწრებდა ამხელა კაცს.

– რომ გეუბნები, გაიხადე ახლავე ყველაფერი, თორემ გაგიგდებ ისევე ფეხქვეშ, – კვლავ დაემუქრა მგზავრი.

დამორჩილდა ყეჩია, ჯერ პერანგი გადაიძრო, მერე ჩაიმუხლა, დახეული ქალამნები გაიხადა და ამოხედა თავზე დამდგარ უცნობს.

– ჰა, დროზე შარვალიც გაიძრე, თორემ გაგიხვრიტე ეგ უნამუსო თავი ტყვიით.

– თუ კაცი ხარ, ნუ მიშვერ მაგ თოფს, ვერაფერს ვერ მიზამ მაგით, არაფერია შიგ. ეს ვაზნებიც ცარიელია სუყველა, – ძველ სავაზნეზე დაიდო ხელი.

– რაიო? – თოფი გადახსნა ახმახმა, იარაღი მართლაც ცარიელი აღმოჩნდა. – ცარიელი თოფით მძარცვავდი, შე უპატრონო, გაგონილა ამისთანა ამბავი? – გაოცდა იგი.

– რა მნიშვნელობა აქვს შენთვის? რა ვქნა, ძამია, ვინ მომაშავებს ტყვია-ნამალს? გროში არ მიგდია ჯიბეში. ტყვია-ნამალი რომ მქონოდა, ორი კურდღელი ნამომიხტა აქეთ მომავალს. ან კი რათ მინდა, მართლა ხომ არ ვესვრი კაცს? შიმშილით მიკვდება შვილები, გაჭირვებამ ნამომიყვანა ამ სივალახეზე.

– თოფი რად მინდა შენთან, სადმე გამასწრებ, თუ რას იზამ? გაიძრე ეგ შარვალიც რომ გეუბნები, თორემ მიგახრჩობ აქავე ჩემი ხელით!..

– აჰა, გავიხდი, – ხვანჯარი შეიხსნა ყეჩიამ, – რაში გამოგადგება ეს, აზნაურივით ხარ გამონყოფილი. ახია ჩემზე, ღირსი ვარ ამ შერცხვენის, ყველა მეზობლის ვალი მაქვს, აღარავინ მიმართავს ხელს, იციან, როგორი ხელმრუდიცა ვარ...

დარჩა ყაჩაღი ნიფხვის ამარა, გამხდარი, გალუფილი. შეხედა ახმახმა და გადააფურთხა.

– შენ უნდა გაგეძარცვე, შე მკვდარო? – ზიზლით მოჰკიდა ხელი ყაჩაღის ტანსაცმელს და ფეხსაცმელს, ცხენს გადაჰკიდა საპალნის უკან.

– ვისი გამძარცვა ვიყავი მე? კი ნახე აგერ, მივიღე ჩემი საკადრისი, – ბალახებში ჩაჯდა ყეჩია, – შენ რომ არ გაგელახე, ჩემ სოფლებს მაინც ვერ გადავურჩებოდი, – მემუქრებთან, ნუ აკეთებ მაგ სივალახეს, ნუ გვარცხვენ, თორემ განანებთო. ვაიმე, შვილებო, ვაიმე, რავა დამინყდებით შიმშილით! – ისევე გააგრძელა კვნესა ხელმოცარულმა ყაჩაღმა.

– რამდენი შვილი გყავს, შე უნამუსო?

– ოთხი მყავს, ბატონო, ოთხი. ძნელია მშვიერი ცოლ-შვილის ყურება...

კორდზე ჩამოჯდა მგზავრი, უყურა აცრემლებულ ყეჩიას, მოაცილა მერე თვალი, თავისი გადასავლელი მთის წვერებზე მოატარა მზერა, მოაგონდა სამი თვის უნახავი ცოლ-შვილი, მოუღბა გული და დაფიქრდა ერთხანს. მერე ნელა ნამოდგა, ჩამოხსნა ტომარა ცხენს, მოარღვია თავი, მოზრდილი პარკი ამოიღო ხურჯინიდან, ჩაყარა ტომრიდან მასში თეთრი ფქვილი, გაავსო თითქმის, დაუდო წინ ყაჩაღს

და აჰკიდა ცხენს დანარჩენი.

გატრუნულიყო ყეჩია, გაკვირვებული უყურებდა მგზავრს. მერე ისევე მიადგა ახმახი ცხენის საპალნეს, ერთ-ერთ ხურჯინს მოხსნა თავი, კარგა ხანს აფათურა შიგ ხელები და ახლად გაჭედული თოხი ამოიღო.

– ნაილე ეგ ფქვილი, იქნებ მოაბრუნო შენი მშვიერი შვილები. ეს თოხი კი თოფის მაგიერი იყოს, თოფი არაა შენი საქმე, ყანას მიხედე, – გადაუგდო თოხი ყეჩიას, – ტარის შეგებას მოახერხებ, ალბათ... იქნება სულ არა გყავს ცოლ-შვილი და იტყუები, მარა ღმერთი ხედავს ყველაფერს. სივალახეს მოეშვი და მაგ თოხს მოჰკიდე ხელი ანი, ეგ გაჭმევს ლუკმას.

გასამგზავრებლად დაიწყო მზადება მგზავრმა.

– ჰქენი კიდეც მადლი, დამიბრუნე ეგ პერანგი, შარვალი და ქალამნები, რაში გამოგადგება შენ? – შებედა კვნესით ყეჩიამ.

შედგა ახმახი. ცხენზე შეგდებულ გაცრეცილ პერანგს მოჰკიდა ზიზლით ხელი და გადაუგდო პატრონს.

– აჰა, შარვალს და ქალამნებს კი არ დაგიბრუნებ, სამართალი მოითხოვს ასე, უნდა გაიგოს სოფელმა შენი ავკაცობა, ნახე, როგორია ფენშიშველი სიარული, მე რომ მიშვებდი ამხელა გზაზე. მე არაფერში გამოვიყენებ ამათ, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ სადმე დავდებ, ვინმე გაჭირვებულს გამოადგება, დახეულია მაინც, დიდხანს არ გაგიძლებდნენ... თოფსაც ვინმე კეთილ ადამიანს მივცემ. შენისთანები შეიძლება დასჯამ უფრო გამოასწოროს, ვიდრე სიკეთემ.

ჩამოჯდა მერე მგზავრი ბეჭობზე, გაიხადა ჩექმები უცებ, დაფერთხა, ჩაიცვა ისევე და ადგა ზეზე.

– მომატყუე ხომ! – სიმწრით ჩაეცინა ყეჩიას.

– აბა, შენ ხომ არ გაგაძარცვინებდი მართლა თავს?.. ნავედი ახლა მე, მთა მაქვს გადასავლელი, – პირჯვარი გადაინერა მგზავრმა, მოჰკიდა ცხენის აღვირს ხელი და დაადგა გზას.

მერე ერთხელ კიდეც მოხედა ყეჩიას.

– სადაც შენი თქვა, იქ ჩემიც არ დაგავინყდეს. ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ჭკუა გესწავლოს! – ისევე გადაინერა პირჯვარი და განაგრძო გზა.

გვერდებდაბეგვილი ყეჩია დიდხანს იჯდა გზის პირას, მერე ნამოდგა ნელა, პერანგი აიღო და გადაიცვა. თოხი ხელში დაიჭირა, ფქვილიანი პარკი კვნესით დაიდო მხარზე და დაადგა გზას ნიფხვის ამარა. ცოტა ხნის შემდეგ შედგა, დაფიქრდა, არავინ დამინახოს ამ დღეშიო, გზას გვერდი უქცია და ტყეს გაუყვა ფერდობზე.

ჩხიკვები ხმაურობდნენ ნიფლიანში. ყეჩიას დანახვაზე უფრო უმატეს ჩხავილს, ერთმა კნავილიც დაიწყო კატასავით, არც უფროთხოდნენ სასაცილოდ შემოსილ მგზავრს.

– ხომ არ დამცინიან ეს ოხრები, – ჩაილაპარაკა ყეჩიამ, – ეჰ, ამათგან დაცინვას ვინ დაექებს? ნეტავ არავინ დამინახავდეს, ისედაც ხალხის ყბაში ვარ ჩავარდნილი. ფრთხილად უნდა ვიარო, მთელი სოფელი ყანებშია გამოსული. ამ ტყეს გაყვები, იქნებ დაღამებისას მაინც შევიპარო სახლში. რა მიყო მაინც, ჰა... კაცი ის ყოფილა, აბა, მე ვარ!.. გამლახა, მარა ღირსი ვიყავი, ასეთია ჩემისთანა ყაჩაღის ბედი. მაინც რა მადლიანი გამოდგა, კაცო! ეჰ, უნდა მოვეშვა ამ საქმეს, მეტი გზა აღარცაა, – ბუტბუტებდა ყეჩია და ფენშიშველი ფრთხილად მიუყვებოდა ჩამავალი მზის სხივებით დაფენილ ტყეს.





**ამ მოთხრობამ ლიტერატურულ კონკურს „ერთგულეობაზე“ სპეციალური პრიზი დაიმსახურა.**

იმ ზაფხულს მოგვიანებით წავედი მთაში სათიბად. გავიარე ფიქრებით უდაბურ ტყეებში გამავალი გზა, მერე მთის ფერდობზე დაკიდებული აღმართები ავათავე და ავედი უკიდევანოდ გადაშლილ, ალაგ-ალაგ პატარა ხევებიან და აქ-იქ ბუჩქნარიან ალპურ სათიბებში. ჩვენებურები უკვე დიდი ხნის ასულები იყვნენ. მე ჩემს მეზობელ ორ ხნიერ კაცს, ბესოს და შაქროს, მივეკედლე, რომლებსაც ჩემი მშობლები სთხოვდნენ ხოლმე, ბავშვი ამოვა მთაში სათიბად და დაეხმარეთ, დააკვლიანეთ, თქვენს კარავში ამყოფეთო. თუმცა თქმა რად უნდოდათ? – სიხარულით მიღებდნენ ყოველთვის. ახლაც გაეხარდათ ჩემი მისვლა, გამომკითხეს ქალაქის ამბავი და ადგილი მიმიჩინეს კარავში, რომელიც ერთ ჩადაბლებულ, ქარისგან დაცულ ადგილას დაედგათ. ისინი იქვე თიბავდნენ, ერთი – კარვის ახლოს, მეორე – მოშორებით, ფერდობზე. მე გორის აქეთ გადმოვედი ჩემს სათიბში, ბალახი შევათვალე, ბუჩქზე აბგა დავკიდე, ცელი გავლესე და თიბვას შევუდექი. შუადღისას ერთმა თანამეკარვემ, ბესომ, მომაკითხა, ხომ კარგად მიგიდის საქმე, როგორი ბალახია შენთან, ცელი როგორ გიჭრისო? ცოტა ხანს დავსხედით ჩრდილში, ვისაუბრეთ. მერე წამოდგა, წავალ ვთიბავ მეც, სალამოს დროზე გადმოდი კარავში, დაძინებამდე ცოტა წავიქეიფოთ და ვილაპარაკოთო, დამიბარა...

ვთიბე კარგად, ცოტა მოცვი და მოცხარიც შევაგროვე იქვე, კლდეებისკენ წყაროზე ჩავედი, რომელიც ცოტა მოწანწკარებდა, – ტყუილად კი არ ვეძახით ჩიტის წყალს. მერე მეორე მასპინძელი, შაქრო, ჩამოფარუნდა ჩემი სათიბის ფერდობზე, მანაც მომიკითხა, როგორ თიბავ, ხომ არაფერი გჭირდებაო, ცელი შემიმონმა, გამოკვერე ხოლმე, არ დაგეზაროს, ხომ გაგიგონია, ცელის გამოკვერვა მთიბავს არ მოაცდენსო... ის იყო უკვეო? – ბესოზე მკითხაბოლოს. კი, იყო-მეთქი. ჰო, მეტს რას აკეთებს? დადის აგრე ტყუილად იქით-აქეთო, ჩაიქირქილა – წაკებდნენ ხოლმე ერთმანეთს, გამოაჯავრებდნენ, უერთმანეთოდ კი ვერ ძლებდნენ.

სალამოს გადავედი კარავთან. გზად სხვა თანასოფლელებიც შემხვდნენ – თავიანთი ბინებისკენ მიდოდნენ... ჩემს მასპინძლებს კარვის წინ ცეცხლი დაენთოთ და ორივენი იქვე ტრიალებდნენ. მივედი, რას საქმიანობთ-მეთქი, ვიკითხე. ვახშმისთვის ვემზადებით, დროზე მოხვედით, მითხრა ბესომ, ეგ მჭადის გათბობას ცდილობს, შაქროზე მიმითითა, ბავშობაში პურის გემო არ უნახავს და ახლაც უცხო რამე ჰგონია, სხვასაც ვერაფერს ეგუება, მჭადია მარტო მაგის საყვარელი საჭმელიო, ჩაიცინა. ყვავმა ყვავს დასჩხავლაო, მოხედა შაქრომ ღიმილითვე, შენ ხომ სულ თეთრ პურზე მყავხარ გაზრდილიო!.. მეცინება იმათ პაექრობაზე. ომის დროს, შრომასა და წვალეობაში მართლაც მჭადზე არიან ორივენი გაზრდილი, ზოგჯერ კი ისიც ენატრებოდათ...

გარეთ ბინდებოდა და კარავში გავშალეთ სუფრა, რომელსაც ჭრაქი გვინათებდა. პატარა ღუმელიც გვენთო შიგნით, რადგან ღამლამობით ციოდა მთაში. მე ნელა ვასხამდი შავ ღვინოს მომცრო ჭიქებში და რიგ-რიგობით ვამბობდით სადღეგრძელოებს. თამაძობა არც ერთმა იკისრა და არც მეორემ – ყველამ ჩვენი სათქმელი

ვთქვათო. ძირითადად ისინი ამბობდნენ, ხანდახან მეც გამოვურევდი რამეს... მომხიბვლელი იყო უკაცრიელი მთის ვარსკვლავიან ღამეში ძველი ამბების მოსმენა, რომლებსაც ჩემი მასპინძლები დროდადრო იხსენებდნენ და რომლებიც უმეტესად იმ მთასთან იყო დაკავშირებული. მრავალი რამ მოვისმინე მათგან იმ დღეებში, მხიარულიც, საგულისხმოც და ქარსგასაყოლებელიც. მთაზე მხოლოდ ზაფხულში გვინევდა ყოფნა, მე კი იქაური ყველა დრო მაინტერესებდა – გაზაფხულზე თოვლი რომ აჭრელდებოდა სათიბებში, რომელი ყვავილები წამოყოფდნენ პირველად თავს? შემოდგომაზე ბუჩქნარები და ტყეები რომ წითლად აბრდვიალდებოდა, ვინ უყურებდა მაშინ იმ სილამაზეს? ყველაზე მეტს ჩვენი მთის ზამთარზე ვფიქრობდი. წარმოვიდგენდი იმ კარავში ყოფნას – იქაური ზამთრის იდუმალებას, უხვთოვლიანობას და სიძნელეებთან ბრძოლას... ყველაფერ ამაზე ჩემს მასპინძლებს ვეკითხებოდი, რომლებიც სხვადასხვა პასუხს მაძლევდნენ. ისიც ვიკითხე, კარავი როგორ უძლებდა უზარმაზარ თოვლს. მითხრეს, ჩვენ რომ აქედან წავალთ, კარვის ორივე კარს ღიას ვტოვებთ, რომ ქარმა წამქერით გამოტენოს, თორემ ზემოდან დადებული თოვლის სიმძიმეს სხვანაირად ვერ გაუძლებსო. ჰო, კარავი ანუ დროებითი ბინა ასეთი იყო: რამდენიმე ბოძზე გადაჭედებულ ლარტყებზე ზემოდან თუნუქის ფურცლები იყო გადაფარებული, რომელზეც თივა ეფინა სქლად, გვერდებიც თუნუქით იყო შემოჭედული. სიგრძით ბინა ხუთ, ხოლო სიგანით სამ მეტრამდე იქნებოდა, სიმაღლე იმდენი ჰქონდა, რომ კაცი გამართულიყო თავისუფლად...

ზოგჯერ ვახშმის შემდეგ გარეთ ვიჯექი კოცონთან, ვფიქრობდი ან ვწერდი რამეს, ხანდახან მუგუზალს ავილებდი და მთის თავზე გადმოდგარ ვარსკვლავებს დავუქნევდი, რომ თითქოს მათაც შევენიშნე. ამ დროს თუ მოხუცები დამინახავდნენ, მომაძახებდნენ, მაგათ ჩვენგანაც მოკითხვა გადაეციო...

ერთ კვირამდე დავყავი იმ ნელს მთაში. ბოლო დღეს, დაღამებამდე სამიოდე საათითადრე გადავედი კარავთან და ვთქვი, მოვრჩი თიბვას-მეთქი. იქ მარტო შაქრო იყო. მიდიხარ სოფელშიო? – თითქოს გულდანყვეტილმა მკითხა. მე დაუუდასტურე. ბესოც აპირებდა დღეს წამოსვლას ერთი დღით, გადაძახე, ერთად იმგზავრებოთო. ვისაუბრეთ ცოტა ხანს, მერე ამაჩქარა, ნულარ დაავიანებ, არ დაგალამდესო. სანამ ბესოს დაუძახებდე, მანამ მთის წვერები მოვიარე, თითქოს მათაც დავემშვიდობე. ამასობაში დამავიანდა მისი ბუჩქნარიანი სათიბისკენ გადასვლა. როცა გადავედი და დავუძახე, აღარავინ გამომეპასუხა. ჩამავალი მზე ადგა ფერდობებს და ჭრიჭინობელების ხმა ისმოდა მხოლოდ. კიდევ ვეძახე კარგა ხანს. არ ჩანდა ბესო, წასულიყო უკვე. მხოლოდ უკაცრიელი სათიბები და ხევები ჩამრჩა ხსოვნაში იმ წუთებიდან და მთებში ექოებად გამეორებული ჩემი უპასუხოდ დარჩენილი ძახილი. შაქროსთან აღარ მივბრუნებულვარ, გზას დავადექი, რომ წასულს დავნეოდი, მაგრამ ველარ დავენიე...

მანამდე, სანამ მთაში მათთან ბოლო ზაფხულს გავატარებდი, მათთვისვე გადაღებული სურათები ჩავიტანე სოფელში. ბესო ჩვენთან იყო შემოსული, მივეცი, წაიღე შინ-მეთქი. იყოს თქვენთანო, მითხრა და გვიან დააყოლა, მერე წავიღებო. არადა შინ მიდიოდა. რა თქმა უნდა, არც მერე წაუღია. მივხვდი,




დატოვა, ჩვენც რომ გვქონოდა, თუნდაც მომავალში იმ სურათითაც რომ მოგვეგონებინა...

როცა ბესო წავიდა ამ ქვეყნიდან... ორმოც დღეში შაქროც მიჰყვა... მის დასაფლავებაზე ჩასულს მითხრეს, როგორ მძაფრად განუცდია მეგობრის გარდაცვალება, მართლაც როგორ უყვარდათ ერთმანეთი, რამდენი ღამე გაუტარებიათ მარტო უკაცრიელ მთაში, გულითად საუბრებსა და ურთიერთდახმარებაში! ჰოდა, ალბათ, ამიტომ ველარც გაძლო დიდხანს მის შემდეგ...

როცა მათ ვიხსენებ, ის ჩემი ძახილი მაგონდება ხოლმე მთაში, ერთ-ერთს რომ ვეძახდი სოფელში წამოსვლის წინ... ჩემი დაგვიანების გამო რომ ველარ ვნახე და მერე მეორესაც რომ ვერ დავემშვიდობე რიგიანად... იმ ერთად გატარებული ზაფხულის

ღამეების, მზრუნველობისა და ყურადღებისთვის მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი, რადგან სოფელში ჩამოსული მაღე ქალაქში წამოვედი და მერე აღარ მინახავს ისინი... ჩემი მშობლები კი ეტყოდნენ მადლობას, მაგრამ... ჰო, ჩემი ძახილი მაგონდება ხოლმე და ვფიქრობ, ზოგჯერ ისე ვაგვიანებთ ადამიანებთან მისვლას, რომ მერე ველარ ვანვდებით ხმას, ტყუილად იკარგება იგი უკიდევანო, უადამიანო, მშობლიურ, მაგრამ ბოლომდე მაინც შეუცნობელ სივრცეებში... და დადის ჩვენი ძახილი ექოებად მთებს შორის, გადაუვლის მინდვრებს, ხევებსა და ტყეებს, შეიძლება ღრუბლებსაც მისწვდეს, ვარსკვლავებს შორისაც გაიჭრას, ცივ პლანეტებსაც მიასკდეს... მაგრამ ამაოდ... აღარავინ გვაძლევს პასუხს, რადგან ვისაც ვეძახით, აღარ არიან ამ ქვეყანაზე...





**აკაკი ბიძინაშვილი**



**აკაკი ბიძინაშვილი** დაიბადა 1936 წლის 25 სექტემბერს გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში. დამთავრებული აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა პასუხსაგებ თანამდებობებზე. აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ მოძრაობაში.

არის რამდენიმე წიგნის ავტორი.

**ქვეყნად**

*არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა  
არ გამაჩნია...  
მურმან ლებანიძე*

ქვეყნად ვიცოცხლებ მანამ, –  
ასეთი მერგო ბედი,  
არავითარი სხვა რამ  
ჩემი ღია ცის მეტი!

მრავალ სიყვარულს ვმაღავ,  
გული თოვლივით გადნა,  
არავითარი სხვა რამ,  
მშობელი მიწის გარდა!

დიდება ქების ღირსებს,  
დაე, დადუმდეს მტრის ხმა,  
ვერვინ გამიგო ისე,  
როგორც ენამ და სისხლმა.

ომში მეხივით ქუხდა  
ჩემი წინაპრის მკლავი,  
სხვა გემოსია, მუდამ,  
ჩემი კლდეების წყალი.

ქვეყნად ვიცოცხლებ მანამ, –  
ასეთი მერგო ბედი,  
არავითარი სხვა რამ,  
ჩემი სამშობლოს მეტი!

**ახლა იწყება**

ახლა იწყება თავდავინყება...  
ჩემი ანძები აფრებს მართავენ,  
აღარასოდეს არ დამინდება,  
ცხარე ვნებების მწვანე სათავე!

ახლა იწყება ჩემი ბალადა,  
ლეგენდებად და ლამაზ მითებად,  
ჩემი „ურმული“, ჩემი „ვარადა“,  
ჩემი სულიდან ახლა ფრინდება.

ჩემში პოეტის სიცოცხლე ვპოვე,  
მინდა მნათობის ყელზე მოხვევა,  
მე ამ სიმღერის სათქმელად მოველ,  
რაც დამაბარეს ძველმა კოლხებმა.

სალმის გარეშე არავის ვტოვებ,  
სიცილითა და ცრემლით სავსე ვარ,  
მე იმ ლაშქრულის სათქმელად მოველ,  
რომ ვერ მოასწრეს ომში ლაზებმა.

ახლა იწყება თავდავინყება...  
ჩემი ანძები აფრებს მართავენ,  
აღარასოდეს არ დამინდება,  
ცხელი ვნებების მწვანე სათავე!

**იწოცხლა**

იცოცხლა მხოლოდ ამ რჯულზე,  
გულს სიყვარული უკლავდა,  
სალამურზე და ფანდურზე  
რალაც საოცრად უკრავდა.

როცა მღეროდა, ტიროდა...  
როცა ტიროდა, მღეროდა...  
ყველას ტკივილი სტკიოდა,  
ყველას სიხარულს ელოდა.

ცხოვრობდა, მართლაც, ქართულად,  
ბრილიანტს ვერც კი იცნობდა...  
გადინვა, როგორც ნათურა,  
სიკვდილმა არ შეიცოდა.

ცამ გაიტაცა ვარსკვლავად,  
თქვენ გნატრულობდათ იებო...  
დრომ უკვდავება აკმარა,  
სიცოცხლის სამაგიეროდ!



## ვიმღერებ როდის

მე ბედისწერას არ ვემღერები,  
თუმც არ მასვენებს შხამი მოენის...  
მაინც ჭრიალებს ჩემი ურემი,  
გადაბრუნებას ჯერ არ მოველი.

სიკვდილის ლანდი შორიდან მოდის,  
ჯერ უნდა სხვების სული ვაცხონო...  
არ ვიცი, ურმულს ვიმღერებ როდის,  
სამშობლოს თავი რომ დავახსოვო.

## გვიან

არჩევანს ჩემსას ვენვთ ვვიან,  
ველარ ავიღე დროული გეში,  
ლამაზმანების მეხოტბე მქვია,  
არარაობა შემომჩა ხელში.

ზედ შემომაცვდა ფერთა მაზარა,  
გულს ველარ ვარგებ დაჟანგულ ბოქლომს,  
ვიხსენებ ყრმობის დღეებს დასანანს,  
ვით მდინარეში გადაყრილ ოქროს.

## ჩემს ეზოში

ალარა მაქვს გულში დარდი,  
ვგავარ ნამდვილ არწივს,  
ჩემს ეზოში კაცი დადის,  
სულ პატარა კაცი...

დაჰქრის ისე, როგორც ქარი,  
მიწვეს შრომის ჭაპანს,  
ჩემი შვილისშვილი არის,  
ენაცვალოს პაპა!

დაბრძენდება, დაკაცდება,  
იმის გაზრდას ვნატრობ,  
სიამაყე არ ასცდება  
ამ ბოკვერის პატრონს!

## ქართველი


რა საოცარი ბედი აქვს ქართველს,  
ვალი იმისი ვის აღარ მართებს...  
უხვად არიგებს სისხლსა და მინას,  
გულჩვილი, ზოგჯერ, მტერსაც კი იცავს.

სწამს, სჯერა, უყვარს, ანთია, იწვის...  
ერთგული რჩება ნათქვამი ფიცის,  
თავს ანაცვალებს: მოსაგრეს, ამქარს,  
შეჩვეულია სიცოცხლეს ამგვარს...

ვალი იმისი ვის აღარ მართებს, –  
რა საოცარი ბედი აქვს ქართველს?!







**ჯუმბარ უთრუთაშვილი**



**მშობლიურ სოფელს**

სიზმარში გნახე, ცხადად, კვლავ, ვერა,  
ჩემი სიცოცხლის დიდო ნაწილო,  
როცა კარგად ხარ, ვიცი და მჯერა,  
მსურს სიხარული გამინაწილო.  
შენს გულში დამრჩა ფესვი და ფუძე,  
რადგან ხარ ჩემი ყრმობის აკვანი,  
ამდენ ჭირ-ვარამს იმიტომ ვუძლებ,  
რომ მათბობს შენი ტრფობა, თაყვანი.  
მეც შენი ვინრო გზა-ბილიკებით,  
დავლახე გრძელი გზები სავალი,  
„ზედაშის“ მადლით და „კვირიკეთი“  
დავჯაბნე სევდა – დარდი მრავალი.  
დედას ნუხილი შვილის გამო აქვს,  
მეც მოგიმატე, ალბათ, ჭაღარა,  
გულიდან ჯავრი, თუ, ლექსს გამოაქვს,  
მაშ, შენი გული რაღამ დაღარა?..  
ვიცი, ისევე თვალ-ყურს მადევნებ,  
თოთო ბალღივით რომ არ ნავიქცე,  
შენი ვენახის ვნურავ ტკბილ მტევნებს,  
რომ მათრობელა მაჭრად გარდვიქცე.  
ლექსია ჩემი ფული – ქონება,  
შენ კი ხარ ლექსის სათავე – წყარო,  
სანამ მაქვს სალი ჭკუა-გონება,  
შენ გამო ვნუხვარ და შენით ვხარობ.  
შენთვის ეს გულიც არ მენანება,  
თუმც, რომ გიბოძო, რითღა გიტურო,  
ოცნება მუდამ არის თავნება,  
ერთურთი უნდა გავაქვითკიროთ.  
ქვეყნად ლამაზი ბევრია მხარე,  
ბევრმაც ურწია აკვანი მარშლებს,  
მაგრამ, მე შენი მურაკი მნარე,  
მიჯობს სამოთხის აკრძალულ ვაშლებს.  
მიყვარს თბილისი – მამულის დედა,  
მცხეთა – ნაგები დიდ რწმენის სვეტად,  
მაგრამ, ხმამაღლა, ამის თქმას ვბედავ,  
რომ, შენ მიყვარხარ, – ყველაზე მეტად...

**ლექსით ვხარობ, ლექსით ვჭირი**

უფალ-ღმერთის ნება იყო  
ლექსის უღელი მენია,  
მაგრამ კარგად როგორ ვიყო,  
ქვა აღმართში მომენია.

სადაც ნაველ და რაც ვცაღე,  
ყველგან, ხელი მომეცარა,

ღმერთო, შენთან ხიდი გავდე,  
თუმც, წყალობა მომეც არა.

დავალ, ახლა, სვეგამწყრალი,  
უპატრონო ხარი ბერი,  
მაგრამ ვიცი, მე, საწყალი,  
ვიყავი და ვარ იბერი.

არ მოვუხრი ქედს არავის,  
არ გავხდები მონა სხვისა,  
მძულს უქნარა და მპარავი,  
მოყვარული არ ვარ მტრისა.

ასეთი მაქვს ზნე და ნირი,  
უფრო კარგი, ცუდი ვიდრე,  
ლექსებს ვართავ ენა-პირით,  
ლექსით გული გავამდიდრე.

**ისევ კახეთისადმი**

სისხლმონყურებულ ურიცხვ მტარვალებს,  
მარად ხვედბოდი პირველთაგანი,  
მამულის დაცვას ისევ გავალებს  
ომში ნაწრთობი იატაგანი.

შენი დიდების დიდი მონმეა:  
გრემი, გარეჯი, ბოდბე, არხილო,  
ზოგი მტერი, რომ ვითომ მოძმეა,  
უნდა მივხვდეთ და უნდა ვამხილოთ.

გამოგიზრდია მრავალი ბრძენი,  
ბევრი გამირთგმირიც დაგიბადია,  
მაგრამ ვინ თვალოს, ის შენი ძენი,  
შენთვის სიკვდილი ვისაც სწადია.

შენი ამაგი და შენი ღვანლი  
ვინ დააფასოს და ვინ აწონოს,  
გახსოვდეს, ზოგს სურს, ველური აწლი  
საფერავივით რომ მოგაწონოს.

ხომ იცი, უფრო უარესია  
მტერი მცინარი, მოსული ფულით,  
ჩვენ რა გვიშველის, თუ არ მესია,  
ერთად დოგმა და ღვთის სიყვარული.

შენი ტკივილი მაღაპარაკებს,  
ზოგჯერ, მამუნჯებს, ზოგჯერ, მაცინებს,  
რა ვქნა, ვერ ვუძლებ ამდენ არაკებს,  
ქვებუდანებს და ეშმას ბაცილებს.



გულში იმედი მაინც ანთია,  
ბარაქიანი წინ გელის რთველი,  
ყველამ იცოდეს, რომ შენს განთიადს  
მოიყვანს, მხოლოდ, კაცი ქართველი.

## ჩემი ვენახი დამნიფდა გვიან

ჩემი ვენახი დამნიფდა გვიან,  
გვიან დაღვინდა, მიტომ, მაჭარიც,  
ერთი რამ, მაინც, ვერ გამიგია,  
სიმშვიდე რატომ არ მაქვს, სად არი?..

სიტყვასთან ომში ვიყავ გართული  
და ლექსს ვმარგლიდი, როგორც ხახვის კვლებს,  
ბეჩავს ჯიბეში არ მქონდა ფული  
და შორს ვუვლიდი, ხოლმე, სახინკლეს.

ცრემლით და სისხლით ვწერდი სტრიქონებს,  
რითმის დევნაში ვტყუავდი ღამეს,  
იმითა ვხარობ და თავს ვინჯებ,  
სხვას რომ მოვგვარე, ბევრჯერ, სიამე.

პატიოსნების გზებით ვიარე,  
სიმდიდრე, მიტომ, ვერ მოვიხვეჭე,  
სხვისი დარდები გავიზიარე,  
ვერ მოვერიე ჩემს ჭირს და ეჭვებს.

ბევრი ტკივილი დრომ გამიქარვა,  
ბევრს კი აქამდე ვერ უმკურნალა,  
ბედმა, მრავალჯერ, გამომდო სარმა  
და ჩემი ცხენი უკულმა ნალა.

ბედის მორჩილი, მაინც, არა ვარ,  
მხნედ მივუყვები სანუთროს გზას რთულს,  
ვუმღერი, როგორც ბურჯს და ბალავარს, –  
ჩვენს მამულს, რწმენას და ენას ქართულს.

## შენი რძის სუნი მეცა მდის

შენი რძის სუნი მეცა მდის,  
ჯერ, კიდევ, ბალღმა რომ ვნოვე,  
ამაღლებულო ზეცამდის,  
შენი სადარი ვერ ვპოვე.

არასდროს გაუნელდება  
ქართველ კაცს შენი ტრფიალი,  
მზე თვითონ დაუბნელდება  
ავად ვინც გიმზერს, ტიალი.

იმედით გვავესებს ქართველებს  
შენი გზა და სვლა ღვთიური,  
ჭირს და ჭრილობებს ამართლებს –  
სული ქართული, მზიური.

ბევრჯერ, დაგწვეს და დაგნაცრეს,  
მტრის ჯიბრზე მაინც დგებოდი,  
ღვთის სიყვარულით რომ აგცრეს,  
იმიტომ არა კვდებოდი.

თბილისო, გული გაქვს თბილი,  
შენი ნათლიის ჭირიმე,  
მოყვრისთვის, მარად, ხარ ტკბილი,  
მტრისთვისა სჭედავ ხირიმებს.

## ხან დარდი მალაპარაკებს

ხან, დარდი მალაპარაკებს,  
ხან, სიყვარული მამუნჯებს  
ღმერთი მთხოვს ლექსებს – ზვარაკებს,  
საწყალი გულის საუნჯეს.

ხან, მუზას ვემუდარები,  
გამილოს რითმის კარები,  
ხან, თვითონ, მუზა მაძალებს  
ლექსით ვებრძოლო ავ ძალებს.

არ მიმაჩნია ცა ქუდად,  
როცა ვქნი ლექსის სტრიქონებს,  
ხან კი, ვარ ოხრად და ცუდად, –  
კარგ რითმას თუ ვერ ვიგონებ.

რა შეედრება იმ წამებს,  
როცა ლექსს ვამშობიარებ,  
შენს ნაღვანს სხვაც რომ იწამებს,  
სხვასაც რომ ურჩენს იარებს.

ხან, ტკბილია და ხან, მწარე,  
ლექსთან ბრძოლა და ჭიდილი,  
სიცოცხლეს ლექსით ვამთავრებ,  
ლექსით მნადია სიკვდილი.

\* \* \*

ყოველი კაცი იმ ნაყოფს იმკის,  
რაც რომ დათესა და რაც რომ დარგო,  
სხვას თუ მეტი აქვს, ის კი ნუ გიკვირს,  
შენ რაც გაქვს, იმით, სხვას უნდა არგო.

\* \* \*

ფერი იცვალეს ყანებმა,  
რძით ავსებულა თავთავი,  
ღმერთო, მეც მომე წყალობა,  
ლექსი მაქვს ჩამოსართავი.

\* \* \*

ყველა კაცს თავი ბრძენი ჰგონია,  
არ გაამტყუნებს თავისთავს არვინ,  
ისეთი ბრიყვიც გამიგონია,  
უფალს რომ გმობს და ადიდებს დარვინს.





**თინათინ მრეღაშვილი**



**სიწოვხლოე ხარ ჩვენი!..**

მარიამის წილხვედრ ბაღნარს –  
 მზის გვირგვინი გშენის,  
 შენით ვინევთ – ცამდე, მაღლა, –  
 სიცოცხლე ხარ ჩვენი...

ბედნიერი ვხდებით, როცა –  
 თვალზე ცრემლი გშრება,  
 სულ, – იბრწყინე, გულით გლოცავთ, –  
 გქონდეს: ღებენა, შვება...

**მე სხვა სიყვარული არ მნამს...**

მე, მზე, სხვათა თვალთა არ მწვავს,  
 ვეტრფი, მე, მაგ თვალთა ნამნამს,  
 მე, სხვა სიყვარული არ მნამს,  
 მე, სხვა საქართველოც არ მნამს.

**თელავს**

მთები, თოვლით მოსირმული,  
 მზის სხივებით ბრწყინავს, ელავს  
 და იხუტებს, სიყვარულით  
 ერეკლეს ხმლით ნაკურთხ თელავს.

წარსულ დღეთა სიდიადით,  
 ის ხომ, დღესაც, ხიბლავს ყველას,  
 ფიქრებს ანდობს გულზვიადი –  
 ღამაზ, ფერად, ცისარტყელას.

ჩვენს ბრძენ მეფეს, – პატარა კახს,  
 სიტყვა ხმლით და საქმით უთქვამს  
 და შესწირა ქართულ მიწას:  
 ფიქრიც, სულიც, გულიც, სუნთქვაც...

**პოეზია**

პოეზია სიბრძნეა და...  
 თესავს სიბრძნის მარცვალს,  
 არ გიტოვებს წუთისოფლის –  
 არც ვნებას და არც – ვალს...

**მსურს...**

ზამთარი შორეთს გარბის, – დაზაფრული,  
 მიფრინავს, ვითარცა – თეთრი წერო,  
 ველს რომ ესტუმრება გაზაფხული,  
 მსურს: მისებრ, ღამაზი ლექსი ვწერო...

**იქნებ...**

მე რამდენ, ღამეს ვათენებ, –  
 ყორნისფერ ღამეს, – მთვლემარსა,  
 შენ, ალბათ, არც კი მახსენებ,  
 მე, შენთვის, ღამის მთევარსა.

შენ, ალბათ, არც გაგონდები,  
 განცდის – არცა გთხოვ, მე, ვალსა  
 ცისკრის ჟამს დაველოდები,  
 ვით – სიყვარულის მძევალსა...

მის ღამაზ სხივთ შევავედრებ –  
 ფიქრსა და ეჭვებს, – ტიალსა,  
 იქნება, გული გაგიტობს, –  
 შენც თავი მისცე ტრფიალსა...

**რა ღამაზია**

რა ღამაზია: დაისის დროს, მზე – ნანვიმარზე  
 და... ათასფერად მოქარგული, ღრუბლებით ზეცა,  
 დაცქერი სხივთა ციალებას, ყვავილთა ცვარზე  
 და, ოცნებებში გახვეული, ღამაზ გზებს ვკეცავ.

**ერთად გვამყოფოს უფლის ძალამო...**

თუნდ მანყენინო, თუნდა, მაამო,  
 ყველა გზა შენსკენ მოდის,  
 ოცნებად მექცა ტრფობის საღამო,  
 როდის მაჩუქებ, როდის?..

კაეშნით, ბევრჯერ, მავსებს საღამო,  
 დრო მიაქვს ფიქრს და ლოდინს,  
 ნატვრაში: ერთად ვათენ-ვაღამოთ,  
 ცისკრის ნათებაც მოდის...

ცა, მენამულ ფერს ღვრის მაღამოდ,  
 მზისგან წარინჯად რომ დის,



ერთად გვამყოფოს უფლის ძალამო,  
არად მივიჩნევ ლოდინს.

თუნდ, მანყენინო, თუნდა, მაამო,  
ყველა გზა შენსკენ მოდის,  
ოცნებად მექცა ტროფობის სალამო,  
როდის მაჩუქებ, როდის?..

### მხოლოდ შენთან ერთად...

სამოთხეც, კი, არად მიღირს, –  
ნეტარების ამო თქემით,  
მხოლოდ შენთან ერთად მიღბინს  
ყოფნა, ზღაპარ სამოთხემიც...

### სანამ, – გულში შენი სახე სახლომს...

არც მე ვიცი, როდის გიღბინს კარგო,  
არც შენ იცი, როდის მიღბინს, ალბათ,  
სიყვარული მაშინ უფრო ვარგობს,  
ბედის საჭე, როცა ბრუნავს კარგად.

ნუხელ, ფიქრში, გაიღია ღამე  
და... თვალბუბე, მთლად, გამიკრთა რული  
არც – ბუღბუღმა მიგალობა, – რამე,  
რომ მერწმუნა შენი სიყვარული.

მოდი მალე, თორემ თმებში მათოვს,  
მენატრები, მოდი უფრო ახლოს,  
სანამ, – სუნთქავს, შენი სუნთქვა ათრობს,  
სანამ, – გულში, შენი სახე სახლომს.

### მე კი, – რა ძლიერ, მწამდი...

მე აღარ მოვალ, შენთან, არასდროს,  
და, არც რას გეტყვი ლექსად,  
წვიმის წვეთები ცრემლებს მთავაზობს,  
ნეტავ, სადა ხარ ეხლა?

ქარის ზუზუნში სიტყვებს ვეძებდი,  
ფოთლებს გვირგვინად ვწნავდი,  
დღემდე, ვერ მითხარ – სიტყვა, ვერცერთი...  
მე, კი, – რა ძლიერ, მწამდი...

### წვიმა რას მიშლის?!.

წვიმა რას მიშლის, უფრო მახელებს  
და, მოვალ შენთან ნატვრით,  
ცად ავიჭრებით, მზე სხივს გვაჩუქებს,  
ღრუბლებსაც ლაღად გავჭრით.

თუ, შენი სუნთქვა, სუნთქვას მაჩუქებს,  
წყენას აღარად ჩავთვლი:  
თუ, შენს მკლავებზე გამეღვიძება  
ნებიერს და თმებგამლილს...

### სიყვარული...

დასაბამიდან, მოდის კითხვა, – მარადიული:  
რით განირჩევა გატაცება? რით სიყვარული?..  
გატაცება – ვინც არს თვალთ შეყვარებული,  
სიყვარული კი – როცა მზეობს თვალთ და გულიც...

### ჩემო: ფიქრო და ყველაგ!..

განცდას მიმიხვდნენ შინდებიც,  
ჩემო: ფიქრო და... ყველაგ,  
როცა, შენ გხედავ – ვმშვიდდები,  
როცა, ვერ გხედავ – ვღელავ...

### შემოდგომის საღამო

თეთრად შებურვილი დამდგარან მთები და...  
რბის ალაზანი, ლალი, როგორც შველი,  
მზე, ნისლის ფთილები, – ღრუბელთა ფრთებითა,  
ამ, ღამაზ, საღამოს საოცრად შვენის.

ეს გული, ეს განცდა, ზღვას ერთვის მღელვარეს,  
ტალღებთან ნანაობს სხივების ჩენით,  
როდის შევხვდებითო, – ოცნება ელვარებს, –  
როდის ახდებო მზე ნატვრა ჩვენი?

### ბედმა ვერ-რით გვრიყოს...

თუნდ, გვიჭირდეს, თუნდ, გვიღბინდეს,  
მინდა – ერთად ვიყოთ,  
თუნდ, ვსტუმრობდეთ – ქართლს და კახეთს,  
თუნდ ვლაშქრავდეთ რიკოთს,  
თუნდ ვლაშქრავდეთ მთის მწვერვალებს,  
ბედმა ვერ-რით გვრიყოს,  
მხოლოდ ერთად, მხოლოდ ერთად,  
მხოლოდ ერთად ვიყოთ.

### და სულ... მემახსოვრება...

ჩემს ფიქრებში, ხან, სხივი კრთის,  
ხან ზღვა ღელავს, – მქუხარი,  
დროც, რა ნელა მიზოზინებს,  
შფოთავს გულის ბუხარი,  
მაგრამ... მოვა ის ნუგეში  
და... სულ მემახსოვრება...  
ვნახოთ, აბა, საიმედოდ,  
რას მპირდება ცხოვრება?..

### მე მჯერა, ძვირფასო...

გნატრობენ, გნატრობენ, გნატრობენ ფიქრები,  
სიცოცხლედ მიცვნიხარ, რად ილტვი შორს?..  
მე მჯერა, ძვირფასო, რომ ერთად ვიქნებით,  
რომ ზენა ბედსა გვწევს ჩვენ, ერთად, ორს.







ნათია კამბურაშვილი



## ცოცხო, ცოცხო გაფრინდი!

ზღაპარი

ერთი სოფლის განაპირას დედაბერი ცხოვრობდა. ახალგაზრდა აღარ იყო და მიმხედავიც ადამიანიშვილი არ ჰყავდა. მხოლოდ ერთი ძაღლი და ერთიც კატა ცხოვრობდა მის ბედობაზე. ქალი არც მუყაითობით გამოირჩეოდა. ნამონწებოდა, გადაგორდ-გადმოგორდებოდა, მერე ადგებოდა, გაივლიდა ეზოში, კატას ან ძაღლს გამოელაპარაკებოდა, რაღაცს დაავალებდა. არც ტკბილსიტყვაობით ინონებდა თავს; ერთგულ ცხოველებს წარამარა დაუტაცანებდა ხოლმე.

ერთ დღესაც, მშვიდი იჯდა ეზოში და საჭმლის საშოვნელად წასულ ძაღლსა და კატას ელოდებოდა. მიმოიხედა, თითქოს ვინმეს ან რამეს ეძებდა, რომ ჯავრი ეყარა. უცებ კედელზე მიყუდებულ ცოცხს მოჰკრა თვალი და გაღიზიანებულმა უთხრა: „ეი, შენ, უსაქმურო! მანდ რომ აყუდებულხარ, რას მიკეთებ? მიდექ-მოდექი და დაგავე. მაინც და მაინც კატას ან ძაღლს უნდა ელოდო, რომ ოთახი დაიგავოს? მიდი, დაგავე!“ ცოცხი, რა თქმა უნდა, ადგილიდან არ იძვრის. დედაბერს კი ლაპარაკის საღერღელი აეშალა: „ხო, დაგავე, დაგავე. იმას ხომ არ გთხოვ, შემისვი, ამ სოფელს გადამაფრინე და ერთი-ორი ქვეყანა მაინც მაჩვენე-მეთქი. ამ არე-მარეს იქით ფეხი არსად გამიდგამს“. ქალმა მწარედ ამოიოხრა. უცებ ხიდან ჩიტის ხმა ჩამოესმა: „ქალო, რამ დაგალონა. მიდი, ერთი შენებურად ხმამალა შესძახე, ცოცხო, ცოცხო გაფრინდიო და იქნებ გაგაფრინოს და მოგატაროს ქვეყნიერება“.

„ჩიტო, რას ბოდავ, ეგ მხოლოდ ზღაპრებში ხდება“, მიუგო დედაბერმა და კიდევ უფრო მწარედ ამოიოხრა.

ჩიტი კი უფრო აჭიკჭიკდა: „მისმინე, ქალო, შორს, აქედან ძალიან შორს, ერთი ქვეყანაა. დამიგდე ყური:“

ერთი ქვეყანა ყოფილა სიცილია, იქ სულ ხარხარი და სიცილია, წამო, ჩვენც წავიდეთ სადაც სიცილია, არ გინდა? იქ ხომ გართობა და სიცილია?“

„კარგი, კარგი, ჩიტო, გაჩუმდი, თორემ თუ გაგიბრაზდი, ეგ სიცილია თუ ხარხარია აღარც გემახსოვრება“.

„შენთვის ვამბობ, ქალო, სცადე, უთხარი, თუ არ გაფრინდება, ხელში მაინც აიღებ და დაგვი“.

„კარგი, ვცდი. აბა, რა გამოვა“, თქვა ქალმა და ცოცხს მიუბრუნდა: „აბა, გაფრინდი, გამაფრინე იმ ხარხარ-სიცილში“. ცოცხი არ იძვრის.

დედაბერი გაბრაზდა: „ჩიტო, შენი ხმა აღარ გავიგო, ჩემი არ მეყოფა, შენც რომ არ მატუტუცებდე?“

„ქალო, კარგად უთხარი, ცოცხო, ცოცხო, გაფრინდი-თქო და ნახავ, რას იზავს“.

ეს ჩვენი დედაბერი ყველა სიკეთესთან ერთად, ხანდახან ენასაც უკიდებდა. ცოცხს შეხედა, ცოცხა დამშვიდდა, გაეცინა და უთხრა: „ცოცქო, ცოცქო გაფრინდი“. და, აი, საოცრებაც: ცოცხი ცოცხათი გატოკდა. დედაბერს თვალეზი გაუფართოვდა, ცოცხა არ იყოს შეეშინდა კიდევ. ჩიტმა-ჩიტუნამ კი მხიარულად ჩამოსძახა: „ხომ გეუბნებოდი, ქალო, შენ კიდევ არ მიჯერებდი. მიდი, გაბედულად, ერთი-ორჯერ კიდევ უთხარი“.

ქალმაც – ცოცქო, ცოცქო გაფრინდი, ცოცქო, ცოცქო გაფრინდიო, უთხრა და ცოცხიც კიდევ უფრო მეტად გატოკდა. ქალმა სიხარულით ტაში შემოჰკრა, ჩიტიც უფრო მეტად აჟივჟივდა, ხუთჯერ, ხუთჯერ უთხარო, ჩამოსძახა. იმანაც უფრო მეტი შემართებით „ცოცქო, ცოცქო გაფრინდი...“, ხუთჯერ შემოსძახა და ცოცხიც ერთი კარგად გაინ-გამოინია. „ვაჰ, ვაჰ“, გაოცდა ქალი, ახლა რაღა ვქნა, ჩემო ჩიტო ჩიორაო?“

„ახლა ათჯერ უთხარი“, ჩამოსჭიკჭიკა ჩიტმაც. ქალმა დაუზარებლად ჩამოარაკრაკა ათჯერ: „ცოცქო, ცოცქო გაფრინდი“.

სადღა ახსოვდა სიზარმაცე. ისე ჩაერთო მთელ ამ ამბავში, რომ უკვე თვალწინ წარმოუდგა, როგორ გაფრინდებოდა ცოცხთან ერთად და მიაღწევდა საოცარ ქვეყანას, სახელად ხარხარისას თუ სიცილიას. ათჯერ რომ ჩაათავა, ცოცხი ერთი წამით მართლაც მოწყდა მიწას და მერე ისევ ძირს დაეშვა. „რატომ, რატომ არ გაფრინდა?“ – იკითხა შემფოთებულმა ქალმა და ჩიტს ახედა. ჩიტიც ჩაფიქრდა და ჩამოსძახა: „ქალო, ეს იმიტომ ხდება, რომ არ მოსწონს, სახელს რომ უმხახინჯებ. ეგ ცოცქი კი არ არის, ცოცხია. ცოცხო, ცოცხო გაფრინდი უნდა დაუძახო. გაიგე?“

„ჰო, კარგი, კარგი, ახლავე“, თქვა ქალმა. ლამის ბოდიშიც მოუხადა.

მერე ისევ შეუდგა: „ცოც-ქ-ო, ცოც-ქ-ო, არა, არა, არ გამომდის“.

„სცადე, სცადე, ქალო, ამიტომაა, რომ არ გაფრინდა. ივარჯიშე, ივარჯიშე ბევრი. თუ გინდა გაგაფრინოს, სწორედ უნდა თქვა მისი სახელი“.

ჩვენი ზარმაცი დედაბერი ძალიან დაილაღა. გრძნობდა, იმ დღეს სწორედ ველარ იტყოდა ამ სი-



ტყვას და ჩიტს უთხრა: „ამ საღამოს სახლში ბევრს ვიმეცადინებ და ხვალ კიდევ ვცდი ბედს“. ქალი შინ შევიდა, წარმოიდგინა, რომ ცოცხზე ზის, მიფრინავს და ზევიდან გადმოჰყურებს თავის სოფელს, კიდევ ბევრ უცხო სოფელს და მიიჩქარის ქვეყანა ხარხარ-სიცილისკენ. „ისე, მაინც, რომელია, ხარხარია თუ სიცილია?“ იკითხა ხმამაღლა.

ამ დროს ყეფა-კნავილიც შემოესმა და გახარებულემა, რომ პატრონს საჭმელი მოუტანეს, ძაღლმა და კატამაც შემოირბინეს. ქალს საჭმლისთვის ზედაც არ შეუხედავს, ისე ლილინ-ლილინით მოეფერა ცხოველებს. ისინი გაკვირვებულები შესცქეროდნენ ქალს, ასეთი რამ ჯერ არ ენახათ! საჭმელზე უთხრა: „თქვენ, პატარებო, თქვენ შეჭამეთ. დიდი მადლობა“ და დასაძინებლად დანვა. დანვა და ვარჯიში დაიწყო „ცოცხის“ სწორად წარმოთქმაში. ამბობდა ნელა: ცოც, მერე საკმაოდ დიდხანს ჩერდებოდა და ისე ამბობდა ხო. მაგრამ, როგორც კი აერთებდა ისევ „ცოცქო“ გამოსდიოდა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. სულ მარცვალ-მარცვალ, ბგერა-ბგერა იმეორებდა ამ ერთ სიტყვას. იმ ერთი ბგერის სწორად წარმოთქმაზე იყო დამოკიდებული, მოხვდებოდა თუ არა იმ მხიარულ ქვეყანაში...

დილაუთენია, ისე, რომ ჯერ ძაღლსაც და კატასაც ეძინათ, წამოდგა და ეზოში გავიდა. ცოცხი ისევ იქ იყო. დადგა დედაბერი ცოცხის წინ, გასწორდა, ნერწყვი გადაყლაპა, ღრმად შეისუნთქ-ამოისუნთქა და ხმამაღლა, ოდნავ მღელვარება შეპარული ხმით დაიწყო: „ცო-ც-ხ-ო, ცო-ც-ხ-ო, გაფრინდი, ცო-ც-ხ-ო, ცო-ც-ხ-ო, გაფრინდი“. დგას ქალი, ათჯერ ამბობს ამ ჯადოსნურ სიტყვებს სწორად, თუმცა ნელა და უცებ, ცოცხი მოსწყდა ადგილს და გაფრინდაა! ქალი განცვიფრებული და გახარებული უყურებს ცოცხს. დაიწყო ხტუნვა, სიცილი, ხარხარი. ცოცხი კი მიფრინავს, სულ ცოტათილა მოჩანს. ქალი გაჩერდა და დაუწყო ძახილი ცოცხს: „მოდ, მოდი ჩემთან. გამაფრინე, ცო-ც-ხ-ო!“ ცოცხი კი ერთ პატარა

წერტილადლა მოჩანს. სასონარკვეთილმა ქალმა ტირილი დაიწყო: „ჩემო ცო-ც-ხ-ო, სად მიდიხარ? მე, მე რალა ვაკეთო აქ? მერე ჩვენი სიცილ-ხარხარია? იქ ხომ ერთად უნდა წავსულიყავით?“

ჩიტი-ჩიორა მთელი ამ ხნის განმავლობაში ხეზე მჯდარიყო:

„შე სულელო ქალო, რატომ ზედ არ შეაჯექი და ისე არ უთხარი? დარჩი ახლა და იყავი აქ. უცხო ქვეყნების მონახულება ხომ უკან დაგრჩა და ცოცხიც დაკარგე“.

ქალი იქვე ჩამოჯდა და დალილიმა თვალები დახუჭა. კარგა ხანს იჯდა ასე. თვალი რომ გაახილა, დაინახა თავისი ერთგული კატა და ძაღლი აქეთ-იქიდან ამოსდგომოდნენ. მან არ იცოდა, რომ ცხოველები მის სიცილ-ხარხარს და ტაშისკვრას გამოეყვანა სახლიდან და უზომოდ გახარებულები იყვნენ თავიანთი პატრონის მხიარულობით. დედაბერმა კი გაიფიქრა, რომ ფიქრებშიც კი არ გაახსენდა არც ერთხელ, რომ თავისი ძაღლი და კატაც წაეყვანა იმ საოცარ ქვეყანაში, რომელსაც ასეთი მხიარული და სასაცილო სახელი ჰქვია.

ცხოველებს შეხედა და დაინახა, რომ მათ სახეებს ღიმილი არ შორდებოდა. ქალი დაფიქრდა ამ ამბავზე, ფიქრობდა და ფიქრობდა. რალაცას ხვდებოდა. თანდათან მასაც ღიმილი შეეეპარა. გაახსენდა, როგორ კარგად გრძნობდა თავს, როცა მთელი გულით იცინოდა და ტაშსაც უკრავდა. იმასაც მიხვდა, რომ თუ მოინდომებდა, ჯერ კიდევ ბევრ რამეს მიაღწევდა. ცოცხზეც გაეცინა, თავის თავზეც. ცხოველები ამის დანახვაზე სულ გადაირივნენ, სიხარულისაგან მაღაყებს გადადიოდნენ. ჩიტიც ძალიან მხიარულად აჭიკჭიკდა ხის ტოტზე და ჩამოსძახა: „მიხვდი, ქალო? მთავარია მუდამ ეცადო კარგ ხასიათზე იყო, ერთგული მეგობრებიც დააფასო და სიცილ-ხარხარიც არ მოგაკლდება, მუდამ მხიარულ ქვეყანაში იცხოვრებ!“





ცინანა თვალთაშვილი



**პატრიარქი ჩვენი**

სასოებით უმზერს  
 დღეს ქართველი ერი,  
 გვიცავს მისი ლოცვა,  
 ვერ გვერევა მტერი.  
 სიმართლისთვის მებრძოლ,  
 დიდ ილიას გზაზე –  
 შემდგარა და იღწვის  
 იმედებით სავსე.  
 დღისით, ღამით, დღლით –  
 ბოროტ ძალთა ქშენის –  
 გამქარწყლებელ ლოცვით,  
 პატრიარქი ჩვენი.  
 ცას ანათებს მისი –  
 მუხლმოყრილი ლოცვა  
 და მშვიდდება მიწაც,  
 წამოდგება როცა.  
 წინაპართა ღვანლის  
 რუდუნებით მჩენი,  
 დაგვილოცოს ღმერთმა  
 პატრიარქი ჩვენი.

**დავა „ქართული“**

ქალი – მოსრიალე გედი,  
 ვაჟი – მონადირე ფრთხილი,  
 ქალი – სინატიფე დიდი,  
 ვაჟი – ამ სინაზის ჩრდილი;  
 ქალი – სათნოების კალო,  
 ვაჟი – სიყვარულის ფიცი,  
 ქალი – თავანკარა წყარო,  
 ვაჟი დამცველია მისი.

**რწმენა და ენა**

*„ენა, მამული, სარწმუნოება“  
 ილია*

საუკუნეებს გამოატარა  
 ქართველმა კაცმა თავისი რწმენა  
 და ფოლაღვით მტკიცედ ნაწრთობი,  
 ჯავარიანი ქართული ენა.  
 თუმცა მრავალგზის იყო მცდელობა  
 მათი დაკარგვის – ვერა და ვერა,  
 ვერ დაიმონეს ურჩი ქვეყანა,

რადგან იცავდა რწმენა და ენა.  
 დღესაც თორ-აბჯარასხმული ისევ  
 მამულს დარაჯად უდგანან მჯერა:  
 წმიდა დავითის, წმიდა თამარის,  
 გრიგოლ ხანძთელის, ილიას რწმენა  
 და მასთან ერთად ჩვენი ძვირფასი  
 და სანუკვარი ქართული ენა.

**გერგეტის სამეზბა**

ღმერთმა აკურთხოს მისი მარჯვენა,  
 ვინც აგაშენა აქ, – ცასთან ახლოს,  
 მთის სინმინდესთან შენივთებული,  
 აქ, ხალხიც, თითქოს, სხვაგვარი სახლობს.  
 ძნელია – განცდის სიტყვით გამოთქმა,  
 ამ საოცრებას შეჰყურებ როცა,  
 გაოგნებული ვჩურჩულებ მხოლოდ,  
 ნუთუ, ეს, ღმერთმა, მართლა, ჩვენ მოგვცა?!  
 ამაღლებული, სულით და გულით,  
 ვტოვებთ მთის კალთებს შეფენილ სოფელს  
 და ცისარტყელაც გვიღიმის ყველას –  
 ღმერთთან და ცასთან სულ ახლოს მყოფობს.

**ალბათ, მუდამ, ასე იყო...**

ალბათ, მუდამ, ასე იყო...  
 ჩვენი ტურფა საქართველო, –  
 არის – ყინვაგამოვლილი,  
 იის ერთი, მორცხვი, ღერი,  
 მაგრამ, მაინც,  
 მტრის ჯინაზე,  
 დღესაც, ისევ, სხავრიელად,  
 გასაოცარ  
 ლექსებსა წერს,  
 გულწარმტაცად –  
 ცეკვავს, მღერის.

**პაპის მოფერება**

შენ გენაცვალოს პაპა,  
 ჩემო, პატარა ბიჭო,  
 ეგ, შენი ჩახუტება  
 მე, მილიონებს მიჯობს.  
 ღმერთმა დაგებუროს თავზე  
 ქუდი კაცური კაცის,





მუდამ, სიკეთე თესე,  
არ ემსახურო „მაცხილს“.  
გიყვარდეს: დედა, მამა,  
ბებო – პაპები, ყველა,  
თუ, შემისრულებ თხოვნას? –  
ამაზე, მეტად, ველავ.  
დაიმახსოვრე, კარგად,  
ეს, – ჩემი დარიგება:  
ისეთი გაიზარდე,  
დაიმსახურო ქება.

## ნატვრა

ისევ – ნვიმა, აციება სულში,  
იმედებიც, სადღაც, ქრება, თითქოს,  
იძულებით ფიქრი, ჯდომა, სულ, შინ,  
მაშინ, როცა გული ფრენას ითხოვს.  
გაზაფხულზე – შემოდგომის სევდა,  
ცაც ტიროდა მის ნაღვლიან მზერას,  
სველ ბარათებს წერდა, მერე ხევდა,  
რადგან, – მზესთან, მაინც, გახდა ვერას.  
და, კვირტივით, გაიბერა ნატვრა,  
ვიოლინოც კვენესის მწუხრის ხმაზე,  
ფრენასავით ძლიერ მოენატრა –  
ცისარტყელას გაბრწყინება ცაზე.

## ვეფრენა ღვთისმშობლისადმი

ვით – მრავალგზის, –  
ისე, დღესაც,  
საქართველოს სანახებში  
უჩვეულო ქარია,  
დაგვიფარე შენი კალთით,  
ღვთისმშობელო, მარიამ.  
ვით – მრავალგზის, –  
ისე, დღესაც,  
ჩვენს გულებში  
კვლავ, განგაშის ზარია,  
შეავედრა საქართველო  
შენს წმინდა ძეს,  
ღვთისმშობელო, მარიამ.  
შინაურ და გარეშე მტერს  
რა გამოლევს?  
მოხარულნი არიან,  
დაგვიმარცხე მოშურნენი,  
ღვთისმშობელო, მარიამ.  
მოდის რწმენა, –  
სანუკვარი,  
ჩვენი დაცვის  
უმტკიცესი ფარია,  
ვით – მრავალგზის, –  
ისე, დღესაც,  
დაგვილოცე სავალი გზა  
ღვთისმშობელო, მარიამ.

## შენ და ის

გეფიცებოდა, დიდ სიყვარულს გეფიცებოდა,  
შენ არ გჯეროდა, თავს იჭერდი, როგორც ღილილო,  
იმ ლამაზ დღეთა გახსენებამ გაგინაპირა,  
გსურს, ისევ, ისე, მხიარულად წაილილინო.  
ქალი იყავ და დაჟინებამ, მაინც, გაჯობა,  
თავდავინწყებით გადაეშვი მღვრიე ტალღებში,  
და გაცისკროვნდა შენი მწარე სიცოცხლის დღენი,  
გზას გინათებდა დიდი გრძნობა ნკვარამ ღამეში.  
რა ბედნიერი წლები იყო, რა ბედნიერი,  
ტანზე გემოსა კაბა – მზის და მთვარის ფერებით,  
მზერას გითბობდა გონიერი თვალების სიღრმე,  
მაშინდელ შენს თავს, წარმოსახვით, კვლავ ეფერები.  
მზად იყავ, მისთვის – გაგენირა სუყველაფერი,  
ოღონდ, მის გვერდით გესუნთქა და ცისთვის გეცქირა,  
მაგრამ, დასრულდა ზღაპარი და მზეც ჩაიღველფა,  
შენში კი დარჩა, გულნატკენი, საბრალო ცირა...  
მან – სულ სხვა მხარეს გაიხედა, სულ სხვას მოუხმო,  
დღემდე, განვალეხს საფიქრალი, რა მოხდა მაშინ?  
მაგრამ, კითხვებზე პასუხების მიღების ნაცვლად,  
მუდამ, ხელთ გრჩება საძაგელი, უცხო თამაში.  
შენც დაიღალე, შეიკეტე, ისევ, ნაჭუჭში,  
დარწმუნდი, რომ მის გრძნობას აკლდა სუნთქვა ძლიერი,  
რბიან დღეები, – ნაცრისფერი მზერით მოსილნი,  
მოგიახლოვდა შენი ყოფის დასალიერი.







ლეილა თარალაშვილი



### უშენოდ...

უშენოდ სივრცეში  
სული ეულია,  
ფიქრთა გუშაგი ვარ,  
ლამე გრძნეულია.  
დღე-ლამე ნისლშია,  
სარკმელი არა ჩანს,  
ეს ღამე ვისია,  
ჩემი, თუ, – სხვისია?..  
ზეციურ სიყვარულს,  
ფერი ვინ უფეროს,  
რა ნელა მიდიან  
დღეები უფერო.  
უშენოდ შორეულს  
სული მეხუთება,  
ხვედრით ცრემლმორეულს  
ქარი მეხუტება...  
სული რით ვიშენო,  
მარტომ რა ვიმღერო,  
ადრე რომ გაფრინდა,  
შენა ხარ ის წერო...  
უშენოდ სოფელი,  
ყრუ-მუნჯი, ბინდია,  
და, მაინც იმედი  
ჩირაღდნად მინთია.  
ვერ გავძლებ, ვერ გავძლებ,  
შენ უნდა მიშველო,  
მოგკვდები უმზეოდ,  
სული რით ვიშენო?..

### გულში იმედი მინდა ვახარო

დაზამთრებამდე ატმის ყვავილად  
მინდა, ერთხელაც ამახარხარო, –  
ის ყველაფერი ჯერ არ ჩავლილა,  
გულში იმედი მინდა ვახარო...

ამ შემოდგომას მიქცევ აპრილად,  
გაცისკროვნდება ჩემთვის სამყარო...  
დაზამთრებამდე ატმის ყვავილად  
ვინძლო ერთხელაც ამახარხარო!

### განა დროა?

ყვავილების სურნელებამ  
დამათრო და გამაბრუა,  
დანიწყება ფოთოლცვენა,  
ბუტიობის  
განა დროა?!

### სულის გაზაფხული ახელემს

რიჟრაჟზე ღამენათევი  
ნისლი გაფანტა ნიავმა,  
ნათელი დღის მობრძანება  
ალაზნის ველსაც ეამა.

აჰა, ერთი დღეც მზიანი  
ტკბილ გაზაფხულის წყალობად,  
ზეცა დაატკბო ტოროლას,  
შაშვის და მერცხლის გალობამ.

ალაზანი კი მიღელავს,  
ატეხილ ჭალებს ამღერებს,  
გულს გაზაფხული უხარის,  
სულს გაზაფხული ახელებს...

ღმერთო, აკურთხე ეს კუთხე,  
ღმერთო, აკურთხე კახეთი,  
დალოცე ესე ქვეყანა –  
ლიხს იქეთი და აქეთი!

ზეცა დაატკბო ტოროლას,  
შაშვის და მერცხლის გალობამ.  
აჰა, ერთი დღეც მზიანი  
ტკბილ გაზაფხულის წყალობად!

### ნუ გამიჩიებ

ცისკრის ვარსკვლავად დაბადებულხარ, –  
ჩემი სავალი გზების მნათობად,  
ნუ გამიციებ საგულე ბუხარს,  
ოდეს რომ მზისებრ ძლიერ ნათობდა...



\* \* \*

თვალეების ფარული მზერით  
ვგრძნობ სიყვარულს და შვებას,  
უბრად რომ მეჩურჩულები,  
ბაგე აცოცხლებს ვნებას.

გამზეურება უნდა  
დაფარულ სურვილს, ვნებას,  
თორემ, უმზეო გრძნობას  
ხავსი ედება, ჭკნება...

„მიყვარხარ!“ უბრად ამბობს,  
თვალეები სევდის მთქმელი,  
ბაგე ცეცხლოვან ამბორს,  
გპირდები, მოდი!.. გელი!..

## მომენატრება

ოჰ, ზეციური  
მწვერვალები, ჩანჩქერთა ვარდნა,  
და ვარდობისთვე –  
შროშანების ფიფქების ბარდნა,  
საუფლო ხატი!  
მათრობელა ალაზნის ველი,  
ეს ყვარლის მთები –  
უსასრულო გრძელი ოცნება –  
მომენატრება!

კავკასიონი!  
ვით მდუმარე თოვლის სამეფო –  
და ბახტრიონზე –  
მზის ამოსვლა, შემოლამება,  
ვაზის ტირილი –  
გაზაფხული ფერთა სამოთხით,  
მე საქართველოს –  
ცა ფირუზის შემონათება  
მომენატრება!

სევდამორეულს –  
მაგონდება დედის სინაზე –  
მისი ალერსი  
და ფუსფუსი ყოველ დილაზე  
როს მესიზმრება –

იავნანას მიმღერს ღიმილით  
ამაგდარ დედის –  
მარტოსულს, სითბო, სიყვარული  
მომენატრება!

არ მავინყდება:  
დედის ზრუნვა, მისი ნუგეში,  
გულაძგერებულს –  
სანთელივით მიდევს უბეში,  
უსიყვარულოდ –  
სიცოცხლის ველზე მიჭირს უშენოდ,  
ხშირად მესიზმრე –  
დედა ვიგრძნო სიზმრებში მაინც  
რომ ჩაგეხუტო!





### ნუნუ ქამუკაშვილი



#### გაზაფხული მოვიდა

გვესალმება ნაკადული  
ხავერდოვან მოლიდან,  
– რა გახაროთ, რა გახაროთ,  
გაზაფხული მოვიდა!

ზამთარმა კი მორიდებით  
გზა გაზაფხულს დაუთმო...  
გადაშალა მზემ სხივები  
ყველას გული გაუთბო.

#### იავნანა

დაანვინა იამ ნანა,  
მას უმღერის იავნანას.  
არ გასულა დიდი ხანი,  
და ბინამაც უთხრა ბანი...  
ალილინდა, ლამის, ბინა, –  
ნანამ ტკბილად ჩაიძინა.

#### ნატვრა

მშვიდი ცა და მშვიდი გული  
მინდა მქონდეს ბინადო,  
მამულისთვის, სიყვარულით,  
სხვა რა უნდა ვინატრო?

#### ლილე

ერთი წლისა გახდა, უკვე,  
თვალხატულა ლილე;  
თვითონ იცვამს ლამაზ კაბებს,  
თვითონ იბნევს ლილებს.  
ყოჩალი რომ გაიზრდება,  
გულში იმედს ვივლებთ,  
ჩვენი დიდი იმედია, –  
ვარდკოკორა ლილე.

#### გაზაფხული

მზემ თავისი დალალებით  
ცა ოქროსფრად შეღება,

გაზაფხულის კარის შეძლო  
სიყვარულით შეღება.

გადმოშალა იების და  
ენძლების კონები,  
სიხარულით ჩემს დედიკოს  
გულში ჩავეხუტები.

#### სიჭიუტე

– მომე, ფული, ნაყინი  
რომ ვიყიდო, ბებია,  
შოკოლადიც, კამფეტიც  
როგორ მომდომებია.

– მე გიყიდი გეთაყვა,  
საყვარელო, ალუდა,  
ბავშვებს არ მიჰყიდიან, –  
ამას თქმაც კი არ უნდა!

ხედავ, როცა შენ გისმენს,  
ბატიც რასა ყვიტ-ყვიტებს? –  
ამბობს: გაიზრდები და,  
თვითონ, მერე, იყიდე.

#### ბურბუშელა

ვახო – ბიჭმა სიმინდის  
თოხნა ჰაპას უშველა,  
მჭადიც ბევრი გვექნება,  
ყვითელი ბურბუშელაც.

ეს სიმინდიც მოვიდა,  
ტაროების ზვინია,  
არ მივუშვათ თაგუნა, –  
იღრუბლება ფინია.

ჩვენი ბიჭი – ვახტანგი  
წისქვილისკენ მიქრის და,  
ძროხაც ბევრს მოინველის  
სავსე, დიდი ჯიქნიდან.

მჭადიფქვილით ტომარა  
მიუტანა ბებიას,  
ეს ამბავი კი სახლში  
ყველას გახარებია.



## გაიზრდება დიდი

ეს ყურცქვიტა მოხტის, –  
სკუპი, სკუპი, სკუპი...  
– რა გახართ? ლიამ –  
სულ, შეჭამა სუპი!

გაიზრდება დიდი,  
დღეებსაც კი ითვლის...  
ახლა, უკვე, მასზე –  
კარგი გოგო ითქმის.

## ბრონეული

ჩვენ ბაღში რა ხეხილია, –  
თვალს ახარებს ბრონეული,  
შეეგება შემოდგომას, –  
უკვე არის მონეული.

აკისკისდა გულიანად,  
გამოფინა გოლეული,  
ბრონეულის რთველია და  
ჯერ სადაა მოლეული!

სტუმარი, თუ მეზობელი,  
მადლიერი არის ყველა,  
ჩვენი ბრონეულის ბაღი, –  
მზის სხივებში წითლად ელავს.

## წყლის სურვილი

იმ დღეს, პაპამ ჩემი მურა  
ნაიყვანა ცხვარში,  
როგორ ვწვრთნიდი, სულ, ყოველდღე  
ვუტარებდი ვარჯიშს.  
მისალმებაც კი ვასწავლე,  
თათს მიწვდიდა უმაღლ...  
ნეტავ, ახლა, თუ, მკითხულობს?  
ხომ არ დარდობს ჩუმად?..  
დღეებს ვითვლი, – ზაფხულამდე,  
რომ წავიდე მთაში;  
ნაჩუქარი კარავი მაქვს,  
ზედ მწვერვალთან გავშლი.  
ალბათ, მურა გაიზარდა,  
ველარ მიცნოს იქნებ?..  
„ცხვრის ძაღლია“ ახლა, უკვე,  
მგონი, თავსაც იქებს.  
სურათს ყველას გადავუღებ:  
პაპას, ცხვრებს თუ ბატკნებს,  
მურას, ციყვებს, ჩიტუნიებს, –  
გულს არავის ვატკენ.  
დღეებს ვითვლი ზაფხულამდე  
რომ წავიდე მთაში,  
ნაჩუქარი კარავი მაქვს, –  
ზედ მწვერვალთან გავშლი.

## გულყვიტელა მოლაღური

ჩვენს ბარს, თურმე, შესჩვევია  
გულყვიტელა მოლაღური,  
დაეძებდა ჩაშაქრულ ბაღს,  
მისთვის იყო მონაბული.

დაუძახა ზურიკელამ, –  
ღირსი ხარ და შენც გერგოსო,  
ჭია-ლუას რომ არ უშვებ,  
მნიფე ბაღიც შეგერგოსო.

## ჩემი თოჯინა

გაეღვიძა თოჯინას  
და დავბანე პირი,  
ბაღში, როცა მივდივარ,  
ნეტავ, ხომ არ ტირი?

– იქნებ, შენ ჩაიბარო,  
ჩემო კარგო, დედა?  
– მშვიდად იყავ, თოჯინას  
კარგად მიგიხედავ.

## თავის ძალას გვაჩუქებს

შემოხვიე ხელები,  
ამ ხეს, ჩემო მაგდა,  
თავის ძალას გვაჩუქებს, –  
ძლიერია რადგან.

– მე რომ ძალა მაჩუქოს,  
თვითონ რჩება რამე?  
– ამ ხეს დიდი ძალა აქვს, –  
იკრებს დღე და ღამე.

აძლიერებს წვიმა და  
მზე სხივებით მოსავს,  
მერე, გულით მოელის  
კარგი სტუმრის მოსვლას.

## საღმისანი ჭიანჭველა

ზრდილი არის ჭიანჭველა,  
ვინ არ არის მონმე?  
ყველას გულით ესალმება  
მოკეთეს და მოძმეს.







**ნუზარ ვანიშვილი**



**არქეოლოგიური მოგზაურობა ტაოში**

10 სექტემბერს ვაპირებთ გამგზავრებას თურქეთში, რათა არტაან-ართვინის გზაზე მოვძებნოთ ძველი ავტორების, განსაკუთრებით პროკოფი კესარიელის მიერ ნახსენები ციხესიმაგრე სკანდა.

XX საუკუნის ისტორიკოსთა აზრით სკანდა მდებარეობს თერჯოლის რაიონში, ზღვის დონიდან 100-120 მეტრზე, სადაც ამჟამად პატარა სოფელია, პატარა ციხით სკანდა. სოფელი სუბტროპიკულ ზონაშია, გადაჭიმულია ბალ-ვენახები და მოდის ყველა სახის მოსავალი.

პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილი სკანდის ციხე და ასევე სარაპანას ციხე მდებარეობენ მთიან რეგიონში, ისეთ სიმაღლეზე, სადაც არ მოდიოდა არამც თუ ყურძენი და ხორბალი, არამედ ქერიც კი. მეციხოვნეებისათვის საკვები ზურგით აჰქონდათ, რადგან ცხენსა და პირუტყვს ტვირთის ზიდვა უჭირდა. აღნიშნულის გამო, იმერეთის სკანდა, არ შეიძლება იყოს პროკოფი კესარიელის სკანდა.

მიტროპოლიტ ანანიას თეორიული კვლევით ჩამოუყალიბდა თვალსაზრისი, რომ ეს ციხესიმაგრეები მდებარეობდნენ არტაან-ართვინის შემაერთებელ გზაზე, რომელიც პერსარმენიას აკავშირებდა ლაზიკის პეტრასთან. არტაანი თავის მხრივ, ოდესღაც იყო იბერიის ნაწილი, ანუ პერსარმენიის ქალაქ დვინიდან გამოსული სპარსული ჯარი გაივლიდა იბერიას, ანუ არტაანის ოლქს და აღნიშნული გზით (დვინი-ართაანი-ართვინი-პეტრა) ჩავიდოდა ართვინში, მივიდოდა მდინარე ჭოროხამდე, საიდანაც ჭოროხის პირა გზით შევიდოდა ქალაქ პეტრაში. ჭოროხს კი ძველი ავტორები ფაზისს უწოდებდნენ.

ჩვენ გვაქვს 2004 წელს გამოცემული ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრული რუქა (ავტორ-შემდგენლები: თემურ ხუციშვილი, კახა შენგე-

ლია, შალვა მაჭავარიანი, ვალერი სილოგავა), სადაც აღნიშნულია იალზიჩამის უღელტეხილთან ახლოს სოფელი კანდრიდი (კანდარეტი), ასევე სოფელი ქინძოტამალი (ბაგდასენ) და ქინძის ციხე. რუსულ სამხედრო რუქაზე, აღნიშნული გზიდან 10-12 კილომეტრში, სამხრეთ დასავლეთით არის მთა კანდილი (2412 მ.).

სიტყვები კანდრიდი, ქინძის ციხე, ქინძოტამალი, კანდილი ეტიმოლოგიურად ძალზე ახლოსაა სიტყვასთან სკანდა. სწორედ აქ უნდა ყოფილიყო პროკოფისეული სკანდას ციხე-სიმაგრე.

ჩავინერე მიტროპოლიტ ანანიას კარნახით ნუგზარ ვანიშვილმა 2008 წლის 8 სექტემბერს თბილისში.

\*\*\*

პირველად იყო ცნობა მეუფისგან ჩემდამი, რომ იგი აპირებდა სამ დღეში გამგზავრებას ტაო-კლარჯეთში მოსალოცად, სამოგზაუროდ, საექსპედიციოდ, საკვლევად... შემდეგ ჩემგან იყო თხოვნა და ოცნება თანამგზავრობისა, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობისაგან კი თანხმობა, კურთხევა, დალოცვა, დაგემგვა... რასაც მოჰყვა ბრძოლები, წინააღმდეგობები. ბოლომდე მწამდა, უფალი ამ ბედნიერებას არ მომაკლებდა...

წინააღმდეგ ნათქვამი პირობის გასატეხად და ჩემი წინააღმდეგობების, ვერნამოსვლის მიზეზის სათქმელად მეუფესთან მონასტერში ავედი. „ეგ რამ გაფიქრებინა, შეიძლება ვერ წამოსულიყავი“ – ბრძანა მან და... ცაში უფლისა და დედამიწაზე მეუფე ანანიას წყალობით ბედნიერებაც შედგა.



## მოგზაურობა ტაო-კლარჯეთში 10-13 სექტემბერი

### ძნელია ჩანვდე საქართველოს დიდებულებას ტაო-კლარჯეთის უნახავი.

შეძლებისდაგვარად აღჭურვილნი, შალვა ოქრუაშვილის ჯიპით, დილის 8 საათისათვის თბილისის ზღვის მონასტრიდან გავედით: მიტროპოლიტი ანანია, დეკანოზი გიორგი, შალვა ოქრუაშვილი და მე – ნუგზარ ვანიშვილი.

ქალაქის გასასვლელთან დაგვხვდა მამა გიორგის სულიერი შვილი გერმანე გელოვანი მეუღლე მაკრინეთი და ქალიშვილ ანათი – საკუთარი ავტომობილით.

თბილისი დავტოვეთ 9 საათისათვის და 12 საათზე ვიყავით ვალეს სასაზღვრო გამშვებ პუნქტში. ბორჯომის ხეობის გავლისას შევეხეთ ქართველთა გაოსების საკითხს და შემდგომში გაოსებული ქართველების შევიწროების მანკიერ მხარეებს.

მეუფე ანანიამ მოიყვანა ფაქტები მისი ამ რეგიონში ეპისკოპოსობის ჟამისა, როგორ მოდიოდნენ მასთან მოქალაქეები ოსური გვარით და უყვებოდნენ მამა-პაპათა ქართული წარმომავლობის შესახებ. როგორ მივიდა მასთან თექვსმეტიოდე წლის „ოსი“ გოგონა, რომელიც აცრემლებული ეუბნებოდა მეუფეს, მე ჩემი საყვარელი საქართველოს გარეშე ცხოვრება არ შემეძლიაო.

დღეს გაცილებით იოლია მოილოცო ხახული და პარხალი, სადაც მეჩეთებია და ფუნდამენტალისტი მუსლიმები ცხოვრობენ, ვიდრე იკორთა, საიდანაც სამასიოდე მეტრში დედაჩემის დედა – ოლღა მახათელი დაბადებულა.

მივედით სასაზღვრო პუნქტამდე. ტერმინალის დიდი ჭიშკრიდან დარჩენილია მხოლოდ ანჯამები. ტერიტორია მოუასფალტებელია, სავსეა გამშრალი გუბე-ორმოებით, ზოგან მხოლოდ მოხრეშილია. დაფები, აბრები, ღობე-მოაჯირები გადახუნებულ-დაფშხალულ-შესაღებია. ეს გარემო ტურისტ-სტუმარს კი არა, სამშობლოში მობრუნებულსაც შეაშფოთებს. მებაჟეებსა და მესაზღვრეებს სცხელათ, ალბათ სწყურიათ კიდევ. მოწყენილები არიან, ალბათ სძულთ მორიგეობის დღეები. თავაზიანობას ვერ დაუკარგავ – უფლის ნყალობით, საქართველოში კეთილგანწყობა და თავმდაბლობაა სასულიერო პირთა მიმართ. შეგვეკითხნენ, ალკოჰოლი ხომ არ მიგაქვთო, თურქები არ ატარებენო და დგვემშვიდობნენ.

საზღვრის თურქული მხარე შედარებით კეთილმოწყობილია. თვალშისაცემია ღია ფანჩატური, თურქეთის რუქა დიდ დაფაზე და მთელი თურქეთის საუნყებო შენობებთან ქემალ ფაშა ათათურქის ბიუსტი, ფოტო და ციტატები.

საბაჟოს თანამშრომლებმა არ იციან არც ერთი სიტყვა ქართულად, რუსულად, ინგლისურად. ცხვრებივით დავყვებით ჯიბურიდან ჯიბურამდე სქოლიოზიან ახალგაზრდა თურქ მებაჟეს. ვიხდით მხოლოდ ავტომობილის სადაზღვევო თანხას 50 დოლარამდე და შევდივართ თურქეთის რესპუბლიკაში. ასეთია 1921 წელს დადგენილი საზღვრის კარიბჭე ზემო და ქვემო იბერიას შორის.

ხოშგელდინიზ!

გვითხრა თურქეთმა შესვლისას დაფიდან და მართლაც ასე მიგვიღო. გატარებული ოთხი დღიდან და სამი ღამიდან შემსწრე ვიყავით კეთილგანწყობისა, ყურადღებისა და მშვიდობისა.

პირველივე სოფელი ერიმ-ია ზღვის დონიდან 1700 მეტრზეა. გარემო სავსეა საძოვრებითა და ფუტკრის სკებით, რაც ზოგადად დამახასიათებელია ქვედა ზონის ალპური გარემოსთვის. 25 კილომეტრში, დაბლობისკენ ღამაზი, პატარა დაბა-ქალაქია – პოსოფი. ალბათ მისთვის თურქეთის სახელმწიფოს სამხედრო და კომუნიკაციური სტატუსი მიუნიჭებია, ამიტომაც ევროპულ დაბა-ქალაქს მოგვაგონებს. გზიდან მარცხნივ მოზრდილი და სრულყოფილი სამხედრო ბაზაა, კვალი ცივი ომისა ჩრდილოელ მეზობელთან.

პოსოფიდან აღმართი იწყება მაღალი უღელტეხილისკენ. 2100 მეტრის სიმაღლეზე გავივლით სოფელ დამალს. უღელტეხილის უმაღლესი წერტილი კი 2500 მეტრზე გადის. ამ ქედის (არსიანის ქედი) უმაღლესი წერტილი კი 2900 მეტრზე მეტია. საზღვრიდან 90-იოდე კილომეტრში ქალაქი არტაანია (არდაჰან) ზღვის დონიდან 1800 მეტრზე. ქალაქს ჩრდილოეთით სერავს მდინარე მტკვარი (კურა ნეჰრი). არტაანიდან ქართველობა ძირითადად განსახლებულია. თითოთოროლას კი ქართველობისა არაფერი სცხია. ეს ქალაქი და სრულიად არტაანის ოლქი (არდაჰან ბელევედისი) ითვლება ყველაზე დაბალ სოციალურ და მოუწყობელ მხარედ თურქეთში. როგორც გიორგი კალანდიათ თქვა, ქვეყნის პარლამენტი სპეციალურ პროგრამას ამზადებს დასამტკიცებლად ესოდენ დაბალი ცხოვრების დონის ამოსაქაჩად. სოფლების დიდ ნაწილში წივისგან აშენებული მიწურებია. ქალაქი ბინძურია და ცოცხალ-მკვდარი. ჩვენ გაცილებით ღამაზ, ახლობელ და სუფთა შავშეთისაკენ გავსწიეთ. გეგმით პირველი ღამე იქ უნდა გავგეთია. შავშეთი (შავშატი) საინტერესო იყო ჩვენთვის თამარის ციხე-სიმაგრით, ხიმშიაშვილების სასახლითა და კარის ეკლესიით. გზა შავშეთისაკენ მომხიბლავია.

2460 მეტრის ნიშნულზე ვსერავთ ართვინ-არტაანის ადმინისტრაციულ საზღვარს და მიხვეულ-მოხვეული მაგისტრალური გზით





შევდივართ 1200 მეტრიან ნიშნულზე მყოფ შავ-შეთში. არსიანის ქედის ორ ალპურ მთას შორის შავშეთია, რომელსაც აღმოსავლეთიდან 2540 მეტრიანი, დასავლეთიდან კი 2650 მეტრიანი უღელტეხილებით მიადგები. თვითონ ქალაქი 1800 მეტრზეა განლაგებული დასავლეთისაკენ მაცქერალ ქანობზე. პატარა ტბებით, მრავალი წყაროთი, ველებითა და ხშირი ტყეებით.

შავშეთში ათი ათასამდე მოსახლეა. რაიონში კი 28 სოფელია, სადაც ქართველები ცხოვრობენ. აქედან 20 სოფელში ქართველობა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენს. შავშეთი სანახევროდ თურქულ-ქართულია. ქართველები მაქსიმალურად იცავენ მხოლოდ ქართველებთან შეუღლების წესსა და ტრადიციას. ეს ყველაფერი (შავშეთზე) ართვინში მცხოვრებმა შავშეთელმა კაცმა – ორმოციოდე წლის ჰაკან ჭივაძემ მიაგმო. იგი წარმატებული კაცია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომით, ნათელი სახით, ხუთსულიანი ოჯახით ართვინში და საკუთარი რესტორნითა და მაღაზიით ქალაქის ცენტრში. მე მას მეუფეს ნიგნი ვაჩუქე, ბავშვებისთვის კი ზღაპრების ილუსტრირებული ნიგნი და მე-7 კლასის ისტორიის სახელმძღვანელო. ასევე, ქართველ მეფეთა გენეალოგიის სქემები და წმინდა გიორგის პატარა ხატი. ძღვენით ბედნიერმა ხატს რომ დახედა, გიორგიო, ჩაილაპარაკა და ნიგნი შეაცურა.

შავშეთში, ქალაქის მთავარ გზაზე სასტუმრო ივერიაა. მეუფემ ბრძანა კიდევ, რადგან ივერია ჰქვია პატრონი გვიხმობს, გვეპატიუებაო, თუმცა უკეთესი სასტუმროს ძებნაში შავშეთის გასასვლელში შავშათ სარაისთან შევჩერდით. საყველპურო ქართულით საკმაოდ ძვირი დაგვიფასა მასპინძლობა პატრონმა და რომ არა ეს გარემოება, შესაძლოა არ გვენახა დიდებული ოპიზის ტაძრის გულშემზარავი ნაშთები.

შავშეთის ბუნება ართვინისაკენ მიმავალ აღმართზე იშვიათდება და იწყება ალპური მთების, შიშველი კანიონების ვრცელი, ერთფეროვანი გარემო. მეჩხერად გაფანტული ძველი ქართული სოფლები აქ უდაბნოს ოაზისებს მოგვაგონებენ. ნალკოტები ხშირი წყაროებით, ნაყოფიერი მიწებითა და ფართოფოთლოვანი ხე-მცენარეებით აკრავს უკლებლივ ყველა ეკლესიას. კულტურული და ველური ფლორა სრულიად საკმარისი იქნებოდა წლიური სამარხვო საზრდოს მისაღებად. განვითარებული მეცხოველეობა და ველური ფაუნა საკვების დეფიციტს სრულად გამორიცხავს. ეჭვგარეშეა ამ რეგიონის სატრანსპორტო ძარღვის ფუნქცია.

უდაოდ კარი-კოლა-არტანუჯ-ართვინ-ბორჩხას გზა-ხეობები იყო გასასვლელი მცირე აზია-ევროპისა და პერსარმენია-ძველარაბული მეგაპოლისების დასაკავშირებლად.

ოპიზის მონასტერი შავშეთ-ართვინის გადასასვლელის მარჯვენა მხარესაა ართვინამდე 20 კილომეტრში, სოფელ ბაჯლიკარის გადასახვევთან, გზიდან 3 კილომეტრში. უსაზღვროდ ღრმა ხევებისა და ციცაბო კლდეების ფერდებზე გადის ვიწრო, ერთმანქანიანი გზა, რომელზე გავლაც მცირედმორწმუნეს მოლოცვის სურვილს მოუკლავს და ცოდვა გამხელილი სჯობს, მეც იგივე დამემართა. ანგელოზთა მფარველობა და მიტროპოლიტის კურთხევა ბენვის ხიდზე გაგვიყვანს და ჩვენც ოპიზის სამონასტრო კომპლექსს მივადექით.

ხრიოკი მთებიდან უცებ შედიხარ ტყის ტევრში. გზაგასაყართან მინარეთია, გაზაფხულის ტყისფრად შეღებილი, მოვლილი, მაგრამ ღარიბი. ეს ჩვეულებრივი შემთხვევაა თურქეთში. ამ მხარეში, სადაც ქართული სოფელი იყო ახლა თურქულია, სადაც ეკლესია იყო, თუ მოერივნენ იმავე ბალავერზე ჯამე ააშენეს, თუ ვერა (გრანდიოზულობის გამო) იმდენად ახლოსაა მეჩეთი, რომ შესაძლოა თვითონ ვერ ხვდებიან, მაგრამ ქედს იხრიან და პატივით ეპყრობიან ღმერთის სახლს, ჯვარსა და წმინდანთა ბარელიეფებს. მაგალითად, დღის დიდ ნაწილს ატარებენ პარხალსა და ხახულის წმინდა ტაძრებში, სადაც მეჩეთი და საბავშვო სკოლა გაუხსნიათ.

წლების წინ, ლაზმა მოხუცმა, ნეჯათ მემიშიმმა მითხრა, სტალინისეულ დიქტატურას აღემატება დღევანდელი თურქეთის რეჟიმიო. მოქალაქეობრივი შიში და რელიგიური ძრწოლა თუ ათქმევინებს ადამიანს, რომ პაპაჩემი გურჯი და ქრისტიანი იყო, მე კი თურქი და მუსლიმი ვარო.

ზუსტად ასე ფიქრობს ოპიზელი გურჯი იმამი, რომელმაც საკუთარ სახლამდე გზის მისაყვანად შუა ტაძარში ტრაქტორი გაატარა. ოპიზის ეკლესიის ჩრდილო და სამხრეთ კედლები (ბებერი ხარის რქებისა არ იყოს) მაინც მიგვახვედრებს კომპლექსის დიდებულებას თალით, სარკმლითა და ფრესკის დეტალებით. იქაური სინმინდეები და ვეება ლოდები ქართული გალობისა და წირვა-ლოცვის მოლოდინში არიან.

„მაღე დაბრუნდიო“ მითხრეს ეკლესიის კედლის მუცლიანმა გლუვმა ლოდმა და ნათალმა კლდის ქვამ ამბორისა და მათ ღრიჭოებში წმინდა გიორგის ხატისა და წმინდა მამაის გამოსახულებიანი ათთეთრიანის შეცურების შემდეგ. ოპიზის ქვები არ დუმან, ძევან და გველიან.

სამი ახალგაზრდა მამაკაცი ვნახეთ, გურჯი იმამი, გაუბედურებული თურქი და ახოვანი ჩეჩენი. გვითხრეს, იქვე, მთაზე შეფენილ სოფლებში მრავლად არიან გურჯებიო, რომელნიც ამ მეჩეთში ლოცულობენო. ეტყობა, მათი კარჩაკეტილობის გამო გურჯების თურქული ლინგვისტური შესაძლებლობები მწირია,





რადგანაც მეჩეთს ინგლისურად და ქართულად (ლათინური ალფავიტი) აწერია შემდეგი:

- ლოცვაზე ძახილი (ეზანი)
- ღმერთი მაღალია (4 ჯერ)
- გატყობინებენ რომ ღმერთის გარდა გასაღმერთი არ არის (2 ჯერ)
- გატყობინებენ რომ მუხამედი ღმერთის წინასწარმეტყველია (2 ჯერ)
- მომისმინეთ წამოდით ლოცვაზე (2 ჯერ)
- მომისმინეთ წამოდით მშვიდობაში (ლოცვა მარგებელია ძილზე) (2 ჯერ)
- ღმერთი მაღალია (2 ჯერ)
- ღმერთის გარდა გასაღმერთი არ არის

სტილი დაცულია. დაშვებულია გრამატიკული შეცდომები. ტექსტის ავტორი წერს ლათინური ასოებით და ალფავიტში არარსებულ ქართულ ასოებებს წერს კომპიუტერული ჩატი-სათვის დამახასიათებელი ასოებით.

უნდა ვივარაუდოთ რომ: ტექსტის ავტორმა იცის ნორმალური ქართული. იგი მუსულმანი ქართველია ახლომდებარე სოფლიდან. მუდმივი ურთიერთობა აქვს კომპიუტერულ მიმონერასთან, საიტებთან. ნარწერა ემსახურება ადგილობრივი ქართველების ინფორმირებას, რომელნიც კვლავ ქართულად მეტყველებენ და ლათინურ ანბანს იყენებენ.

ოპიზის კომპლექსიდან 4 კილომეტრში ხანძის მონასტერია (ფორთა, – თურქულად), რომელიც რთული გზისა და სიბნელის გამო ვეღარ ვნახეთ და დავეშვით უღამაზეს ღამის ართვინში. იგი გაკაშკაშებული შეგვხვდა. ასევე თბილად მიგვიღო ქალაქის ცენტრში, მთავარ მინარეთთან მდებარე სასტუმრო „გენიამ“. მისმა პერსონალმა და პორტიე ლევანმა, ქობულეთელმა ახალგაზრდამ, მრავალი ქართველივით უცხოეთში ლუკმა-პურისთვის გადახვეწილმა მართლმადიდებელმა.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**







ნანული კუპატაძე



დაქალი

ჩვენი მერი, ჩემი მერიკო!

ყველაფერი ჩვეულებრივად დაიწყო; ომამდელი თელავის ერთ ძარღვიან, მშვენიერ, მშრომელ ზაალიშვილების ოჯახში დაიბადა ორი თვალხატულა გოგონა – ვენერა და მერი. მალევე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც ოჯახის თავკაცი მუყაითი მეურნე ალექსანდრე ზაალიშვილი ჯარისკაც ზაალიშვილად აქცია და შეინირა კიდეც. ბედისწერამაც არ დააყოვნა და დაიწყო ობლის კვერის ცხოვა. ...და მერი დამოუკიდებლად შეუდგა ცხოვრების აღმართს. მან ქვეშეცნეულად უკვე იცოდა, რომ უნდა ეშრომა და ებრძოლა მზის ქვეშ ადგილის დასაკავებლად.

შრომისა და ბრძოლის პირველი ასპარეზი იყო სკოლა, სადაც მერი ყოველთვის გამოიჩინა როგორც მონესრიგებული, წარჩინებული მოსწავლე. მან ასევე წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა.

**ანუ როგორც მოსწავლე მერი ზაალიშვილი შედგა!**

შემდეგ იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი; მერიმ ეს აღმართიც წარმატებით დაძლია; მოხლჩაუხრელი იყო მისი შრომა, ბრძოლა, სწავლა. არის! აღსრულდა ოცნება!

**ანუ როგორც სტუდენტი მერი ზაალიშვილი შედგა!**

აუუ... წინ კიდევ რამდენი სიმაღლეა დასაპყრობი საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე; და მერიმაც მოკრძალებით შეალო გაზეთ „თელავის მოამბის“ კარი და მუხლჩაუხრელი შრომით თავის კოლეგებთან ერთად კიდევ უფრო საინტერესო გახადა გაზეთი. მერი შრომობდა, იბრძოდა, ქმნიდა.

ძნელი და იმავდროულად ადვილი იყო მუშაობა ისეთ გამოცდილ რედაქტორთან, როგორც გახლდათ შოთა როსტომაშვილი – მკაცრი, მომთხოვნი, ლმობიერი, სამართლიანი, თავისი საქმის დიდოსტატი. ბატონი შოთა მერისათვის აღმოჩნდა ნამდვილი მოძღვარი და მასწავლებელი პროფესიული დაოსტატების რთულ გზაზე. მის გვერდით მერი დაიხვეწა, დაფრთიანდა და გახდა ნამდვილი „გაზეტიკი“.

**ანუ როგორც პროფესიონალი ჟურნალისტი მერი ზაალიშვილი შედგა!**

გავიდა ხანი, დატრიალდა ცხოვრების ბორბალი და მერი თვითონ გახდა თავისივე მშობლიური გაზეთის რედაქტორი და პირველი ვიოლინო. ის იყო შეუვალი და მიუკერძოებელი რედაქტორი. ამ პერიოდის გაზეთს არ აკლდა რაიონის საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი აქტუალური მწვავე წერილები, გამოდიოდა სპეციალური ნომრები... გაზეთის რედაქციის ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად პროფესიულ პრაქტიკას აქ გადიოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები.

მერი ზაალიშვილის რედაქტორობისას „თელავის მოამბე“ იქცა რაიონის მოსახლეობის საყვარელ გაზეთად; მაღლიერების ეს ტალღა დღემდე გრძელდება, რასაც ყველაზე კარგად წარმოაჩენს მერისთან სპეციალურად მისული თუ ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილი მკითხველის მიერ გამოხატული სათბო და სიყვარული, რასაც ისინი არ იშურებენ მოქმედი თუ ან უკვე პენსიონერი რედაქტორის, ჟურნალისტის, რეპორტიორის მიმართ.

ამგვარად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ

**როგორც რედაქტორი მერი ზაალიშვილი შედგა!**

მერის პიროვნება რომ კარგად შეიცნოთ, უნდა შეიხედოთ მის ოთახში, რომელიც გაჯერებულია ჟურნალ-გაზეთებითა და წიგნებით. იგი ისეთივე შემართებით კითხულობს და ანალიზებს, როგორც წერდა. პრესის გარეშე მერი წყლიდან ამოგდებული თევზით იქნება. მას ჰაერივით სჭირდება კითხვა. ამიტომ

**როგორც მკითხველი მერი ზაალიშვილი შედგა!**

რედაქციაში მუშაობის პერიოდში ეწვია მერის დიდი სიყვარული მშვენიერი ვაჟკაცის – ფანცქალა ნიქარაძისა, რომელთანაც შექმნა ტკბილი ოჯახი. მათ სამშობლოს აჩუქეს ქალ-ვაჟი, რომლებიც შემ-



დგომ თავად გახდნენ მშობლები ხუთი მარგალიტი შვილისა, მერის შვილიშვილებისა, და მათ დაემატა პატარა შვილთაშვილი. ასე რომ,

**როგორც მეუღლე, დედა და ბებია მერი ზაალიშვილი შედგა!**

ცხოვრების ყველა ეტაპზე მერის გვერდით ჰყავდა და ჰყავს მეგობრები, რომლებსაც იგი იძენდა და არასოდეს ჰკარგავდა. ჩვენ, მის მეგობრებს, ყოველთვის გვაქვს იმედი, რომ ჭირსა თუ ლხინში მერი ჩვენს გვერდით იქნება არა როგორც შორიდან მაყურებელი, არამედ როგორც მოჭირნახულე, მარჯვენა ხელი და მეგობრისათვის ცეცხლში ჩამდგომი. უფალმა ინებოს, ჩვენც იგივე შეგვაძლებინოს მის მიმართ. პირადად ჩემი მოკრძალებული მცდელობა სპექტაკლისა თუ ნაწარმოების რეცენზირებისა არის იმ ბიძგის შედეგი, რაც მერიმ უშურველად გაიღო როგორც ნამდვილმა მეგობარმა, „მინცივ გაუყარმა სათანადო მოყვასმა“ (სულხან-საბა ორბელიანი).. სწორედ ასეთია მერი და ამდენად

**როგორც მეგობარი მერი ზაალიშვილი შედგა!**

მერი არის გამოუსწორებელი ოპტიმისტი. იგი ყოველთვის სიმართლის გზით დადის, სიმართლით შრომობს და სიმართლისათვის იბრძვის. ამიტომც დაფასდა მისი პროფესიული შრომა და დაჯილდოვდა ღირსების ორდენით „ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის და კახეთის რეგიონის პრობლემატიკის საუკეთესოდ გაშუქებისათვის“.

ფრიად მრავალმხრივია მერის საზოგადოებრივი მოღვაწეობა; იგი არის საზოგადოება „თელაველის“ დამფუძნებელთაგანი და ამ საზოგადოების პირველი პრეზიდენტი; ამავდროულად არის მოძრაობა „ქალე-ბი მშვიდობისათვის“ აქტიური მონაწილე, ტრადიციული დღესასწაული „შოთაობის“ საორგანიზაციო კომიტეტის აქტიური წევრი და გაზეთ „შოთაობის“ რედაქტორი.

სათანადოდ დაფასდა მერის საზოგადოებრივი მოღვაწეობა; იგი გახლავთ იყალთოს საპატიო მოქალაქე; და რაოდენ საამაყოა, რომ ეს ტიტული სულმნათ ზვიად გამსახურდიასთან ერთად მიენიჭა. ასე რომ,

**როგორც საზოგადო მოღვაწე მერი ზაალიშვილი შედგა!**



მერი ზაალიშვილი

ამ ყველაფერთან ერთად მერი არის შესანიშნავი მეურნე. უნდა ნახოთ, როგორ შრომობს ბოსტანსა თუ ვენახში, როგორი თადარიგით აბინავებს ჭირნხულს. ამ მხრივაც

**როგორც მეურნე მერი ზაალიშვილი შედგა!**

ეს მცირე წერილი მხოლოდ ზღვაში წვეთია იმ მაღლიერების გამისახატავად, რასაც ჩვენი მერი, ჩემი მერიკო იმსახურებს.

ღმერთმა ინებოს, დიდხანს გაგრძელდეს მისი გარჯა და ბრძოლა მახლობლების, მეგობრების, მშობლიური ქალაქისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ზემოთქმული გვაძლევს უფლებას თამამად განვაცხადოთ:

**როგორც პიროვნება მერი ზაალიშვილი შედგა!**





**ჯულია დონალდსონი**

**პრინცესა მირორ-ბელი და მფრინავი ცხენი  
(ფრაგმენტი)**

**თავი მესამე**

**ზღვის ურჩხულის გამოქვაბული**

– გეყოფა, რა არის ამდენი თამაში, – მოუთმენ-ლობა დაეტყო ელენეს. მისი უფროსი ძმა კი კიდევ ერთ მონეტას აგდებდა, თავის საყვარელ, სათამაშო მანქანაში.

– როგორ ფიქრობ, მოენონებათ ბებიასა და პაპას, თუ მათ ნაჩუქარ ფულს ამ სისულელეზე გაფლანგავ?

– არაფერსაც არ ვფლანგავ. აი, ნახე, თუ არ მოვი-იგებ!

ერთიანად დაძაბულ ლუკას სახე უბრწყინავდა.

– ვერ ხედავ, სულ ცოტაც და ეს მონეტების გრო-ვა დაბლა ჩამოცვივა და მთელს მე მოვიგებ! აი, ნახავ, შემდეგ ცდაზე თუ არ მოვიგო!

მაგრამ ვერ მოიგო, ვერც შემდეგზე და ვერც იმის შემდეგზე.

უკვე ერთი კვირა იყო, რაც ელენე და ლუკა ბე-ბიასა და პაპასთან ერთად ზღვისპირას ისვენებდნენ. მოხუცები ახლა ნავით სეირნობდნენ. ბავშვებსაც არ დასწყვიტეს გული, თითოს ათ-ათი გირვანქა მისცეს, რაც მოგენონებათ, იყიდეთო.

– დავიღალე, აღარ შემიძლია ამდენი ლოდინი, სულ შენ დაგდევ კუდში. თუ აქ ამდენ ხანს დარჩები, მაღაზიისთვის დრო საერთოდ აღარ დამრჩება. არ დაგავინყდეს, ამ საღამოს სადღაც მიგყავართ, ხვალ კი შინ ვბრუნდებით, – წუნუნებდა ელენე.

– მოდი, იცი რა ვქნათ? ნადი შენ სადაც გინდა და ერთ საათში აქ შევხვდეთ. – შესთავაზა ლუკამ. ელენე მაშინვე დათანხმდა, თუმცა იცოდა, რომ ძმა მარტო არ უნდა მიეტოვებინა.

სანაპიროზე ორი საჩუქრების მაღაზია იყო. ელენე ერთგან შევიდა და ბრჭყვიალა კალმების მთელი შეკვრა და ბლოკნოტი იყიდა. ბლოკნოტზე მომღიმარი სელაპი ეხატა წარწერით: „საუკეთესო სურვილებით“. ფული საღაროსთან გადაიხადა და ნავაჭრი ზურგჩანთაში ჩაალაგა, სადაც მზისგან დამ-ცავი კრემიც ჰქონდა.

ექვსი გირვანქა კიდევ დარჩენოდა და აბა თუ გამოიცნობთ, რა ქნა? რა თქმა უნდა, მეორე მაღა-ზიაში შევიდა. იქ ათასნაირი სუვენირი იყიდებოდა. თვალი დაგრჩებოდათ თევზების, კიბორჩხალებისა თუ ზღვის ცხენების დეკორატიულ ფიგურებზე. აქვე ნახავდით გაპრიანებული ნიჭარებით მოპირ-კეთებულ პატარა ზარდახშებს. მეტისმეტი სიძვირე

იყო, მაგრამ ელენეს მარტო თვალიერებაც ძალიან სიამოვნებდა. ერთ კუთხეში მშვენიერ სარკეს მიაგ-ნო. ჩარჩო ნიჭარებითა და ქალთევზას რელიეფური გამოსახულებით ჰქონდა მოვარაყებული. თითქ-მის ათი გირვანქა ღირდა. როგორ ინანა ელენემ, ნეტა პირველ მაღაზიაში არაფერი მეყიდაო. ის იყო გაიფიქრა, ხომ არ დავაბრუნო ნაყიდი ნივთებიო, რომ სარკის უკან ხმა გაისმა:

– ეს შენა ხარ? ძლივს არ გიცანი ამ ჭორფლებში?

– მირორ-ბელ! – ელენეს ძალიან გაუხარდა ხმის გაგონება. მთელი არდადეგები არ ენახა თავისი მეგობარი. თუმცა გრძნობდა, რომ სადაც მირორ-ბელი იყო, ხიფათიც იქვე იყო.

– არც შენ გაკლია ჭორფლი! – მიუგო ელენემ.

– რა გჭირს, ელენე! ესენი ხომ ხალეზია! – უპა-სუხა პრინცესამ და სარკიდან, როგორც წყლიდან, ისე ამოყვინთა. თავდაყირა გადმოვიდა, ხელებზე იდგა და ფეხები ჰაერში ჰქონდა აშვერილი.

მაღაზიის გამყიდველი ეტყობა ხმაურმა დააეჭ-ვა. მიატოვა კლიენტი და წარბშეკრული გამოემართა გოგონებისკენ.

– აქ თავდაყირა სიარული არ შეიძლება. შეიძლე-ბა რამე გატეხოთ!

– ამას თავდაყირას ეძახით, მე ხომ ჩაყვინთვა ვცაღე. აქ გარშემო იმდენი ზღვის არსებაა, რომ ძა-ლაუნებურად ჩაყვინთვა მომიწდა. თავგზა აებნევა კაცს თქვენს მაღაზიაში. სხვასაც რომ იგივე სურ-ვილი არ გაუჩნდეს, გირჩევთ ეს საგნები აალაგოთ თაროებიდან და მათ ნაცვლად ხმელეთის ბინადარნი გამოფინოთ.

– ხომ არ ჯობია, ნახვიდე და ზღვის სანაპიროზე ითამაშო? – არ დაიშურა რჩევა გამყიდველმაც.

– რალაც „თქვენი უდიდებულესობა“ ვერ შე-მომესმა. თუმცა რაკი კარგი იდეა მომანოდეო, ამი-ტომ ამჯერად მიპატიებია. წავედით, ელენე.

ელენემ „ბოდიშით“ ჩაულაპარაკა გამყიდველს და მირორ-ბელს გაჰყვა. სანაპიროზე გავიდნენ. ქვიშაში სამი ბავშვი თამაშობდა. მირორ-ბელი მათ-კენ გაეშურა.

– იცით, ძალიან მეეჭვება, აქ რაიმე საგანძური იპოვოთ. ზღვის ურჩხულმა ის ალბათ გამოქვაბულში დამალა და ეტყობა, ძალიან ფხიზლადაც დარაჯობს, – პირდაპირ მიახალა ბავშვებს. იმათ ვერაფერი უპა-





სუხეს. მხოლოდ გაცხადებულები უყურებდნენ.

– ისინი საგანძურს კი არ ეძებენ, ქვიშის კოშკს აშენებენ, – უთხრა მირორ-ბელს ელენემ.

– რა სისულელეა! როგორ შეიძლება ქვიშისგან კოშკის აშენება? ეს მაინც ვიცი, თავადაც ხომ კოშკში ვცხოვრობ.

– მე კი მეგონა, სასახლეში ცხოვრობდი.

– ეგ ზამთარში. ზაფხულში კი ზღვისპირა კოშკში ვცხოვრობთ. ის თეთრი ხალასი მარმარილოთა აგებული და სპილოს ძვლის ქონგურები ამშვენებს, – მირორ-ბელი ბავშვებს მიუბრუნდა, – ზღვასთან ასე ახლოს მაინც არ გირჩევთ მშენებლობას. ვერ ხვდებით, რომ ზღვის მოქცევისას თქვენს ნაგებობას ტალღები დაანგრევენ?

– მერე რა, ჩვენ მაშინ უკვე სახლში ვიქნებით, – თქვა ერთმა ბავშვმა.

– რაო, რაო? კოშკი გინდათ ააშენოთ და იქ ცხოვრებას არ აპირებთ? – მირორ-ბელმა თავი დანანებით გაიქნია და ელენეს მიუბრუნდა, – ჯობია, ნავიდეთ აქედან, ამ საწყლებს არაფერი ეშველებათ.

– ნიჟარები ხომ არ მოვძებნოთ? – შესთავაზა ელენემ. სანაპიროს მიუყვებოდნენ. ერთ მხარეს ზღვა იყო, მეორე მხარეს – საჩრდილობელი ქოლგების მწკრივი.

მირორ-ბელს პასუხი არ გაუცია. უცებ არც აცხელა, არც აცია და უახლოეს ქოლგასთან მხედრული ნაბიჯებით გაემართა. ქოლგის ქვეშ ქალი და კაცი თვლემდნენ.

– თქვენის ნებართვით, – განაცხადა. შემდეგ დამსვენებლებს გადააბიჯა და ქოლგა დაკეცა.

– ეი, რას აკეთებ? – წამოჯდა ქალი.

– რას ჰგავს თქვენი საქციელი? არ წვიმს, თქვენ კი ქოლგა ტყუილად გაქვთ გაშლილი.

– აბა, მოუსვი აქედან, – კაცი უკვე ფეხზე იყო.

– მოუსვი რა სათქმელია, მე პრინცესა გახლავართ! – აღშფოთდა მირორ-ბელი.

ელენემ მკლავზე მოქაჩა მეგობარს. მირორ-ბელიც დაემორჩილა და გაჰყვა, მაგრამ მაინც ვერ მოითმინა, რომ ხმამაღლა არ ეთქვა:

– ნეტა გამაგებინა, ეს სანაპირო საგანგებოდ სულელებისთვის ხომ არ არის განკუთვნილი.

– სულელები სულაც არ არიან, – დატუქსა ელენემ, როცა უკვე ცოტა მოშორებით იყვნენ, – უბრალოდ, მზისგან თავის დასაცავად ქოლგას ეფარებიან. სწორედ დროზე გამახსენდა, მზისგან დამცავი კრემი უნდა წავისვა, – ელენემ ჩანთა გახსნა და პატარა ბოთლი ამოიღო.

– აი ეს მზისგან კარგად დამიცავს, – გოგონამ შეამჩნია, რომ პრინცესასაც ზუსტად მისნაირი ჩანთა ჰქონდა, – შენც ხომ არ გაქვს ჩანთაში ასეთი კრემი?

– ზუსტად მასეთი არა, – მიუგო მირორ-ბელმა და ჩანთა გახსნა. ელენემ მეგობრის ჩანთაში ჩაიჭყიტა და ზუსტად ისეთივე ბრჭყვიალა კალმები და ბლოკნოტი დაინახა, თვითონ რომ იყიდა ცოტა ხნის წინ.

– ეს ზღვის ურჩხულებისგან დამიცავს, – მირორ-ბელმა კრემი კისერსა და მკლავებზე წაითხაპანა.

– აბა რას ამბობ, აქ ზღვის ურჩხულებს რა უნდათ, – გაეცინა ელენს.

– ნუ ხარ მასე დარწმუნებული, – იღუმალი ხმით უთხრა პრინცესამ. თვალები მოჭუტა და ზღვას გახედა. – ახლა არ ჩანან, თუმცა რამდენიმე საცოდავ ქალთევზას კი ვხედავ აი, იმ კლდეზე. კუდები, არა უშავს, ნორმალური აქვთ. მაგრამ თმა? რატომ არა აქვთ გრძელი, ოქროსფერი თმა?

ელენემაც გაიხედა და სიცილი აუტყდა.

– ეგენი ქალთევზები როდი არიან. სელაპები ვერ იცანი?

– ჰო, მართლაც და, მაგათ ქალთევზებს როგორ შევადრი. არასოდეს მოგებზრდება მათი ყურება. ჩვენი ზღვისპირა კოშკის გარშემო კლდეები სულ ქალთევზებითაა მოფენილი.

– არ თამაშობ მათთან? – მაინც ჰკითხა ელენემ, თუმცა დიდად არ ჯეროდა მირორ-ბელის ნათქვამის.

– ხანდახან. მაგრამ მათთან კარგად ვერ გაერთობი. სულ თმის ვარცხნაში არიან, – მირორ-ბელი წამით შეყოვნდა და მერე დასძინა, – ერთმა მათგანმა დაბადების დღეზე ჯადოსნური სავარცხელი მაჩუქა.

– რითი იყო ეგ სავარცხელი ჯადოსნური? – ჰკითხა ელენემ.

– როგორ ვარცხნილობასაც ინებებდი, ისე დაგვარცხნიდა თმას. ფერსაც სურვილისამებრ შეგიცვლიდა. ერთხელ იასამანისფერი კულულები მქონდა, ფეხის კოჭებამდე მწვდებოდა.

– კიდევ გაქვს ის სავარცხელი?

– კარგი რა, ელენე. რა ამბავია ამდენი შეკითხვა? კარგი, თუ ძალიან გაინტერესებს, გეტყვი, რომ სწორედ ზღვის ურჩხულმა მომპარა ის სავარცხელი.

– მაშ, ზღვის ურჩხულები თმიანები არიან?

– რასაკვირველია. რას წარმოვიდგენდი, რომ შენ ეს არ გეცოდინებოდა.

გოგონები სანაპიროს ბოლომდე გავიდნენ. იქ უკვე უშველებელი ქვები ეყარა და ხალხიც უფრო ცოტა იყო. ზღვიდან გამორიყული წყალმცენარეებით მიძევებთ გააკეთეს და ერთი გვირგვინიც მირორ-ბელისთვის.

– რა ცუდია, რომ შენც ჩემსავით გვირგვინს ვერ დაიდგამ. თუ გინდა, რომ შენც პრინცესა გახდე, ერთადერთი გზა არსებობს: პრინცს უნდა გაჰყვე ცოლად.

გზა განაგრძეს. ამ სიშორეზე ელენი პირველად იყო. სანაპირო ზოლს მიუყვებოდნენ და ახლა უფრო და უფრო დიდ ლოდებზე მიხობავდნენ. პატარა ყურეს მიადგნენ. პრინცესამ მეორე მხარეს მიანიშნა.

– შეხედე, აი იმ კლდის ქვეშ შესასვლელს ხედავ? ეგ გამოქვაბულში შედის. ნეტავი მანდ ხომ არ ბინადრობს ზღვის ურჩხული? გინდა ჩემი დამცავი კრემი გინილალო?

– კარგი, მომეცი, – არ ვანყენინოო, უარი ვერ უთხრა მეგობარს. სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ზღვის ურჩხულები არ არსებობდნენ. იქნებ მირორ-ბელის სამეფოში იყო ერთი-ორი, მაგრამ აქ, ამ სანაპიროზე, მათი არსებობა ნამდვილად არ სჯეროდა ელენეს.

გამოქვაბული ცარიელი და ერთი ბენო აღმოჩნდა. იმედი გაუცრუვდათ, როცა ვერაფერი ნახეს, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე კონსერვის ქილას და ლიმონათის ბოთლს.

– ზღვის ურჩხულის არავითარი კვალი არ არის, – ჩაილაპარაკა ელენემ.

– როგორ არა! შეხედე ამ ბოთლს! – პრინცესა აღტაცებული დაჰყურებდა ლიმონათის ცარიელ ბოთლს. – არ იცი, რომ ლიმონათი ძალიან უყვართ? თუ არ დალიეს, ლორწოვანი კანი აღარ ექნებათ!

– აკი თმით არიან დაფარულებიო? – შეეპასუხა ელენე.

პრინცესას პასუხი არ გაუცია. ვერ მიხვდებოდათ, პასუხს აარიდა თავი თუ მართლა ვერ გაიგო შეკითხვა. გამოქვაბულის კედელზე რაღაც წარწერებს აკვირდებოდა მთელი გულისყურით.







ელენეც მიუახლოვდა და ნახა, რომ უამრავ ადამიანს თავიანთი სახელები ამოეკანრათ კედელზე.

– ერთი ამას შეხედე! – პრინცესამ დაკლაკნილ ასოებზე მიუთითა. ასე ეწერა: ს. ყუთი 1. 8. 0. 1.

– ეს რაღაა? – ჰკითხა ელენემ.

– ვერ ხედავ? ეს მინიშნებაა. ასო „ს“ „საგანძურს“ უნდა ნიშნავდეს.

– მე კი ვფიქრობ, რომ „ს“ „სალის“ ან „სემს“ ნიშნავს, – შეეპასუხა ელენე.

– იმ საწყალს უკუღმა დაუნერია, – პრინცესა მირორ-ბელმა ყური არ ათხოვა ელენეს, – მაგრამ მაგათგან არ უნდა გაგიკვირდეს! დიდი განათლებით არ გამოირჩევიან! მაგას არა უშავს, მაგრამ ერთი ამ ციფრებს შეხედე, ელენ! ეს ძალიან საყურადღებოა. საგანძურის ყუთის ადგილმდებარეობაზე მიგვანიშნებენ.

– მე კი ვფიქრობ, რომ ეს ციფრები უბრალოდ

თარიღს აღნიშნავენ. 2001 წლის პირველი აგვისტოა, ანუ დღე, როცა ეს წარწერა გაკეთდა.

– არაფერი მაგის მსგავსი! – დამცინავად ჩაიქირქილა პრინცესამ, – ეს წარწერა იმას გვეუბნება, რომ ერთი ნაბიჯი ერთი მიმართულებით უნდა გადავდგათ, მერე რვა ნაბიჯი სხვა მიმართულებით და იმ ადგილას ერთი ფუტის სიღრმეზე მიწა უნდა ამოვთხაროთ.

ელენე წარბშეჭმუხნილი და დაეჭვებული უსმენდა. ეს პირველად როდი იყო, რომ მირორ-ბელი ასე გატაცებით საუბრობდა განძეულზე. გაახსენდა მეგობრის მონაყოლი ძაღლზე, რომელსაც „პრინცი, ძვირფასი თათი“ ერქვა და მირორ-ბელის თქმით, ყნოსვით აგნებდა ოქროსა და თვალ-მარგალიტებს, თუმცა ჯერჯერობით თავი ვერ გამოეჩინა.

**ინგლისურიდან თარგმნა  
ნინო ქაშუკაშვილმა**





გიორგი ჯავახიშვილი



ქართული სიტყვის მოკალმასა

(გიორგი ლეონიძის მიერ წარმოთქმული სიტყვების მჭევრმეტყველება)

გიორგი ლეონიძე ხელხვაგვიანი შემოქმედი იყო. მან ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდს შემატა პოეზიისა და პროზის შედეგები. გაამდიდრა ბრწყინვალე გამოკვლევებითა და სხვადასხვა დროს წარმოთქმული სიტყვებით.

პოეტს ბედმა არგუნა ყოფილიყო თავისი დროის ჭირისა და ლხინის მოზიარე და ამიტომაც მის სხვადასხვა დროს წარმოთქმულ სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

გიორგი ლეონიძის შემოქმედების ეს მდიდარი მემკვიდრეობა შეიძლება რამდენიმე ციკლად დაიყოს. საყურადღებოა მისი მწერალთა თავყრილობებზე, თანამოკალმეთა საიუბილეო ზეიმებსა თუ სამგლოვიარო დღეებთან დაკავშირებით წარმოთქმული სიტყვები.

ცალკე განხილვას იმსახურებს გიორგი ლეონიძის, როგორც საქართველოს მეკვლის ერთ-ერთი რადიოსა თუ ტელევიზიის საშუალებით მიმართვა-სიტყვები.

ცნობილია, რომ ქართული საახალწლო რიტუალების ერთ-ერთი დამამშვენებელია მეკვლე, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეები მეფერხედ, მფერხავად მოიხსენებენ. ქართველთა რწმენით მეკვლეს ქვეყანასა და ოჯახებში ხვავის, ბარაქისა და ყოველივე სიკეთის დამაკვალიანებლად მიიჩნევდნენ, ამიტომაც მეკვლედ ირჩევდნენ ზნეკეთილობით გამორჩეულ, მჭევრმეტყველსა და ფეხბედიერ ადამიანს.

გიორგი ლეონიძე რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენი ერის რჩეული მეკვლე იყო. აი, სწორედ მაშინ შექმნა მან სამეკვლეო პოეზიისა და მჭევრი სიტყვის ნიმუშები.

ჯერ კიდევ 1947 წელს დანერილ ლექსში პოეტი დედასამშობლოს ასე მიმართავდა:

„ჩემო სამშობლოვ, შენი მეკვლე ვარ  
შემოვდგი ფეხი,  
ვარ მომლოცველი,  
თვითეულ მოძმის გადამკოცნელი!..  
ხალხო ქართველო,  
შენ გაიხარე,  
ბედნიერების ვარ მომლოცველი!

.....

ხალხო, გიმრავლოს კერის აკვნები,  
ხალხო, აივსე მიწის ბარაქით!  
სულ მჩქეფარებდნენ დაუშრობელად  
შენი რიონი, მტკვარი, არაგვი!“

პოეტმა-მამულიშვილმა ჩვენს ხალხს 1965 წლის 31 დეკემბერს, ღამით, მომავალი 1966 წელი ასე მიულოცა: „ჩემო ტკბილო სამშობლოვ, გილოცავ ახალ წელს!

გიმრავლოს აკვნის ფიცრები, გიცოცხლოს სამარგალიტო ყმანვილები, გიცოცხლოს დაწუკრებული, თვალგიშერა, იისთვალეა ქალიშვილები, – ნარჩევი ღამაზები, თვალცეცხლა, ტალიკი ბიჭები, გიმრავლოს, გიბედიეროს!

გიცოცხლოს ფუძე და კერა, ადგილის დედა, ტკბილი ქართული დედა ენა“. ამ მოკლე მჭევრმეტყველურ სიტყვაში პოეტმა საქართველოს ყველა კუთხე თავისი სიმდიდრის დამახასიათებელი თავისებურებით მოიხსენია და სიტყვის ბოლოს ასე მოაგვირისტა:

„სულ ელავდეს ბედიერი ქართული ენა  
შენი პოეტებისა. ოქროს ძაფით დათვლილიყოს  
ახალ-ახალი ლექსები, მუდამ ისევე გვესმოდეს  
სეფე სიტყვა რუსთაველისა, დიდება სახელსა  
მისსა! ნუმც გაგვცვეთოდეს ქართველებს ტყავი  
ვეფხვისა. ნურც დაღლილიყოს შენი ჩაქუჩი,





შენი ჩანგური, მშენი აზრი და ინტელექტი, შენი ხელოვნება, მეცნიერება და ხარაჩოები კიდეც უფრო მაღლა ასულიყოს, შორს საქართველოს გარეთ გასულიყოს ქართველ დიდოსტატთა, დიდ მეცნიერთა ქართული სახელი“.

1966 წელი კი გიორგი ლეონიძემ სპეციალური ტექსტით მიულოცა საზღვარგარეთ გასულ ქართველობასაც. ამ სიტყვის ჩანაწერი საქართველოს რადიოს ფონდშია დაცული.

გიორგი ლეონიძე სიტყვის წარმოთქმის პირველივე ფრაზიდან იქცევდა ყურადღებას. მისთვის, როგორც ორატორისათვის, ნიშანდობლივი იყო სიტყვაში ხალხურ ლექსის, ლეგენდისა თუ თქმულების ოსტატურად ჩართვა. აი, მაგალითად, 1955 წელს მწერალთა თავყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში მან გაიხსენა: „მაგონდება საქართველოში გავრცელებული საახალწლო ჩვეულება. ოჯახის უფროსი ახალწლის წინა ღამეს აიღებს გავრვარებულ მუგუზალს და კერაზე დაარტყამს. ათასობით ეღვარე ნაპერწკლები ბლუჯა-ბლუჯა ცვივა აქეთ-იქით, ხოლო ოჯახის თავი წარმოთქვამს: ამდენი პური და ღვინო, ამდენი ოქრო და ვერცხლი, ამდენი მარგალიტი მოგვიტანოს ახალმა წელმაო“.

ამავე სიტყვაში პოეტი ჩაურთო თქმულება ქართველ მეზღვრეებს: „როცა ხე შეწყვეტდა ხოლმე მსხმოიარობას, მაშინ ერთ გარიჟრაჟზე პატრონი და მეზობელი ორივენი ერთად ნავიდოდნენ უმძრახად იმ ხისაკენ, ერთ-ერთი მათგანი ასწევდა ნაჯახს თითქოს ხეს მოჭრას უპირებსო, მეორე ხელში სწვდებოდა, შეაჩერებდა და ეტყოდა: „ნუ მოსჭრი! ეგ ხე კიდეც დაისხამსო!“ იქვე პოეტი ამ ჩვეულების ასეთ ახსნას გვთავაზობს: „ზოგიერთი ჩვენი ფიცხი კრიტიკოსი როდი სჯერდება კრიტიკული სიტყვით ზემოქმედებას. ისინი მიდიან ხესთან, რომლის ნაყოფი მათ არ მოსწონთ, და არავინ არის, რომ შეაჩეროს ხეზე დასაკრავად აღმართული ნაჯახი“.

მომხსენებლის მიერ ორივე გადმოცემის გახსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მაშინდელი პრესის ცნობით მსმენელთა ტაშიც დაუმსახურებია.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე გიორგი ლეონიძის მიერ 1959 წელს მწერალთა თავყრილობაზე წარმოთქმული სიტყვაც. პოეტი ასე გააცოცხლა ერთი ბავშვობიდანვე ადევნებული მეზობლის მეოცნებე სახე: „მახსოვს იგი, ნაღვლიანი, ფერმკრთალი, ბეჩავი, ჩვრებსა და კონკებში გამოხვეული, შვიდი გამურული გოგოს მამა, რომელთა თვალებში შიმშილი იხედებოდა, ირგვლივ სისაწყლე, ჭუჭყი, ტალახი, ძონ-

ძები. მას, ნაზი გულის ადამიანს, სურდა რაიმე გზით, სასტიკ, უღმობელ სინამდვილეს გაქცეოდა და თავის მოგონებულ უცნაურ ოცნებებს აფარებდა თავს. მისი ოცნება იყო ის ჯადოსნური კუნძულები ანუ სამოთხის ბაღები, კი არა: მისი ალთქმული ოცნება იყო იმ „უკვდავების ხის“ დანახვა, რომელიც თურმე იანვრის უსასტიკეს ღამეში, უღრან ტყეში, კიდევაც ჰყვავის და კიდევაც ნაყოფს ისხავს ერთი საათის განმავლობაში და აი, მშვიერი, მაშვრალი, ძონძებში გამომხვეული დაძრწოდა, ქვისხეთქელა ღამეში და ზამთრულ ტყეში ეძებდა გაზაფხულურად აყვავებულ ხეს. თურმე იმ ხის ნახვას არაფერი სჯობდა! თანაც თუ კი მისი ნაყოფი ხელთ მოიგდე, მდიდარიც შენა ხარ და უკვდავიც! უკვდავებაზე, ცხადია, იგი სულაც არა ზრუნავდა, შვიდი გამურული გოგონას მამას ფული კი ძალზე სჭირდებოდა. ვინ უთხრა, ვინ ჩააგონა ეს ფანტაზია, დღესაც არ ვიცი, მაგრამ მას სწამდა იმ ხის არსებობა, ხშირად დადიოდა ტყეში ზამთრის მძვინვარე ღამეებში, დადიოდა ფრთხილად, თითქოს თავის ოცნებას ეპარებო. შინაურებიც კი დასცინოდნენ ამ აკვიატებული ოცნებისათვის, მაგრამ თითონ კი შეუდრეკელი იყო.

– რა ჰქენი, იპოვე უკვდავების ხე? – ვეტყოდით ღიმილით.

– როგორ არა ვნახე, როგორ არა ვნახე! თუ არა ვნახე, ვნახავ უსათუოდ, ვნახავ! – იტყოდა იმედუელი და თან მიეშურებოდა, რომ თავის საოცნებო ხესთან არ დაგვიანებოდა.

და აი, ზამთრის ერთ მზიან დილას, როცა სიცივეს ჭახჭახი გაჰქონდა ტყიდან ურმით ჩამოასვენეს ჩვენი მეოცნებე – გათოშილი, გაფიჩხული მკვდარი, თავის მკვდარ ოცნებასთან ერთად.

თურმე ხის აყვავების მოლოდინში ის გათოშილიყო ერთი ხის ქვეშ, რომელიც მართლაც აყვავებულიყო ყინულის ლოლუების ათასნაირი ყვავილებით და არშიებით. ასე დაიღუპა ჩვენი მეგობარი, უკვდავ ხეზე მეოცნებე.“

გ. ლეონიძის წარმოთქმული სიტყვის ტექსტში ჩართული ამ თქმულების მოტანა, მკითხველს გაახსენებს თუ როგორ იპოვა მწერალმა მეოცნებე გმირის სახე, რომელსაც პოეტი გულთ ატარებდა დიდი ხნის მანძილზე და შემდეგ გამოძერწა მეოცნებე ელიოზის სახით მოთხრობათა კრებულში „ნატვრის ხე“.

საქართველოში გლოვის უძველესი ტრადიციები გვაქვს. გვყავდნენ „მგოსანი გლოვისანი“ და ხმით ნატვრის მდიდარი ტრადიციებიც მოგვეპოვება. გლოვის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება იყო და არის მიცვა-





ლებულის დაკრძალვაზე წარმოთქმული სიტყვები.

მე-20 საუკუნის ქართული სამგლოვიარო მჭევრმეტყველების ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გიორგი ლეონიძის წარმოთქმულ სიტყვებს. მან სხვადასხვა დროს თანამოკალმეთა და სხვა სახელოვან მამულიშვილთა დაკრძალვაზე დასამახსოვრებელი სიტყვები წარმოთქვა.

1947 წლის ნოემბერში გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია. მის დაკრძალვაზე გიორგი ლეონიძემ სიტყვა მიმართვით დაიწყო: „ძვირფასო სიმონ! როცა ვიგონებ შენს დაუშრეტელ წყურვილს სიცოცხლისას და როცა გხედავ კუბოში ხელდაკრეფილს, თვალჩამქრალს და გაქვავებულს, მახსენდება სოფლურ სატირალში გაგონილი ლექსი:

„მიყიდეთ ცოტა სიცოცხლე,  
რა ეღირება ნეტავი?!“

გიორგი ლეონიძის სიმონ ჯანაშიას დაკრძალვაზე წარმოთქმულმა სიტყვამ განსაკუთრებული ემოციური ფონი შექმნა მაშინ, როცა მეცნიერის დამახასიათებელი თვისებები და დამსახურებები ჩამოთვალა: „შენ, რომელმაც ცრემლდასველებული ეტრატები წაიკითხე, შენ, რომელმაც ქვების ღალადი ამოიკითხე, შენ, რომელმაც გადათხრილი მიწა წაიკითხე, შენ, ჩვენს დღევანდელს ყოველდღიურ ეკონომიკურსა და კულტურულ საქმიანობაში მახვილი თვალთ კითხულობდი საქართველოს სამუდამო გაზაფხულის უკვდავ ეპოსს“. აქვე „შენ“ და „შენი“ ნაცვალსახელის მოშველიებით ითქვა, რომ „შენ გათხარე“, „შენი ოცნება“, „შენი ერთგულება“, „შენი უმნიკვლო სახელი“ და პოეტის ბოლო სიტყვებით, რომ ვთქვათ: „შენი მწიაღებელია საქართველოს დიდი მთა, რომელსაც მრავალჯერ მიუბარებია დამაშვრალი ძვლები ჩვენთა მამათა და, რომელსაც შენებრ ახალგაზრდის კუბო ჯერ არ ახსოვს. შენ მიგიბარა მთაწმინდამ, ის კი იმის ნიშანია, რომ მუდამ ცოცხალი იქნებიო“.

პოეტის ამ სამგლოვიარო სიტყვაში მრავალჯერ გამეორებული „შენ“ და „შენი“ სიტყვის ფორმები ქმნიან მჭევრმეტყველების განწყობილებას და გვაზიარებენ სიტყვის აგების თავისებურ ხელოვნებას.

მჭევრმეტყველების თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა გიორგი ლეონიძის მიერ გალაკტიონ ტაბიძის დაკრძალვაზე წარმოთქმული სიტყვა. ყურადღებას იქცევს სიტყვის დასაწყისი: „სამშობლო, პოეზია, მოულოდნელი,

შემზარავი შავით შეიმოსნენ. საქართველოს საჭირისუფლო სახლში დღეს ასვენია გედი მთაწმინდისა, ჩვენი დროის უდიდესი პოეტი და მედროშე გალაკტიონ ტაბიძე. წყეული მარტის ავი თვალთ ვნებული, დამარცხებული, წევს მშვენება და სიამაყე ქართული პარნასისა“... საქართველოს მიწამ კვლავ ახალი, – განაგრძობს გ. ლეონიძე, მოულოდნელი ხარჯი მოითხოვა უძვირფასესი, სპეტაკი პოეზიისა. დაე, მიიღოს, ჩაიბაროს ეს განძი. დაე, ძველი ქართული მიწა პოეტის გულის ფერფლით. წინაპართაგან დაცვრემილი, დატირებული. საფლავთა შორის, ამ ღვარჩარეცხილ კლდეების გადასაკრავში, ამ ბუმბერაზთა ხერხემალზე ამოიზრდება ახალი ბორცვი, რომელშიც ჩამარხული იქნება ჩვენი თაობის გავლილ დღეთა ცრემლი და ოცნება“.

გ. ლეონიძის აღნიშნულ სიტყვაში შენივთებულია სიზუსტე, სისადავე და სტილი დრამატული მეტყველებისა. მისი თანამოკალმის შემოქმედების მისამართით გამოთქმული მოსაზრებები ჩასმულია ხატოვან სიტყვა-თქმათა ყალიბში. აი, მაგალითებიც: „გალაკტიონის შემოქმედება ჯერ ხსოვნა იყო ჩვენი სიჭაბუკისა და მერე მუსიკა ჩვენი სულისა“.

„გალაკტიონის ლექსი ისევ დაუბრუნდა მშობლიურ მუსიკალურ სტრიქონს. ჩვენ ვიყნოსეთ გალაკტიონის ნატიფი ლირიკის უკვდავი სურნელება, სავსე ქართული პატიოსნებით, და, თუ პოეზია უმაღლესი წარმოსახვა ადამიანის ფიქრებისა, გალაკტიონმა უკვდავი გახადა თავისი ოცნება“.

გ. ლეონიძემ სიტყვა მგრძობიარე ფრაზით დაამთავრა: „მიწაში ჩადის მიწის იმედიო“ და მას მოსდევს სიტყვები: „დავკარგეთ დიდი მომღერალი ქართველი ერისა, სამაგიეროდ იგი დაიბრუნა მთაწმინდის მთვარემ და იქ, ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი შეითვისტომებენ, შეიმატებენ თავის რიგებშიო, თავის ფრთებით აზიდულ გალაკტიონს“.

„მშვიდობით! გეთხოვებით უდროოდ გაჩერებულს, სიკვდილისათვის აჩქარებულს, როგორ არ იცოდი, რომ შენ სიკვდილი ვერ მოგერეოდა, რომ არასოდეს არ დაჭკნება შენი ლექსის ყვავილოვნება, რომ არასოდეს დაირღვევა ჰარმონია შენი სიტყვის, აჟღერებულ სივრცეში. წავიდა შენი სულის ძახილი, მარგალიტად დასხმულია ხალხის გულში შენი სიტყვები“.

წარმოთქმულ სიტყვაში გიორგი ლეონიძემ გალაკტიონთან თავის უშუალო დამოკიდებულებაზეც გაამახვილა ყურადღება: „ჩემო უფროსო, საყვარელო ძმაო! მიიღე ეს ჩემი მცირე სიტყვა ცრემლში გატარებული, როგორც ნი-







შანი ჩვენი ძმობისა, სიყვარულისა, პატივისცემისა და იმ რწმენის დასტურად, რომ სწორედ შენ იყავი ის ახალი ხმა ჩვენს პოეზიაში, რომელსაც ეძიებდა ქართველი ხალხი თავის გრძნობების გამოსახატავად, გამოსათქმელად და შენ გამოსახე იგი შენებურად.

მშვიდობით დიდო პოეტო!

მიდიხარ და თან მოგდევს ზღვა ცრემლი ერისა. დაე, ჩვენმა ცრემლებმა გზა გაგინათოს შავეთის წყვდიადისა. მშვიდობით ძმაო, უკვდავო მომღერალო! საუკუნეს თან გაჰყვება შენი ქართული ქნარი“.

ამრიგად, გიორგი ლეონიძის ამ სამგლოვიარო სიტყვის წყალობით ერთხელ კიდევ დავრწმუნდით გენიალური შოთა რუსთაველის ნათქვამის სიბრძნეში: „დიდი ლხინია ჭირთა თქმაო“. აქ უნებურად გვახსენდება დიდი ილიას დაკრძალვაზე აკაკის წარმოთქმული სიტყვა, რომელიც ორი დიდი თანამედროვის ურთიერთობისა და შეფასების საუკეთესო ნიმუშად ითვლება. ამ მხრივაც ტრადიცია გააგრძელა გიორგი ლეონიძემ.

გ. ლეონიძის სამგლოვიარო მჭევრმეტყველებიდან გამოირჩევა ტიცციან ტაბიძის მეუღლის ნინო მაცაშვილი-ტაბიძისას დაკრძალვაზე წარმოთქმული სიტყვა.

ნინო ტაბიძე ქართველი სიმბოლისტების მეხვაშია დე იყო. მან შესანიშნავი მოგონებების წიგნი დაწერა ცისფერყანწელების თაობის პოეტებზე და მათ თანამოკალმე რუს, სომეხ თუ უკრაინელ მწერლებზე. ცნობილია, რომ ტიცციანის ოჯახი ითვლებოდა მათი თავშეკრების ერთ-ერთ საყვარელ ადგილად და ამ ტრადიციას აგრძელებდა მისი ოჯახი, მისი მეუღლისა და ქალიშვილის მესვეურობით.

ფაქტია, რომ ტიცციან ტაბიძე იმსხვერპლა 1937 წლის მოვლენებმა. ამოდ ელოდა პოეტის მეუღლე სასიკეთო ცნობებს. მან სამწუხაროდ ვერ მიაკვლია ტიცციანის განსასვენებელსაც კი. დარდას და ნაღველში გაიარა ნინო მაცაშვილის სიცოცხლემ. გარდაიცვალა თუ არა, ქართველი მწერლების წინაშე დაისვა საკითხი თუ სად უნდა გაჭრილიყო მისი სამარე. უყოყმანოდ გადაწყდა, რომ იგი დაეკრძალათ დიდუბის მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში. ცისფერყანწელთა დადნაფიცის დაკრძალვაზე სიტყვა წარმოსთქვა გიორგი ლეონიძემ.

გ. ლეონიძემ სიტყვა ასე დაიწყო: „ვაი, რომ ძნელია ამ საზარელი სამარის პირას დგომა და ხმის ამოღება! როგორ უნდა გითხრა სამგლოვიარო სიტყვა. ჩვენ 50 წლის საყვარელ მეგობარს, რომელთან ერთად ბევრი რამ გამოგვივლია ჩვენ

ცხოვრებაში, ერთად გვიმხიარულნია, როცა შენი სახლიდან მხოლოდ ლექსისა და სიცოცხლის ხმა გამოდიოდა...“

ჩვენო ოქრო ქალავ, ჩვენო კარგო ნინა, საყვარელო დობილო და მეგობარო! ვაი, რომ სიკვდილი ჩამოხდა შენს კარს, ვაი, რომ ისევ შავი ღრუბელი შეიკრა შენი მეგობრების თავზე“.

ამ სიტყვაში გიორგი ლეონიძემ ასე მტკივნეულად გამოხატა მეგობარი ქალის სიკვდილი „შენ ახლა ყინულის კაბა ჩაგაცვა სიკვდილმა, ფიფქი დაგიდო სარჩულად!“ უფრო მეტი მგრძნობიარებით ითქვა პოეტის სიტყვები: „არ ვიცი სად წევს ტიცციანი, თუმცა მისი საბოლოო მამული უნდა დიდუბის წმინდა მინა ყოფილიყო და ამიტომ დღეს შენ წვები ამ მინაში ტიცციანის მაგივრადაც და ამ უდროოდ გათხრილ ერთ საფლავში. ამიერიდან ჩვენთვის ორი სამარე იქნება – ნინასი და ტიცციანისა“.

მახსოვს, ერთმანეთის მიყოლებით მოხდა დიდუბის წმინდა მინაში ნინო მაცაშვილისა და მწერალ გიორგი შატბერაშვილის დასაფლავება. ორივე განსვენებულის ცხედრის წინაშე გ. ლეონიძემ წარმოთქვა სიტყვები. იგი საქართველოს მწერალთა კავშირში დასვენებულ გიორგი შატბერაშვილს ასეთი სიტყვებით გამოემშვიდობა: „– უღვთო იყო შენი სიკვდილი, ჩემო გიორგი, შენ მათ მიემატე, ვისმა წასვლამაც გული დაგვწყვიტა, ვაი, რომ დაშვრა მშრომელი ხელები, ვაი, რომ დადუმდა ტკბილად და მართლად მოუბარი ბაგენი. შენ იყავი ნამდვილი მოღვაწე, შენი მწერლობა სიმართლეს ემსახურებოდა, თავყანს სცემდა კეთილსა და მშვენიერს, იყავი მესაიდუმლე ხალხის გულისა, ხალხის სიღრმიდან ზღვის მყვინთავივით ამოგქონდა სიტყვათა მარგალიტები“.

გიორგი ლეონიძეს სამგლოვიარო სიტყვები აქვს წარმოთქმული ცნობილი ქართველი მეცნიერის კორნელი კეკელიძისა და გამოჩენილი ფილოლოგის ლევან ასათიანის დაკრძალვაზეც. სამწუხაროდ, ზოგი მისი სიტყვა იმპროვიზირებული იყო და ამიტომ არ შემოგვრჩა. თუნდაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში პოეტთან შეხვედრებსა და ნადიმებზე წარმოთქმული სიტყვა-საღვებრძელოები, რომ ჩაგვეწერა, ახლა ხელთ გვექნებოდა დიდი წიგნი ქართულ მჭევრმეტყველებაში.

გიორგი ლეონიძის წარმოთქმული სიტყვებიდან საინტერესოა ქართული მამულიშვილების ძეგლების გახსნისას და თანამოკალმეთა საიუბილეო საღამოებზე წარმოთქმული სიტყვები.

მან შესანიშნავი სიტყვები წარმოთქვა ტი-



ციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას საიუბილეო საღამოებზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში აკადემიკოს კ. კეკელიძისა და დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის თბილისში დადგმული ძეგლების გახსნაზე.

ქართული მჭევრმეტყველების ყველა დროის ისტორიას დაამშვენებს გიორგი ლეონიძის მიერ თავის დაბადების 50 და 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოებზე წარმოთქმული სამადლობლო სიტყვები.

1959 წლის 29 დეკემბერს ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა პოეტის დაბადების 60 წლისთავი. მან სამადლობლო სიტყვაში თქვა: „ერთხელ ღმერთმა საჩუქრები მიიღო, მთელი სამყაროს მცხოვრებთაგან. ზოგმა რა მიართვა, ზოგმა რა. მინამ ოქრო მიართვა, ზღვამ – თვალმარგალიტი და სხვა. ჭიანჭველამ კი ერთი ღერი ჩალა მიართვა. მე იმ ჭიანჭველასავით, რაც შეეძელი, ის მიუტანე ჩემს სამშობლოს ძღვნად და საჩუქრად... მაგრამ ცა რომ ქალაქად გადაიქცეს, ღამის ჰაერი მეღნად, ვარსკვლავები გადამწერლებად მყავდეს და იმაზე მეტი ასოები დავსხა ქალაქზე, რაც ზღვაში ქვიშა და თევზია, მაინც ვერ ვიტყვი, ვერ გამოვსახავ, ვერ გამოვხატავ ჩემს სიყვარულს ჩემი სამშობ-


ლოსადმი, ჩემი ქართველი ერისადმი“.

პოეტის სიტყვამ ენამზებობის ზენიტს მაშინ მიაღწია, როცა თქვა: „მე ერთი ის შემთხვევა ვთქვა, რომ მე ვიყავი და ვარ ერთი პატარა ცვარი იმ დიდი ზღვისა, რომელსაც ქართული მწერლობა ჰქვია, ერთი პატარა ნაპერწკალი იმ დიდი ცეცხლისა, რომელსაც ქართული პოეზია ჰქვია. ქართული პოეზია უპირველესია მთელს მსოფლიოში. ჯერ კიდევ რომელი პოეტი – ჰორაციოსი ამბობდა, მას უსმენენ კოლხიდელები, ანუ დღევანდელი ქართველები. მართალია ისიც, რომ პოეტების ქვეყანაში – საქართველოში ძალიან ძნელია პოეტობა. ეს იმას ნიშნავს, ვარდის ბაღში ვარდის კონა შეიტანო, ხოლო კახეთში ღვინო“...

სიტყვის დასკვნით ნაწილში კი იუბილარმა მიუთითა, რომ „მე ხალხში ვარ, ხალხიდან მოვდივარ, ხალხმა გამზარდა, ხალხმა მომცა ნიჭი, შთაგონება და მას ვემსახურებიო“...

როგორც გიორგი ლეონიძის ზემოთ წარმოთქმული სიტყვებიდან ჩანს, პოეტი ფლობდა მჭევრმეტყველების ხელოვნებას. მან სამჭევრმეტყველო ლექსიკა გაამდიდრა „ხელსატაცი“, „გულისსაწური“, „ბედაური ქართული“ სიტყვებით. მას ჩაუქად ეპყრა სიტყვის ქამანდი. მისი ბუბუნა ხმა და ბრძნული სიტყვა მსმენელს საღბუნად ედებოდა.





როინ ჭიკავა

50



## ანა კალანდაძის პოეზია – მზის საგალობელი

მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის მშვენიერება ანა კალანდაძე „ჩვენი დროის ერთადერთი ქართველი ლირიკოსია, ვინც მხოლოდ შედევრებს აქვეყნებს“ (ჭუმბურიძე, 2005, 3). მისი პოეზია „სულთა თანხმობის ცათუმაღლესი ტაძარია“, სადაც აღევლინება სამშობლოს საგალობელი ლოცვანი „მზის ოქროსფერ, დიდ სალოცველში“.

ამ „დიდ სალოცავში“ ანა კალანდაძის მუზის ასტრალური კერპებია ცა, ვარსკვლავები, მთვარე, მზე... ამ მხრივ ანა კალანდაძის მრწამსი ეთანადება იმ ფაქტორს, რომ „ცის, მზისა და მთვარის და, საერთოდ, ვარსკვლავთა გაღმერთების ამბავი არ არის რომელიმე ხალხის გამოგონილი... ცისა და მის გვამთა ღმერთობა თითქმის ყველგან არის გავრცელებული და კულტურის განვითარების ერთ-ერთ მაღალ საფეხურს წარმოადგენს“ (ნოზაძე, 1956, 100).

ანა კალანდაძის პოეზიაში ცხადად იკვეთება მზისადმი თაყვანისცემა. პოეტის მრწამსში მზის კულტი დომინირებს. პოეტისათვის ასტრალური სამყარო მისტიკური და მითოსურია; მისი შემოქმედების გარიჟრაჟზევე მჟღავნდება მზის გაღმერთების ტენდენცია:

ვალმერთებ მზესა,  
ვანთებ ცეცხლსა და  
ვწირავ მსხვერპლსა (62; 45)\*.

ეს მზის გაღმერთება, ცეცხლის დაგზნება და მსხვერპლშენიშვნა იმის მანიშნებელია, რომ ანა კალანდაძე „პოეტურად წარმართია“, რასაც თვითონვე აღიარებს:

მუხლებს მოვიყრი ნაწარმართევი  
(რალაც უნებურ იღვიძებს ჩემში),  
როს ავა ცაზე მზის აღმართების  
და მზის ოქროსფერ, დიდ სალოცავში  
კოცონს დააგზნებს ქურუმი ცისა (94; 46).

შემთხვევითი არაა, რომ პოეტის გულისყ-

ური მიპყრობილია ისეთი უძველესი ქვეყნისადმი, როგორცაა ეგვიპტე, ურარტუ, ხეთა, მიდია..., რომელთა ერთ-ერთი ღვთაება იყო **შამს** (მზე), რომლის გამოძახილიც ჩანს ანა კალანდაძის ლექსში „არაბები“.

აქ თავს იყრიან, ოაზისთან, სემის ტომები,  
როს სილის ზღვაში ჩაეშვება მხურვალე **შამსუ** (113; 46).

სულხან-საბა ორბელიანისა და ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონებითაც ქართული „მზე“ არაბულად არის „შამს“. ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ „პროფ. ნ. მარმა ქართული „მზე“ არაბული „შამს“-ისა და ებრაული „შამაშ“-ის შესატყვისობად აღიარა“, თუმცა თვით ივ. ჯავახიშვილი არ იზიარებდა მარის ამ მოსაზრებას (ივ. ჯავახიშვილი, 1979, 164).

ვიქტორ ნოზაძის გამოკვლევით, შუმერული, ბაბილონური, ასურული, ებრაული, არაბული... **მზე-ღმერთი** წერილობით წყაროებში გვხვდებოდა **შამაშ (შემემ) შამს** ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტებით (ნოზაძე, 1957, 11-13).

ანა კალანდაძის პოეზიაში გვხვდება ასტრალური ცნება „**მზის წილი**“, რომელიც „ვეფხისტყაოსანშიც“ არცთუ იშვიათია. გავიხსენოთ ნესტან-დარეჯანის წერილი ტარიელი-სადმი:

„მზე უშენოდ ვერ იქნების,  
რათგან შენ ხარ მისი წილ“.

ლექსიკონების განმარტებით „**მზის წილი**“ არის ხვედრი, კერძი, ნაწილი, ხოლო „**წილი**“ – სამაგიეოდ, ნაცვლად, მაგივრად. ვიქტორ ნოზაძის მიხედვით კი მრავალ სემანტიკურ ნიუანსთან ერთად „მზის წილი“ არის კეთილი სული, ზეგარდმო მაღლი (ნოზაძე, 1957, 2003).

სწორედაც რომ სამშობლოსათვის თავშენიშნულთა წილად ამოდის მზე, როგორც გარდასულთა ზეგარდმო მაღლი:





ცას – შავად გამურულს, კვამლიანს, ცეცხლიანს,

ბავშვური ღიმილით ასწევთ...

და... მზე კვლავ ამოდის ზამბახის ყვავილით წარსულთა ც ამოდის წილად (263; 66).

ვინც „**მზის წილ...**“ რამეს აღიარებენ“ (277,70), სწორედ მათ დაამხეს პოეტის საკურთხეველი, თუმცა კი განა „შესაძლო არის შეუძლებელი?“ – კითხულობს პოეტი:

თავზე მევლება

სულანთებული

ჩემი პეპელა,

ეძებს ჩემს ყვავილს, –

სიხარული აქვს საუნწყებელი...

მივდრკები მისგან

მე...

**მზეთა ნაცვლად...**

ბნელთა მძებნელი,

მაგრამ, მაუნწყევთ,

შესაძლო არის

შეუძლებელი? (295; 70).

შემადრწუნებელია ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პოეტის განცდა, როცა აცხადებს:

ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგავარ,

გულო, რისად მეხურები?

სხივმიმკრთალი, სხივმიმკვდარი **მკვდართა მზე** ვარ,

ჩემს სხივებში ჟივჟივებენ ბელურები (95; 46).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **მკვდრის მზე** არის მზის ჩასვლისას უკანასკნელი ალისფერი სხივები.

აქ უნებურად გახსენდება გიორგი შატბერაშვილის მოთხრობა „მკვდრის მზე“, რომლის ეპილოგშიც ანა კალანდაძისეული „მხივმკვდარი მზის“ დარად **მკვდრის მზე** სულთმობრძავის აღსარებას უტოლდება:

„მოდიოდა ღამე, ძღვევის ქედის მწვერვალზე კი ისევ ენთო მკვდრის მზე.

მკვდრის მზე...

მკვდრის მზე შემოღამების წინ სულ რამდენიმე წამით გააშუქებს ხოლმე მათათა მწვერვალებს და უმაღლვე ქრება.

საოცარია უკვე ჩასული, ქვეყნის კიდეს მიფარებული მზის ეს უკანასკნელი ამოსხივება, სულთმობრძავის აღსარებასავით გაუგებარი და სევდიანი... საოცარია მისი სახელიც – მკვდრის მზე“ (შატბერაშვილი, 1972, 117).

ქართულ წარმართულ და ქრისტიანულ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული მზის თაყვანისცემა, რასაც ადასტურებს ხალხური

ზეპირსიტყვიერება, სასულიერო თუ საერო მწერლობა და ხელოვნება. ეს გარკვეულ წილად აისახება **კვირა დღის** სახელწოდებაში: **კვირა – მზის დღე** (ჟაშხა – ბჟაშ დღა).

„ქართველი ხალხის წარმოდგენით მზე არის დედაკაცი, მთვარე – მამაკაცი.

ნათელმა მთვარემ ბრძანა:

„ბევრით მე ვჯობივარ მზესა“.

დაჯდა, დასწერა წიგნები,

ზენა ქარი მიათრევსა,

მზეს რომ კაცი მიუვიდა,

მზე ძალიან გაჯავრდესა:

„მე და ვარ და ის ძმა არის,

რად ვძულდებით ერთმანეთსა“...

ამ ლექსში მზე არის და, მთვარე კი – ძმა.

მეორე ლექსში მზე უკვე მშობელია მთვარისა:

დაიძინე, გენაცვალე, იავ, ნანინა,

მზე დანვა და მთვარე შობა, იავ, ნანინა!

ერთ მეგრულ ლექსში მზე დედაა, მთვარე კი მამა:

ბჟა დია ჩქიმი, – მზე დედაა ჩემი,

თუთა მუმა ჩქიმი, – მთვარე მამაა ჩემი,

ხვიჩა ხვიჩა მურიცხეფი – სხვადასხვა ვარსკვლავი,

და დო ჯიმა ჩქიმი – და და ძმაა ჩემი.

როგორც ვხედავთ, ყველა სახალხო ლექსში მზე დედრობითია, ხოლო მთვარე – მამრობითი. ძველი ქართული გადმოცემებითაც მზე დაა და მთვარე კი – „ძმა“ (ნოზაძე, 1957, 99-100).

და მაინც ანა კალანდაძის ასტრალური სამყარო „მზის სამეფო“ და „მზის სალოცველია“; ამიტომაც აცხადებს: ო, მეუფეო, განა არ ვიცი, რომ მთვარე... მზეზე მეტი არ არის?! (415; 89).

ანა კალანდაძის პოეზიაში უხვად გვხვდება ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან აღებული მზესთან დაკავშირებული სტანდარტული გამონათქვამები თუ ფრაზეოლოგიზმები:

**დღისით-მზისით:**

თვრება ვამპირი

დღისით,

მზისით

ანყოზს გენოციდს (518; 94).

განდიდებულა კვლავ ღვარძლის თესლი,

ჰა, დღისით-მზისით ცრუობენ დღესაც! (522; 96).

**მზის გული:**

შემორჩენილი სვეტის თავებზე

მრისხანე ლომი

მზის გულზე თბება (491; 63).

**მზის გადახრა:**

მზის გადახრისას ჭიუხთა თავზე







გაიბმებიან მშვილდ-ისარნი... (199; 67)

### მზის გადანვერა:

ცეცხლმა დაწვა ცა მწვერვალზე დანაფერ-  
დი,

მზე რომ გადინვერა... (72; 46).

### მზის დაცხრომა:

მზეი დაცხრა, ყვავეილების ჯარია (79; 46).

### მზის სიცილი:

მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია (78; 46).

სასაუბრო ქართულში ხომ ყოველ ნაბი-  
ჯზე გვესმის: **ჩემმა მზემ** – ჩემს სიცოცხლესა  
ვფიცავ; **მზე დაუბნელდა** – მოკვდა; **დღისით-  
მზისით** – ნათლად, ცხადად (სახოკია, 1979, 393-  
394).

ანა კალანდაძეს გამოუყენებია ხალხურ სა-  
საუბრო ენაში გავრცელებული ფრაზა „მინდა,  
რომ მზეს დიდხანს ვუყურო“, რომელიც ნიშნავს  
„მინდა, რომ დიდხანს ვიცოცხლო“:

ქარო მიუვალს დაეცი

ჩემი მიწური,

იქ, ახლოს მზესთან, ახლოს მზესთან...

მსურს სამუდამოდ ვუყურო მზესა (115; 46).

ხოლო მზის შეხედვა ან მზისგან ხილვა  
დაბადების მომასწავებელია:

ჰა, როდესაც მზეს შევხედე გვირგვინოსანს,  
იცი თურმე, ქვეყანაზე გავჩნდი ოდეს,

– ბედნიერი იყოს – უთქვამს ანგელოსსა,

სატანამ თქვა:

– ხა, ხა, ხა, ხა – არასოდეს! (58; 45).

ადამიანს, ერს, ქვეყანას თუ მტერმა „მზე  
დაუბნელა“, ეს უბედურების მომასწავებელია:

მწედ გამოუჩნდით პატარა ერსა,

როს უბნელებენ მავანნი მზესა (522; 96).

მზის ამოსვლის შინაარსის შემცველია შემ-  
დეგი ფრაზეოლოგიზმები: მზემ აინია ფეხის  
წვერებზე (9, 45). მზე რომ ისარს ჰკრავს ბახ-  
მაროს წვერებს... (139; 49). მზე ჩამოხედავს  
შუაფხოს, გაიღვიძებენ სერები (182; 55). ჰა, მი-  
ვესალამეთ ამ ღელებს – მზემ ნუ დაგტოვოთ  
უსალმოდ! (219; 84).

მზე ხშირად გვხვდება ფიცილის ფორმე-  
ლებში: „ქართულ ხალხურ ზეპირმეტყველებაში  
საკმაოდ გავრცელებული გამოთქმაა „ჩემმა  
მზემ“... ამ გამოთქმას დიდი და საინტერესო ის-  
ტორია აქვს, დაკავშირებულია ქართველების  
უძველეს რწმენასთან“ (ჯავახიშვილი, 1979,  
124), რომლის მიხედვითაც „თითოეულ თემსა  
და ოჯახს... უნდა ჰყოლოდა თავისი მზე, რომ-  
ლის დაფიცება განსაკუთრებული დამაჯერე-  
ბლობისათვის იყო საჭირო (ჯორბენაძე, 1997,  
63).

ამ რწმენით სულდგმულობს ანა კალან-  
დაძეც:

„მზის საფიცარი

ნუ დამელევს“,

იმედი კვლავ მზის

გამოჩენისა (227; 99).

პოეტის საფიცარია არა მხოლოდ „ათენგე-  
ნაის მადლი“ და „ქვექუეის ჯვარის ძალა“, არ-  
ამედ „თორღვაის მზეც“.

მოგწონს არხვატი? ჰაი, ქვექურის ძალო!

თვალ-მარგალიტით მორთულ მეგონე,  
ქალო,

თავზე ნათელი გადაგდიოდა ზენა,

ასე ვგონებდი, აი, თორღვაის მზემა! (204;  
69).

ვინაიდან „მზე გაქრისტიანდა“ (ნოზაძე,  
1957, 69), ამიტომაცაა რომ „ნაწარმართევი“ პო-  
ეტი „პირჯვარს ისახავს“ და შინაგანი ხმის მო-  
წოდებით ისწრაფვის მზისკენ:

ჩავეყურებ უფსკრულს, პირჯვარს ვისახავ...

ჩამძახის ვილაც: – აქეთ, მზისაკენ“ (463; 95).

ანა კალანდაძის პოეზიაში მზე სულიერების  
საწყისია. როგორც ვიქტორ ნოზაძე შენიშ-  
ნავდა „სული არის მზეში, ვარსკვლავებში და  
ყველაფერში, და იგი არის ღვთიური“ (ნოზაძე,  
1957, 50); პოეტისათვის მზე მისი „სულის წვეუ-  
ლია“.

ჩუ, ვინ ჩურჩულებს?

მზე და ნაძვია,

ეს... ჩემი **სულის წყეული** ორნი (53; 45).

მზე სიცოცხლის საწყისია:

აქ ვარდიც ხარობს,

მზის ბალებში ნუშის თოვლია,

აქ... სიცოცხლეს თავიდან იწყებ! (99; 46).

პოეტი გვაფრთხილებს:

სადაც იყოთო,

სადაც იჯდეთო,

მზისმოკლეობა

არ დაგავინყდეთო! (133; 46).

მზე წყვდიადის დამთრგუნველი და უკე-  
თურებისაგან მხსნელია:

გულს დამფენია

მზეი ცხოველი

უკეთურებით

კვალად ხსნისათვის (303; 71).

მზე ბედნიერების, სიხარულისა და სიცოცხ-  
ლის სიმბოლოა:

ისევ მთვრალია აშულთა მეფე,

მზით, სიხარულით, სიცოცხლით მთვრალი!..

(251; 61).

ამიტომაცაა, რომ მრავლობითში დასმული



მზე (მზეები, მზეთა) სიხარულიანი დღეების სი-  
ნონიმია:

ყმანვილქალობამ წაილო  
მზეები  
ოქრომფინარი (386; 81).  
– ყავ მტილი ჩემი,  
ვარდით სავსე  
და მზეთა დგომად,  
დამძიმებულთა გულთა შვებად  
და მოსაფონად (311; 71).  
ვუმზერ სისხლიან მზეთა ამოსვლას (432;  
93).

ჩვენ სისხლიან მზეთა ამოსვლას (432; 93).  
ჩვენ ცხრათვალა მზეთა და მძვინვარე ზღ-  
ვათა  
ტრფობა გაგვყოლია (146; 53).  
მზესთან წილნაყარი პოეტი სამყაროს იდუმ-  
ალების თანაზიარია:  
მზეი ცხრათვალა ბრიალებს სადაც,  
შენც, შენც იქა ხარ, იდუმალებავე! (466; 95).  
ანა კალანდაძისათვის სამყარო მზისქვეშე-  
თია:

უუძველესი  
მზის ქვეშე ხალხი,  
ვით შეწყვეტს სუნთქვას  
და გულისძგერას?! (395; 84).  
ხოლო სამზეო სააქაოა:  
აჩრდილნი საღამოსა  
სამზეოს მწუხრში ახვევენ (112; 46).  
მზე გაიგივებულია წმინდა ნინოსთან, თამარ  
მეფესთან, დედოფალ ანასთან...  
როდესაც მზეი თბილი სხივით  
მინდვრებს შემოსავს  
და ცვარნაპკურ შეირხევა  
მთაზე მოცხარი,  
ნინოს ნათელი დაადგება  
საქართველოსა,  
ქვაბში ჩურჩულთ გადაინერს  
პირჯვარს მოძღვარი... (60; 45).  
მზე დაჰყვება ყველგან მზისდარ თამარ

მეფეს:  
მზის ღიმილი აღაჩინა ცამან,  
ვარდს აღმოხდა ხმაჲ საოცარი:  
ფეხშიშველი მიდიოდა თამარ...  
დედოფალო, საით მიიჩქარი?  
.....  
მდუმარ იყო, ნაღვლიანიც იყო...  
მზე შეიჭრა ნაძვის სამეფოში...  
.....  
მზე აღმოხდება მის ლამაზ პირსა,  
როს უამბობენ საქმეთა შენთა!  
.....

იცვამს მზექალი მზეასხმულ ქოშებს  
და ანავენავებს ვარძიის ქარი  
საქართველოს უძველეს დროშებს... (70; 46).  
ანა დედოფლის ღიმილი მზესავით ადგას  
ერეკლე მეფის სასახლეს:

მზე ადგას... ბატონის სასახლეს,  
ღიმილი – დედოფალ ანასი (369; 69).  
საერთოდაც, ანა კალანდაძის პოეზიაში მზე  
მხატვრული შედარების საგანია:  
მადლი უფლისა იღვრება,  
ჭრელ მინდვრებს გადაერია...  
გული, გული არ იღლება,  
ისიც მზესავით ძველია! (484; 95).  
მწყობრად მიდიან მხედრები  
სახეგაშლილნი, მზე ვით...  
მზე დროშებს მიესაფარა,  
მზე დროშებს მიესაფარა,  
დროშა ასნიეთ ზევით (80; 46).  
შენ მისმენ ისე,  
ვით მზე უსმენს ოკეანეებს  
და ციმციმებ,  
ბრწყინავ მასავით (144; 51).

სასურველი ვაჟკაცი შედარებულია დილის  
მზის სხივთან, რითაც იქმნება შესანიშნავი მხ-  
ატვრული სახე:  
ვაჟაო, დილის მზის სხივო,  
ხან მთებზე ნისლთა დინებავე!  
შუაფხოდან რო მოდიხარ,  
გული რად გაგეტირება? (158; 55).

ჰიპერბოლური შედარების ნიმუშია აღმატე-  
ბითი ხარისხის ფორმის გამოყენება ქრისტეს  
შესადარებლად მზესთან, სადაც ქრისტე მზეზე  
აღმატებულია:

მზეთ უდიდესო!..  
მადლი მივაგე დიდებულ მზესა,  
რომ დაგნათოდა  
ყორნისფერ თმებზე (132; 46).  
საერთოდაც, „მზე ერთ-ერთი ყველაზე  
უფრო გავრცელებული ქრისტიანული სიმბო-  
ლოა და ქრისტეს განუყრელ ეპითეტად იქცა ქა-  
რთულ პოეზიაში“ (ზოიძე, 2001, 194). როგორც  
ვხედავთ, ამ მხრივ არც ანაა გამონაკლისი:

ბრწყინავდა იგი  
უზადო ბრწყინვით,  
მშვენიერების  
დიდებულ ხატად,  
წამოდგა ჩემს წინ –  
წყვდიადთა გვემად,  
უკუდგა ბნელი,  
მიხილა მზემან!.. (285; 70).

„მიხილა მზემან“ – აქ მზე წარმოგვიდგება  
მშვენიერების დიდებულ ხატად, ღვთის ხატად

და მხატვრულ მზედ“ (ზოიძე, 2011, 197).

პოეტი მზეს მრავალფეროვანი ეპითეტებით ამკობს; მის ლექსებში მზე არის დიდებული, გვირგვინოსანი, მცხუნვარე, ცხოველი, ცეცხლოვანი, ცხრათვალა, სხივდაღვრილი, სხივმიმკრთალი, სხივმიკვდარი:

მზე და მიმწუხრნი ჩრდილებს მიჰფენენ,  
დაულალავად ასე იფრენენ  
და დიდებულსა მზესა აქებენ (27; 45).

თუ არა, – მუდამ დამიბრუნდება  
ჩემივე რწმენა,

მზე დიდებული –  
ვით ლამაზ მინდვრებს... (229; 57).

ჰა, როდესაც მზეს შევხედე გვირგვინოსანს... (58; 45).

მცხუნვარე მზეში თვალშეუდგამ  
კარნაკის სვეტებს  
ჩამოუქროლებს ნეფერტიტი  
სამეფო ეტლით (499; 74).

გულს დამფენია მზეი ცხოველი  
უკეთურებით კვალად ხსნისათვის (303; 71).

მზე ჩადის ოდეს ზღვის მხარეში  
ცეცხლის დასავალს  
და ღრუბელი დაბურავს მათა...  
ცეცხლოვანი მზე!.. (120; 46).

ჩვენ ცხრათვალა, მზეთა და მძვინვარე ზღვათა

ტრფობა გამოგვეყოლია (146; 53).

ცხრათვალა მზე თავს დაადგა მხედარს (72; 46).

მზეი ცხრათვალა ბრიალებს სადაც,  
შენც, შენც იქა ხარ იდუმალეზავ! (466; 95).

სითბო გვზრდიდა, ჩვენ უშრეტი სითბო გვზრდიდა

ცხრათვალა მზის დიდ სამეუფოში (75; 46).

უარგიყვია სხივდაღვრილი

მზე და ბნელ ქვაბში ტირი, ღამურავ! (296; 70).

სხივმიმკრთალი, სხივმიკვდარი მკვდართა მზე ვარ,

ჩემ სხივებში თამამობენ ბელურები (95; 46).

ანა კალანდაძის მზის ამოსვლა არის მზის მოახლება, მზის ამოხდომა:

მე აღარ ველი მას,

როგორც მიწა

მზის მოახლებას

ელის ნიადაგ... (141, 50).

ვებუს მთისაკენ თვალმიპყრობილი

მზის მოახლებას იგი ელოდა (374; 80).

წყნარად და მშვიდად მეუნყება

ზენართა ნება

და მაღალი მზის ამოხდომა

კვლავ მეუნყება... (275; 70).

მზე აღმოხდება მის ლამაზ პირსა (70; 46).

მზის ჩასვლა კი მზის დაცხრომა, მზის მიდრეკაა:

მიმწუხრისას, მზეი როცა დაცხრა

დედოფალი ლოცვად იდგა ტაძრად (68; 46).

შენ მისთვის ბრძანე დაცხრომა მზისა,

მზე დაცხრა შენდა! (70; 46).

სიცრუით მზეს აცხრობთ,

იღწვით ღამისათვის (526; 98).

შრიალებს ღოღოს მინდორი,

მაღონებს მისი შრიალი,

ვით მზის მიდრეკა დასავალს,

ვით სიხარული გვიანი... (165; 67).

პოეტი უაღრესად მოკრძალებულია მზისადმი; ამიტომაცაა, რომ მის პოეზიაში მზე ხან მოფერებისა და ხან მისალმების ობიექტია:

და მზეს ვუმღერებ,

ოკეანით მომავალს მძიმედ... (117, 46).

მზეს უმღერიან ჩიტები (10; 15)

**მიესალმება** მზეს მიმოზიდან (126; 46).

ხანაც თვითონ მზე ეფერება და აბრუებს პოეტს:

**მეფერება** მზე ალერსის მთოვარს (83; 26).

შრიალებს ტყე და **მაბრუებს მზე** და

გუგუნი ჭადრის (49; 45).

მზე პოეტის სულის სალბუნია:

სულს ხშირად ეახლის უკუნი,

მზეც მომეფინება ხშირადვე... (262,65).

ანა კალანდაძის პოეტურ სიტყვიერებაში „უზარმაზარი მზე შრიალებს“ (500;74). მასთან მზე ჩვეულებრივად არც ჩადის და არც ამოდის, არამედ:

**მზე დამძიმდა** და **დაბრძანდა** (220; 84).

**მზე** მთის წვერიდან **ამობრიალდა** (132; 46).

ანა კალანდაძე მზის მეშვეობით ქმნის შესანიშნავ მეტაფორულ სახეებს:

დაობლდა ბალი, მზის ფოთლებით ჩამოთოვლილი (28; 45).

მზის ბალებში ნუშის თოვლია (99; 46).

არ ვარ მბრწყინავი

მის სხივთა ქვეშე

და მზის ყვავილი

დაჭკნება ჩემში (291; 70).

ევფონიის შესანიშნავი ნიმუშია ანასეული მზისმეტყველების ბგერითი შემადგენლობა; ამასთანავე, ევფონიის მისაღწევად პოეტი იყენებს სიტყვანარმოების საშუალებებს და სიტყვათშეხამებას:



მზეი შენით მზეობს,  
 მზედ ენთები, ზეობ,  
 გვირგვინს ირქმევ მზისებრ... (34; 45).  
 მზემ აინია ფეხის ნვერებზე,  
 მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა (9; 45).  
 ზეცისთვის – მოცალეობა, –  
 მხოლოდ ფიქრები საზეო  
 მხოლოდ მზე-მთვარის ზეობა  
 ჩემის მეუფის ცაზეო! (408; 87).  
 ანა კალანდაძისათვის მზე არის მშვიდობისა და ბედნიერების სიმბოლო, ფარი და შუბი ყოველგვარი ბოროტების დათრგუნვისა და ეშმაკეულთა განდევნისა:

ეშმაკეულთა დანონეს პინა,  
 გულშიგან სინჯავ შუბისას ნატეხს...  
 მზეო მაღალო, მშვიდობა გვფინე!

მზეო მაღალო, სიმხნევე გვმატე! (452; 92).  
 ამიტომაცაა რომ ანა კალანდაძის პოეზია არის ჰიმნი მზისადმი. მზე სამშობლოს კეთილდღეობის სიმბოლოა და პოეტიც ვედრებას აღავლენს მზისადმი:

მზე გამარჯვებისა  
 კვლავ ქართლზე გადივლის  
 დიდებით მმოსავი!  
 მადლი ღვთაებრივი  
 კვლავ გადმოგვადინე,  
 ოსანა!  
 ოსანა! (536; 94).

ანა კალანდაძის პოეზია წილნაყარია მზესთან... და დაჰქრის პოეტის მუზა „მზის საუფლოში“: „იქ ახლოს მზესთან, სულ ახლოს მზესთან!“.

### ლიტერატურა

**შ. ზოიძე**, ანა დედოფალი, ბათუმი, 2001.  
**ა. კალანდაძე**, ლექსები, თბ., 2004.  
**გ. კვარაცხელია**, „აჰა, ტაძარი... ცათუმაღლესი“... კრებული: „ანა კალანდაძე“, თბ., 2004.  
**ვ. ნოზაძე**, ვეფხისტყაოსნის მზის მეტყველება, სანტიაგო დე ჩელე, 1957.  
**თ. სახოკია**, ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი, თბ., 1979.  
**გ. შატბერაშვილი**, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. II, თბ., 1972.  
**ი. ჭუმბურიძე**, „ო, მან მომაგო ესე საუნჯე“, „ანა კალანდაძე“, 80 ლექსი, თბ., 2005.  
**ივ. ჯავახიშვილი**, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1979.







## ციცინო მარკოზაშვილი

### ოპერა „დაისი“ თელავში

#### ბათუ კრავეიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისათვის

1966 წლის 2 ივნისს გაზეთი „ალაზნის განთიადი“ იუწყება: „26 მაისს, თელავის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეებმა, ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრში წარმოადგინეს ზ. ფალიაშვილის უკვდავი ოპერა „დაისი“. გაზეთის ერთ მთლიან გვერდზე მოთავსებულ წერილთა სათაურები მიაინიშნებენ იმაზე, რომ თეატრში გამართულ საღამოს, ზეიმის სახე მიუღია. ათვალეიერებ დროისგან გაყვითლებულ გაზეთს, ფოტოსურათებს და მეხსიერებაში თანდათან იკვეთება წარსულის მქრქალი კონტურები. გრძნობ, როგორ გეუფლება კვლავ, ამ ამბის უშუალო მონაწილეს, სიხარულის და სიამაყის ძველი განცდა, თანაც, შენდა გასაოცრად აღმოაჩენ, რომ ამ ღირსსახსოვარი მოვლენიდან ძალზე დიდი დრო, თითქმის 50 წელია გასული!..

იგონებ ყველაფერს, მაგრამ პირველ რიგში, მაღლიერების გრძნობით და მოწინებით იხსენებ შესანიშნავ ხელოვანს, დიდებულ მაესტროს ბათუ კრავეიშვილს, რომლის სახელთანაც დაკავშირებული იყო ეს ზეიმი.

იგონებ ცნობილ ქართველ მომღერალს, რომელსაც სიჭაბუკის წლებიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე საზოგადოების სიყვარული არ მოჰკლებია. თავისი ხავერდოვანი, განსაკუთრებული ტემპრის ხმით, მგზნებარე არტისტული ტემპერამენტით, მოხდენილი სცენური გარეგნობით, ის ერთნაირად ხიბლავდა ყველას – პროფესიონალსაც და მუსიკის მოყვარულსაც. მის სიმღერას აღტაცებით ხვდებოდნენ, როგორც საქართველოში, ასევე იმდროინდელ საბჭოურ სივრცეში და მის ფარგლებს გარეთაც, კინოში მოღვაწეობამ ხომ მილიონობით თაყვანისმცემელი შესძინა. დრომ ვერაფერი დააკლო მის მიერ ეკრანზე განსახიერებულ გმირებს კინოკლასიკად ქცეულ ფილმებში (ლაზარია – „დაკარგული სამოთხე“ და კოტე – „ქეთო და კოტე“).

ბათუ კრავეიშვილი გახლდათ ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი; 1939-1941 წლებში მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, რომელმაც თავისი, არც თუ ისე ხანგრძლივი სიცოცხლე მთლიანად ვოკალური ხელოვნების განვითარებას შეაღწია. ის იყო ღირსეული პარტნიორი საოპერო სცენის დიდოსტატები-

სა. მას მჭიდრო შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ პიროვნებებთან, იმ ადამიანებთან, რომლებმაც თავიანთი ელვარე ნიჭით წარუშლელი კვალი დაამჩნიეს მე-20-ე საუკუნის მუსიკალურ ხელოვნებას. მაგალითისთვის, ამ სახელების ჩამოთვლაც საკმარისია: ევგენი მიქელაძე, ივან კოზლოვსკი, ანტონინა ნეჟდანოვა, ვალერი ბერდიაევი, დოროთი კირსტენი. ბათუ კრავეიშვილს რუსეთის და ევროპის საოპერო თეატრების სცენაზე არაერთი პარტია აქვს ნამღერი, მაგრამ მისთვის, მაინც, მშობლიურ სცენაზე მოღვაწეობა იყო უმთავრესი, აქ შექმნა მან მაღალმხატვრული ოსტატობით განსახიერებული მრავალი ვოკალურ-სცენური სახე, რითაც ცნობილ მომღერალთა გალერეაში საპატიო ადგილი დაიმკვიდრა.

ბათუ კრავეიშვილის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, გამოიცა მისი მემუარული ხასიათის ნიგონი „შეხვედრები წარსულთან“, სადაც საკმაოდ ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი თელავს. მომღერალი დიდი სითბოთი საუბრობს თელავსა და თელაველებზე და მაღალი წარმოდგენისაა ჩვენს ქალაქზე.

მკითხველს, ალბათ, გაუჩნდა კითხვა, თუ როგორ აღმოჩნდა ცნობილი მომღერალი თელაველთა საოპერო სპექტაკლის მონაწილე. იმხანად, თელავის სამუსიკო სასწავლებელი დაარსებიდან მეოთხე წელს ითვლიდა. სასწავლებელი დაკომპლექტებული იყო მეტად ნიჭიერი კადრებით. სასწავლებელს ჰყავდა საკმაოდ მაღალი დონის შერეული გუნდი, ხოლო ვოკალურ განყოფილებაზე პედაგოგ შალვა ტეტუნაშვილის ხელმძღვანელობით სწავლობდნენ შესანიშნავი ხმის მქონე მოსწავლეები – ლიანა კალმახელიძე (ამჟამად ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი), გაიოზ არაბაშვილი (შემდეგში სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ სოლისტი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი), ზუღელიხა შილოვა (შემდეგში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებული) და სხვები.

სასწავლებელში დაიბადა იდეა მოსწავლეთა ძალებით დადგმულიყო ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“. იდეის ავტორი გახლდათ ვოკალური განყოფილების პედაგოგი შალვა ტეტუნაშვილი. მთავარი პარტიის შემსრულებლები უნდა ყოფილიყვნენ: მარო



– ლიანა კალმახელიძე, მალხაზი – გაიოზ არაბაშვილი, ნანო – ზულეიხა შილოვა, ცანგალა – ვალერიან დავიდოვი, ტიტო – ომარ კვინტრადე, არ იყო მხოლოდ ბარიტონი – კიაზოს პარტიის შემსრულებელი. ამის გამო, უკან დახევა არ ივარგებდა და ენთუზიასტმა პედაგოგმა და სასწავლებლის დირექტორმა, კომპოზიტორმა რამაზ ქარუხნიშვილმა მეტად თამამი გადაწყვეტილება მიიღეს. მათ თხოვნით მიმართეს ლვანლმოსილ მომღერალს, ბათუ კრავეიშვილს, – მონაწილეობა მიეღო თელაველთა სპექტაკლში. მან შეთავაზებულ წინადადებაზე თანხმობა განაცხადა და თელავში რეპეტიციების ჩასატარებლად ჩამოვიდა. იყო ერთი სერიოზული ხელისშემშლელი გარემოება – არ იყო სიმფონიური ორკესტრი. გადაწყდა, ოპერა დადგმულიყო არა ორკესტრის, არამედ ფორტეპიანოს თანხლებით. თბილისის საოპერო თეატრიდან მოწვეულ იქნა კონცერტმეისტერი მედეა ჯანდიერი. ოპერას უდირიჟორებდა სასწავლებლის პედაგოგი, დირიჟორი ვაჟა კარდენახიშვილი.

რეპეტიციები მიმდინარეობდა სრული დატვირთვით. არაჩვეულებრივი იყო ბათუ კრავეიშვილის დამოკიდებულება ახალგაზრდებთან. შემოქმედებითი იმპულსი, რომელიც იგრძნობოდა რეპეტიციების დროს, ხელს უწყობდა მოსწავლეთა მეგობრულ კოლექტივად გაერთიანებას. იგი თავისი მრავალწლიანი სცენური და პედაგოგიური გამოცდილების გაზიარებით, შემსრულებლებს უადვილებდა უფრო ღრმად ჩასწვდომოდნენ კომპოზიტორის ჩანაფიქრს, იმ მნიშვნელოვანი კომპონენტების გათვალისწინებით, როგორცაა მუსიკალური მასალის ერთ მთლიანობაში გააზრება, გმირთა ფსიქოლოგიური ასპექტის გამოვლენა, რის გარეშეც შეუძლებელია რაიმე დამაჯერებელი სცენური სახის შექმნა. ცდილობდა სცენის უჩვევ ახალგაზრდებს დაეძლიათ შებოჭილობა, ბარიერი, რომელიც სცენაზე მოქმედებდა ახლავს თან. ეს იყო ნამდვილი სკოლა. დიას, ბათუ კრავეიშვილის გულმოდგინებამ და არტისტული გზებით წარმართულმა რეპეტიციებმა ხორცი შეასხეს ამაგდარი პედაგოგის, შალვა ტეტუნაშვილის ნალოლიავებ იდეას – ჩანაფიქრი რეალობად იქცა!..

1966 წლის 26 მაისს, თელავის დრამატული თეატრის სცენაზე აჟღერდა ფალიაშვილის უკვდავი ოპერა „დაისი“ და იმ დაუფინყარ საღამოს, როგორც მხედართმთავარი საომარ ლაშქარს, ბათუ კრავეიშვილი ისე გამოუძღვა სცენაზე ახალბედებს გამარჯვების მოსაპოვებლად, გამარჯვებამაც არ დააყოვნა... მოსწავლეთა მონდომებამ, ფალიაშვილის გენიალურმა მუსიკამ და სახელგანთქმული მომღერლის ხილვამ გამოაგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე. იმდროინდელი თელავის საზოგადოებამ ეს ფაქტი აღიქვა, როგორც უდიდესი მოვლენა ქალაქის ისტორიაში.

– „თელავი ყოველთვის მალეღვებდა მდიდარი ტრადიციით, სახელოვანი ანწყოთი და უფრო ბრწყინვალე მომავლით. თელაველებთან სულ რამდენიმე შეხვედრა მქონდა. შეხვედრა ისეთი, რომ ყოველთვის სურვილი მაქვს მათი განმეორების... მაგრამ ჩემი ახლანდელი ჩამოსვლის მიზეზი სულ სხვა იყო, გულახდილად გეტყვით, თელავის მუსიკალური სასწავლებლის კოლექტივის, მუსყაითი მოსწავლეების გაცნობამ დიდად მასიამოვნა. ახლა, როცა თქვენ თვითონ ნახეთ და მოისმინეთ მათი შესრულებით „დაისი“, თამამად ვაცხადებ, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი განვრთ-



ბათუ კრავეიშვილი

ნა, ეს იყო ჩამოყალიბებული ხელოვნება“ (ბათუ კრავეიშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, გაზ „ალაზნის განთიადი“. 1966 წ. 2 ივნისი #64).

ეს, მართლაც ასე იყო. თვალწინ გიდგას თელავის ძველი თეატრის დარბაზი, აღტაცებული მსმენელი, შორეულად ყურში ჩაგესმის შემსრულებელთა თანწყობილი სიმღერა და რწმუნდები, რომ დღევანდელისაგან განსხვავებით, თელავის სამუსიკო სასწავლებლისთვის ის წლები იყო, თამამად ვიტყვით – „ოქროს ხანა“, რომ თელავის სასწავლებელი იყო ერთ-ერთი შენაკადი იმ მძლავრი დინებისა, რასაც ქართული სამუსიკო ხელოვნება ჰქვია.

ზემოთ მოყვანილი ფაქტი კი ბათუ კრავეიშვილის განსაკუთრებულ ადამიანურ ღირსებას უსვამს ხაზს და უეჭველი დადასტურებაა იმისა, რომ ჭეშმარიტი არტისტისთვის არ არსებობს ხალხმრავალი თუ მცირერიცხოვანი აუდიტორია, რომ ნამდვილი ხელოვანისთვის უცხოა მარტოოდენ სურვილი ცნობილ დარბაზებში გამოსვლისა, ამით თავმონონებისა, რომ შემოქმედისთვის არსებობს, მხოლოდ, ქმნადობის პროცესი – განცდა მარადიულ ღირებულებებთან ზიარებისა. ასეთ ხელოვანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ბათუ კრავეიშვილი, ჭეშმარიტი არტისტი, დახვეწილი შინაგანი ბუნების მქონე კოლორიტული პიროვნება, რომლის ნათელი ხსოვნა ასე შეუცვლელია თელაველთა მეხსიერებაში და ასე დარჩება ის მომავალი თაობის შეგნებაში.





ელისო ჭიჭიაშვილი

58



### პოეტური კოსმოზონია

ფრანგი მწერალი პოლ ვალერი გოეთეს შესახებ ამბობს: „ერთი მისი საყვარელი მცენარისა არ იყოს, თავს იგი ყოველთვის სინათლისა და სითბოსკენ იბრუნებს“. ვაჟასაც მინდვრის ყვავილთა შორის ყველაზე უფრო პირიმზე უყვარდა. „თვალეები მას ყოველთვის მზისკენ აქვს მიპყრობილი“. იგი „მზის მოტრფიალეა“.

გოეთე და ვაჟა მართლაც სინათლისა და სითბოს პოეტები არიან. ისინი ადამიანურის ასპექტში განიხილავენ სამყაროსა და ბუნების მრავალფეროვნებას. მის სილამაზეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ვაჟას შეხედულებები ბუნებაზე გოეთეს ბუნებისმეცნიერებიდან გამომდინარეობდეს. ვაჟას შემოქმედება უფრო ზღვასა ჰგავს, ვიდრე მდინარეს. მას შეიძლება შენაკადები ჰქონდეს, მაგრამ არა სათავე. იგი ისე დიდი და ორიგინალური პოეტური ქმნილებაა, რომ მართლაც შეეძლო ეთქვა „მე ვტრიალებ ჩემი ღერძის ირგვლივ“.

ვაჟა ბევრ რამეში ეთანხმებოდა გოეთეს, ალტაცებულად იყო მისი გრანდიოზული შემოქმედებით და ბუნების ვიტალური კონცეფციით, მაგრამ საკუთარი თვალსაზრისი მაინც დამოუკიდებლად ჩამოაყალიბა: ამიტომაც, რომ ის თავის თავს ხედავს გოეთეს სარკეში და არა პირიქით. ვაჟა უმთავრესად ემოციურად განიცდის ბუნებას, გოეთეში კი მეცნიერული ინტერესი ჭარბობს. ორივენი სხვადასხვა ასპექტით, მაგრამ მაინც ბუნების ობიექტურ კანონებს სწავლობენ. მხოლოდ ბუნების მთლიანობის შეცნობის პროცესში ყალიბდება ფაუსტის დამოკიდებულება სამყაროსთან.

ხალხურ თქმულებაში ბუნების ცნება კოსმიურის ცნებას უკავშირდება. გარეშე სამყაროს საიდუმლოებათა ახსნის სურვილი უფრო მეტად ბუნების გარეგნულ მოვლენებს ეხება ვიდრე მის არსს, ქარის, სეტყვის, წვიმისა და სხვა უბრალო მოვლენების ახსნას, ან სამოთხისა და ჯოჯოხეთის საიდუმლოებათა გაგებას, რასაც ბუნებასთან კავშირი არც აქვს. შემდეგ საკითხი რთულდება და ისახება ბუნების მოვლენების კანონზომიერებათა შესწავლის ამოცანა. ჩნდება მისწრაფება სამყაროს, როგორც მთლიანობის კომპლექტური შეცნობისადმი. ჭეშმარიტების ძიების სფერო ღრმავდება და მოვლენებიდან არსისაკენ მიდის. მთელი სამყარო წარმოიდგინება როგორც ერთიანობა და მოძრაობა. ფაუსტური ძიება პირველ საწყისის პრობლემებსაც აყენებს და მაშინვე აწყდება წინააღმდეგობას მატერიალური გონების მისწრაფებასა და შესაძლებლობას შორის. ადამიანი ველარ სწვდება ბუნების მთლიანობას. მართალია, ფაუსტის წინაშე მთელი მაკროკოსმოსია გაშლილი, მაგრამ მას არ შეუძლია ჩასწვდეს მთლიანს. ამიტომ მიმართავს იგი დემონურს და ცდილობს „ბუნების სტიქიაში შეჭრას“. ამგვარი ძიება სრულყოფილ სახეს პირველად გოეთესთან იღებს. ბუნება აქ გაგებულია, როგორც კანონზომიერება. მასში მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო საკითხებთან ერთად დანახულია ეთიკური და ესთეტიკური ფენომენებიც. სილამაზისა და სიკეთის პარალელურად გოეთეს ყურადღებას იპყრობს ბუნების შინაგანი ცხოველმყოფელი ძალა, რაც გარ-





დასახვის გზით მოვლენების მრავალფეროვნებაში ვლინდება. იგი, როგორც ბუნებისმეტყველი, იკვლევს ცვალებადობის ფორმებს, მცენარეთა და ცხოველთა მეტამორფოზის კანონებს, სახეთა შექმნას, არსებობის მარადიული განახლების მიზეზებსა და პრინციპებს. ამასთანავე ბუნების გრძნობა გოეთესთან ესთეტიკურ მოვლენად იქცევა. მზის ამოსვლის დიდებული სურათი ხალისით ავსებს ფაუსტის სულს. ვერთერი დნება ბუნების სიმშვიდეში. იგი გრძნობს „მდუმარე კავშირს უსაზღვრო და უხმოდ მეტყველ ბუნებასთან“. ადამიანები და ბუნების მოვლენები ერთ კონტრაპუნქტულ ჰარმონიას ქმნიან. სუბიექტი და ობიექტი პოლარულ წინააღმდეგობას კი არ წარმოადგენენ, არამედ განმარტავენ და ავსებენ ერთმანეთს. გოეთე წერს: „ყველაფერი, რაც არის სუბიექტში, არის ობიექტშიც და კიდეც რაღაც. ყველაფერი რაც არის ობიექტში, არის სუბიექტშიც და კიდეც რაღაც“. ეს „კიდეც რაღაც“ იზიდავს პოეტურ შთაგონებას. შემოქმედის მახვილი თვალი მოვლენებში ყოველთვის მეტს ხედავს, ვიდრე მათში ჩანს. ეს „მეტი“ მშვენიერების სფეროს მიეკუთვნება, რადგან გოეთეს აზრით, მშვენიერება ბუნების იდუმალ ძალთა მანიფესტაციაა, მშვენიერი ადამიანი – მისი უმაღლესი შედეგი. გარდა ამისა, „ბუნებას საკუთარი, ყოვლისმომცველი აზრი აქვს, თუმცა მას ვერაზინ ამჩნევს, ფაუსტური სული მიილტვის, რათა განჭვრიტოს ბუნების ეს საკუთარი აზრი“.

პოეტური ხელოვნება თითქმის არ არსებულა ბუნების სილამაზის ემოციური აღქმის გარეშე, თუმცა გამონაკლისებსაც ვხვდებით (ჰორაციუსი, ლესინგი). ორფეოსის მითიური ჩანგის ჟღერა უსულო საგნებსაც აცოცხლებდა. ავთანდილის ჯადოსნურ სიმღერაზე ქვებიც კი იწყებენ ხტომას. სილამაზე იწვევდა მძლავრ პოეტურ აღმაფრენას, ხოლო პოეზია ხშირად ადამიანურის ასპექტში გამოხატავდა მას. გოეთეს მიხედვით, ჩვენ არაფერი ვიცით სამყაროს შესახებ ადამიანთან დამოკიდებულების გარეშე. არც ბუნების გრძნობაზე შეიძლება ლაპარაკი ამის გაუთვალისწინებლად. ყოველ შემთხვევაში

ადამიანი ბუნებაში სუნთქავს, ბუნება კი ადამიანში. „განა ბუნების გული ადამიანის მკერდში არა სცემს? – კითხულობს გოეთე. ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიულობის ასეთი გრძნობა პოეზიის სათავეებიდან მოდის. „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაა ჩემი“, – ამბობდნენ ჩვენი ხალხის უძველესი წინაპრები. პოეტური აზროვნების დიდ შარაგზას დღემდე მოსდევს ბუნებისა და ადამიანის ასეთი ჰარმონიის გრძნობა.

ამ გრძნობის უმაღლეს პოეტურ გამოვლენას წარმოადგენენ გოეთე და ვაჟა, რომელნიც ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის ღრმა ფილოსოფიურ გაგებას იძლევიან და პოეტური კოსმოგონიის რთულსა ლოგიკურ სისტემას ქმნიან. მათი ბუნებასთან დამოკიდებულება მსოფლმხედველობრივი ხასიათისაა. ისინი არა მარტო სწავლობენ ბუნებას, არამედ განმარტავენ კიდეც. ამ მხრივ საინტერესო გოეთესა და ვაჟას ურთიერთობის განხილვა.

გოეთეს შრომები მორფოლოგიის, მცენარეთა მეტამორფოზისა და ფერების შესახებ, აგრეთვე ანატომიისა და ფიზიოლოგიის საკითხებზე დიდ მეცნიერულ ღირებულებას წარმოადგენენ. ყველაფერი გონივრული, რაც ბუნების შესახებ მანამ იყო თქმული, გოეთეს ფილოსოფიაში იყრის თავს. იგი ყოველმხრივ ასახავს ყოფიერების მრავალფეროვნებას. ჯერ კიდეც მისი თანამედროვენი ამბობდნენ: „ბუნებამ მოისურვა ენახა, როგორი სახე ჰქონდა და გოეთე შექმნა“. თვითონ გოეთეც ამბობს, ბუნებამ ჩემში თავისი თავი გამოსთქვაო. გოეთეს სარკეში მართლაც სრულყოფილად გამოჩნდა ბუნების უსაზღვრო სიდიადე. ადრინდელი მწერლები, მათ შორის ჟან-ჟაკ რუსოც უფრო ემოციურის თვალსაზრისით უყურებდნენ ბუნებას. გოეთეს ლინკეოსისებური თვალი კი მის კომპლექსურ რაობას სწვდება. მეცნიერული, ეთიკური და ესთეტიკური თვალსაზრისის ერთიანობა ქმნის მისი საბუნებისმეტყველო კონცეფციის მყარ საფუძველს.

გოეთეს აზრით, ბუნება ყველგანაა და „ყველაფერი მასშია განუწყვეტლივ“. იგი მთლიანია ერთ საერთო კანონზომიერებას დამორ-







ჩილებული. გოეთე წერს, რომ, „ბუნება რა მრავალფეროვანიც არ უნდა იყოს, მაინც ყოველთვის ერთიანია“. იგი იზიარებს სპინოზას აზრს კოსმიური მთლიანობის შესახებ და აღიარებს ბუნების კანონების უსაზღვროებასა და გარდუვალობას. გოეთეს აზრით, ბუნება განუწყვეტელი პროცესია. „იგი მთლიანია და მუდამ დაუმთავრებელი“. მას უყვარს მოძრაობა, იგი ხან შეჩერდება რომ დაენიონ, ხანაც აჩქარდება, რომ „თავი არავის მოაწყინოს“ და ცდილობს სულ ახალ-ახალ ფორმებში მოგვევლინოს. ბუნება არ წარმოადგინებთ სიცოცხლის გარეშე. „სიცოცხლეა მისი საუკეთესო გამოგონება, – წერს გოეთე, – თვით სიკვდილიც კი მისთვის ხერხია, რომელსაც იმისთვის იყენებს, რომ ამრავლოს სიცოცხლე“. ბუნება მფარველობს ყოველივე დიადს. იგი მკაცრიცაა და კეთილიც. მისი გვირგვინია სიყვარული. სიყვარულითვე შეიძლება მასთან მიახლოება, მხოლოდ სიკეთესა და სიყვარულს გადაუშლის იგი გულს. ვინც მას მიენდობა – „გულში იკრავს, როგორც ღვიძლ შვილს“. „ბუნება ხარობს ოცნებით, მაგრამ ვინც ამ ოცნებას თავისში ან სხვაში ამსხვრევს, სჯის მას“. იგი გვესაუბრება ყველას, მაგრამ მაინც არ გვიხსნის თავის საიდუმლოებას. ფაუსტი კი სწორედ ამ საიდუმლოებისკენ ისწრაფვის: მას სურს ყველაფერი გაიგოს, რაც ბუნებაშია, „ჩასაიდუმლოებული“. ამის მიღწევა კი იმით შეიძლება, თუ ვიცხოვრებთ „თანახმად ბუნებისა“.

ამაშია პრობლემის არსი. მთავარია ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის დადგენა. გოეთე ამ საკითხს გამოხატავს მოკლე სენტენციაში „ყველა ადამიანი ბუნებაშია და ბუნებაც ყველა ადამიანში“. იგი ბუნებაში ადამიანურს ხედავს, ხოლო ადამიანში ბუნებრივს. მისი უმაღლესი იდეალია „ცხოვრება თანახმად ბუნებისა“. ამ იდეალის მატარებელი ადამიანია, როგორც ცხოვრების უმაღლესი ფორმა და თუ ცხოვრება არსია ბუნებისა, ადამიანი მისი მწვერვალია. გოეთე წერს, რომ ბუნების გვირგვინს მშვენიერი ადამიანი წარმოადგენს. ამიტომაც „ცხოვრება თანახმად ბუნებისა“ ადამიანის იდეალურ მდგომარეობას გამოხატავს და არა იძულებას. აქედან გამომდინარეობს გოეთეს თეორია ადა-

მიანისა და ბუნების ჰარმონიული ერთიანობის შესახებ.

ვაჟა იზიარებს ამ თეორიას. მისი ფოიერბახული ჰუმანიზმი აღწევდა კოსმიურ საზღვრებამდე. ამიტომ იყო ვაჟა ასე ძლიერ დაინტერესებული გოეთეს ბუნებისმეტყველებით, მისი „მცენარეთა მეტამორფოზით“ და „ფაუსტით“. ბუნების ამ ორი დიდი მესაიდუმლის ნააზრევში ბევრი რამაა საერთო, მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაცაა. მართალია, თვითონ ვაჟას უთქვამს, ჩემი თავი ვნახე გოეთეს სარკეშიო, მაგრამ თუ საკითხს სამყაროს პოეტური ასახვის თვალსაზრისით შევხედავთ, ვაჟას გრანდიოზული შემოქმედება ვერ ჩაეტევა ამ სარკეში. ასეთი მასშტაბების დადგენა ძნელია, მათი შედარება უხერხულიც, მაგრამ ვაჟას პოეტური დამოკიდებულება ბუნებასთან უფრო თანმიმდევრულია, ვიდრე გოეთესი. გოეთეს ბრწყინვალე საბუნებისმეტყველო თხზულებები უფრო მეცნიერულ ინტერესს იწვევენ, ვიდრე პოეტურს. ჩვენ კი უწინარეს ყოვლისა, გოეთეს და ვაჟას სწორედ პოეტური ასპექტი გვინტერესებს და არა მეცნიერული. ვაჟა ბოლომდე მიჰყვება ბუნების ფილოსოფიური, ესთეტიკური და ეთიკური მხარეების პოეტური აღქმის გზას. იგი სამყაროს მთლიანობის პოეტურ სურათს ქმნის და ერთ განუყოფელ კომპლექსად წარმოგვიდგენს მის მრავალფეროვნებას. ამ მხრივ იგი უბადლოა მსოფლიო ლიტერატურაში. მისი შემოქმედების სიძლიერე იმაშია, რომ ის თავის დამოკიდებულებას ბუნებასთან მაღალმხატვრულ პოეტურ ფორმებში ავლენს და სხვა დიდი მწერლების გამოცდილების გათვალისწინებით ახალსა და უფრო სრულყოფილ კონცეფციას ქმნის.

ვაჟამ შეისწავლა ჰერაკლიტე, სოკრატე, პლატონი, ეპიკურე. გადაიკითხა ბეკონი, კანტი, სპენსერი, გოეთე და ბოლოს მიუბრუნდა ჰომეროსს, ვირგილიუსს, დანტეს, მილტონს, შექსპირს, ბაირონს. ბიუნხერის მატერიალიზმში იგი ეძებდა პასუხს ნივთისა და სულის რაობაზე.

ვაჟა არ იზიარებს ჟან-ჟაკ რუსოს შეხედულებას, თითქოს კულტურამ ადამიანი ჩამოაშორა ბუნებას და გააუბედურა. იგი კრიტიკუ-



ლადაა განწყობილი ვერთერისადმი, რომელიც საზოგადოებიდან ბუნებაში გაქცევამ „უაღრეს პესიმიზმამდე, ბოლოს თვითმკვლელობამდე მიიყვანა“. ვაჟა უმწოდ მიიჩნევს შატობრიანის რენესაც, რადგან ის ბუნებაში მხოლოდ თავდა-ვინყებას ეძებს. ასევე კრიტიკულად ითვისებს ვაჟა გოეთეს თვალსაზრისს ბუნებაზე. თითოეული პოეტი საკუთარი თვალთახედვის ასპექტში ხედავს სამყაროს ხილულ მშვენიერებას. ზოგი გაცელებულია სახეობათა სიდიადით და ამის გამო გამოთქვამს თავის აღტაცებას, ზოგიც ბუნების „გონივრულ კანონებს“ სწავლობს და მათ გამოხატავს. ერთნი ჭვრეტის სიხარულით ტკბებიან, მეორენი კანონზომიერებათა ძიებით. უსულო საგანთა ვიტალური ხედვა დღემდე შემორჩა პოეზიას. ახლა, ცხადია, სერიოზულად არავინ ფიქრობს, თითქოს რომელიმე პოეტს სჯეროდეს, ხეს, წყაროს, მთას, მდინარეს აზრი და გონება ჰქონდეს, მაგრამ ვერც იმას უარყოფს ვინმე, რომ ამ პირობითობას დღემდე იცავს ყველა ქვეყნისა და ხალხის პოეტური პარნასი. პოეზიაში ბუნება დღესაც ცოცხლობს, ფიქრობს, აზროვნებს. ის ხან სევდიანია, ხანაც მხიარული. ფრინველები და მცენარეები მეტყველებენ, წყაროები ჩურჩულებენ, მთები ოცნებობენ. ყველაფერი ხარობს მზით, სიცოცხლით, არსებობით, თუმცა არც ერთ მწერალს არ სწამს, რომ ეს ნამდვილად ასეა.

გოეთესა და ვაჟას ბუნებასთან დამოკიდებულების საკითხი მართლაც რთულია, მაგრამ ამ რთულ კითხვებზე პასუხს თვითონ გოეთე და ვაჟა ფშაველა იძლევიან. გოეთე წერს, რომ „ბუნებას არა აქვს მეტყველება და ენა, მაგრამ იგი ქმნის ათას ენასა და გულს, რომლითაც ის ლაპარაკობს და გრძნობს“. ვაჟაც იმასვე ამბობს: „ვხედავთ კარგად, ბუნებას რომ თვალეები არა აქვს, არც თავი აზია და ტვინი სად ექნება? მაგრამ მისი წესი და რიგი, მისი სიმტკიცე აზრისა და მისწრაფება ჩვენ გვაოცებს და გვაკვირვებს“.

გოეთე ბუნებაში დიად აზრებს და იდეას ხედავს. ის ყურს უგდებს მის შინაგან ხმას და მის „საიდუმლო მეტყველებას“. იგი ბუნების იდეაში მისი შინაგანი ძალის, მისი კანონზომიერების

გონივრულობას გულისხმობს.

თუ გოეთეს ბუნების ფილოსოფიაში არის ზოგიერთი დაუზუსტებელი ადგილი, ვაჟა თავისი ნათელი განმარტებებით აღნიშნავს, რომ ბუნების მოქმედება, მისი „წესი და რიგი“ გონივრული და არა ბუნება, როგორც მატერიული რეალობა. სწორედ ამას გულისხმობს ის, როცა წერს: „ბუნება გონივრულია“ მას თავისი „ზნე“ აქვს, ის „ერთი ფიქრითა და გრძნობითაა შეპყრობილი“, და არა იმას, თითქოს უსულო საგნების გონიერება ან სულიერობა სჯეროდეს, პირიქით ვაჟა ამბობს:

უსულო საგნებს სული ჩავბერე  
ავასაუბრე ლოდები კლდისა-ო.

ასაუბრების ხერხს თუ არ მიმართა, მწერალი ვერც გამოხატავს ბუნების ფსიქოლოგიას, მის იდუმალ მეტყველებას. ამას შეიძლება ლიტერატურული ხერხი ეწოდოს გოეთესა და ვაჟას შემოქმედებაში, რაც ნიშნავს თვითონ ბუნების, როგორც ჩვენი ცნობიერების გარეშე არსებული ობიექტური რეალობის, ადამიანურ ასპექტში დანახვას.

ბუნების ასეთი ვიტალური აღქმის შემთხვევა ბევრია. მწერლები საგნებსა მოვლენებს ხშირად აღიქვამენ ადამიანურის ასპექტში. გ. ტაბიძის აყვავებული ატმის ხე ოცნებას ჰგავს. ჩოხიან მუხას საქილემი რკოები აქვს ჩანყოფილი და „მეფური დუმლით“ დაჰყურებს მიწას. მას ესმის ხეთა შრიალის ენა, ვერხვების ფოთლების კვნესა, მათი იდუმალი ცახცახი და სხვა. რ.მ. რილკე რელიგიური განწყობილების პოეტია და ამიტომაც ხის ტოტები მას სალოცავად ზეცისკენ აპყრობილ ხელებად აქვს წარმოდგენილი. სევდისა და სასონარკვეთის პოეტის ჟ. ლაფორგის ძეწნას თმები მგლოვიარე ქალივით აქვს გაშლილი და კაცობრიობის ცრემლებად დაღვრილ იმედს დასტირის, რ. ოლდინქონის ხე იკაროსივით მზისკენ გაფრენას ცდილობს, მაგრამ ფესვებით მიწაზეა მიკრული, ა. კალანდაძის ჩინარი მზისკენ გაფრენას ლამობს. გ. ლეონიძის ოლე განმარტოების სიმბოლოა.

ასეთი მაგალითები ბევრია მსოფლიო ლიტერატურაში, მაგრამ ვაჟა მაინც თავისეული მოვლენაა, რომელიც ისე წერს ბუნების





ფსიქოლოგიის შესახებ, თითქოს ცოცხალ ადამიანებთან ჰქონდეს საქმე: მის წარმოდგენაში ბუნების ელემენტები ფიქრობენ, აზროვნებენ, სწუხან, ან, როგორც ნ. ბარათაშვილი წერს, „სხვა ენებზე უცხოველესი ენით საუბრობენ“. რამდენი რამ არის ბუნების მოვლენებში ისეთი, რაც სწორედ ადამიანური თვალსაზრისითაა გასაგები? დაობლებული ნუკრის მწუხარებაში რა არის ისეთი, რაც თუნდაც ადამიანურ მწუხარებას არ ჰგავდეს. განა საინტერესო არ არის, ტოლდაკარგული გედი ჯავრისაგან რომ კვდება? ან მისი სიმღერა სიკვდილის წინ იმასვე არ გვანიშნებს, რასაც ხალხური „ლექსო ამოგთქომ, ამოგთქომ თორო იქნება ვკვდებოდეო?“ ბარად ჩამოვარდნილი „მთასა მყვირალიც“ ხომ იმავე კომპლექსის მოვლენაა, რაც სიყვარულით გაშმაგებული ტარიელის ველად გაჭრა. რამდენი რამაა, – და სწორედ ადამიანურის თვალსაზრისით, – საინტერესო ჭიანჭველების ფუსფუსში, ფუტკრების გამრჯობაში. ვინ იცის, რისთვის ირთვებიან ასე კობტად მინდვრის ყვავილები, ან მტრედები რას შელულუნებენ ერთმანეთს? მეცნიერება ხომ ფიქრობს იმაზე, ფუტკარი იმიტომ მიფრინავს ყვავილთან, რომ ის საამო სურნელებას აფქვევს, თუ ყვავილი აფრქვევს საამო სურნელებას, რომ ფუტკარი მიფრინდეს მასთან? რამდენი ამგვარი უცნაური, მაგრამ ადამიანურად საინტერესო ამბებია ცნობილი. „ნუთუ ია, ბუჩქებით და ეკლებით დაჩრდილული, არ მოგვაგონებს დაჩაგრულ სიმართლეს?“ – კითხულობს თვითონ ვაჟა. ასეთ ფაქტებზე დაუსრულებლივ შეიძლება წერა, ჩვენ მათ ვეცნობით, მაგრამ ყოველთვის ღრმად როდი ვუკვირდებით. ვაჟა კი მთელი არსებით შედის ბუნების ამ საოცრებათა სფეროში. ეს მისი სტიქიაა, მისი ემოციური სამყარო და პოეტური შთაგონების წყარო. მას უნდა გაიგოს, რა არის ბუნებაში „ჩასაიდუმლოებული“, მოუსმინოს ბუნების იდუმალ მეტყველებას. გოეთე რომ ამბობდა, ბუნება თავის საიდუმლოებას მხოლოდ მშვენიერების სახით გვიხსნის, ვაჟა ამას პლასტიკური სიცხადით ხატავს. მისი მთები თავიანთ იდუმალ მშვენიერებას – ფერად-ფერად ყვავილებში ამჟღავნებენ, ცივ წყაროებში, ბალახებში,



ირმების სილალეში, ნისლის მსუბუქ დინებაში და სხვა. ბუნებას თავისი ფორმა აქვს ფიქრისა და ოცნების. იგი ნისლით ფიქრობს, ყვავილებით ოცნებობს, წყაროებად ღვრის ცრემლებს და ხარ-ირმებით ლალობს. ესაა ვაჟასთვის ბუნების ენა, მისი მეტყველება, აზროვნება და იმედი. ეს ბუნების უშუალო, ადამიანური განცდაა, ისეთივე უშუალო და გულწრფელი, როგორც ის ფაქტი, სიკვდილის წინ ვაჟამ კლდიდან ნაჟონი წყალი რომ მოითხოვა – მთას მაგრძობინებსო, ან მოწყალების დას რომ უთხრა: „თუ ღმერთი გნამს, ლოგინი იატაკზე გაშალე და გარშემო ყვავილები დაყარე, იქნებ მაშინ მაინც წარმოვიდგინო ჩემი ძვირფასი მთა“.

ბუნებისა და ადამიანის ფსიქოლოგიური ერთიანობის ასეთი შეგრძნების შედეგია მსოფლიო ლიტერატურაში უბადლო ვაჟასეული გრანდიოზული პოეტური სახეები. მას ადამიანებში ის უყვარს „ვინც აზრით მალლობს“. და თუ გულს ჯავრი შემოეყარა, წუხს, მთებიც დადარდიანდნენო; თუმცა მან იცის, რომ სევდას ხალისი მოსდევს, „დარდი სიმღერაში დნება“, მწუხარების შემდეგ ვაჟას პირს „კვლავ ვარდი მოეფინება“ და მთებსაც გადასძახებს: „რატომ არ მღერით მთებო?!“.

ასე ცოცხლად წარმოუდგება ვაჟას ბუნების სურათები და საერთოდ მთელი ქვეყანა. იგი ადამიანურ სახეებში ავლენს ყველაფერს – ცას, დედამიწას, გაზაფხულს, სიყვარულს. მისთვის ლალი ზაფხულის ბუნება თამარ მეფის სახეა, ველზე რომ „ყოილნი“ ჰყვავიან – თამარისვე თვალები.

ადამიანისა და ბუნების მოვლენები ერთი მიზნისკენ უნდა იყვნენ მიმართულნი. მხოლოდ მათი ერთიანობა გამოხატავს გაზაფხულს ადამიანისა და ერის სულისას. ვაჟას სწამს „ცხოვრება, როგორც მთლიანობა“. მისი ბუნების ფილოსოფია მოიცავს ყველაფერს, „ყოველ მოვლენას, ყოველ ძალას ბუნებისა, ცალ-ცალკე და ერთად აღებულს“. ბუნება და ადამიანი ვაჟას მსოფლმხედველობაში ერთიანდება სიცოცხლის განგრძობისა და სრულყოფის უმაღლეს იდეალში. როგორც გოეთესთან, ისე აქაც, ადამიანისა და ბუნების ჰარმონია მთლიანობის სფეროს

ეკუთვნის. სამყარო, როგორც მთლიანობა, მხოლოდ ადამიანურის ასპექტში წარმოიდგინება. გოეთე ბუნების უმაღლეს ქმნილებას, როგორც „ფაუსტში“ წერს, – ღირსეულ ადამიანში ხედავს. ვაჟა ბუნების უმაღლეს ქმნილებად დიდებულ ადამიანს მიიჩნევს. ადამიანიც ბუნებას ჰგავს, მაგრამ მხოლოდ დიდებული ადამიანი. „ყველა დიდებული ადამიანი თვით ამ ბუნებას ჰგავს თავის ღირსებით და ნაკლით“. ადამიანს თავისი ღირსებაც აქვს და ნაკლიც. ასეა ბუნებაც, იგი სიკეთის მქნელიცაა და ბოროტისაც, თეთრისაც და შავისაც. ერთს ახარებს, მეორეს აუბედურებს, მაგრამ მაინც ლამაზია და სიტურფით ჰყვავის. მისი არსი სიკეთეა. ვაჟას სწამს სიკეთის უპირატესი ძალა და ამიტომაც ამბობს: „ვინც არ იწამებს კეთილსა, იქცევს მინად და წყლად“.

„ყველაზე ჭეშმარიტი გრძნობა ბუნებისა არის სიყვარული“ – წერდა გოეთე. ვაჟას ბუნებაც ადამიანისადმი სიყვარულითა და სიკეთის გრძნობით სუნთქავს. კეთილისა და ბოროტის შეფარდება ვაჟას კონცეფციაში ყოველთვის სიკეთის უპირატესობას გულისხმობს. იგი მონაა ბუნების და მოხიბლულია სამყაროს გრანდიოზული მშვენიერებით. ვაჟას აზრით, რაც არ

უნდა მაღალ საფეხურს მიაღწიოს კაცობრიობამ, „მასში მაინც უნდა სჩანდეს ისევ ბუნება“. ვაჟა მხოლოდ ხილულ სინამდვილეს ცნობს და მასში ჩასაიდუმლებული აზრის გაგებას ცდილობს. მთელი კოსმიური სამყარო მისი ადამიანური თვალთახედვის წინაშეა გაშლილი. იგი ამ სამყაროს ონტოლოგიურ ცენტრს ეძებს და მის ირგვლივ ალაგებს ბუნებისა და საზოგადოების ყოველგვარ მოვლენას.

ვაჟა ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიულ ერთიანობაში უყრის თავს დეზინტეგრირებულ ელემენტებს და ყოველივე ამას მზის ერთ ფოკუსში აქცევს.

გოეთეს შემდეგ ჭეშმარიტების, მშვენიერების, სოციალური ჰარმონიის, სიყვარულის, სიკეთის, ბედნიერების და თავისუფლების იდეები თანდათან გაქრა დეკადანსის მწერლობაში. ვაჟამ სამყაროს მთლიანობისა და ყოვლადობის ფარგლებში მოახდინა ამ იდეების რეინტეგრაცია და ლოგიკური სიმტკიცით დაუპირისპირა აბსოლუტური უარყოფისა და დეკადანსის ფილოსოფიას.





## სტუდია „იაკამის“ მორიგი წარმატება

სტუდია „იაკამის“ ახალმა მოკლემეტრაჟიანმა მხატვრულმა ფილმმა „ჩარჩო“ გაიმარჯვა მართლმადიდებლური ფილმების IX საერთაშორისო ფესტივალზე „წმინდა ანდრეას ჯვარი“.

საერთაშორისო ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ცნობილი კინოოპერატორი ლომერ ახვლედიანი; კიოლნის კინოინსტიტუტის პროფესორი – კინორეჟისორი კატრინ ლაური; პოლონელი კინორეჟისორი ეჟი ლიუბახი და კინოკრიტიკოსი მარინა კერესელიძე ფესტივალის მედალი „წმინდა ანდრეას ჯვარი“ მიაკუთვნა ლია დაუშვილის მოკლემეტრაჟიან მხატვრულ ფილმს „ჩარჩო“.

ფესტივალი გაიმართა თბილისის კინოს სახლში 2014 წლის 18-22 ოქტომბერს.

„ჩარჩო“ შევიდა საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ 2014 წელს გადაღებულ ახალი ქართული ფილმების კატალოგში.

64



*ირაკლი აზიკური*

### კადრები მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმიდან „ჩარჩო“



*მანუჩარ მურღველიანი*





## სიკეთის მოციქული...

ჩვენ –  
 არ მოვსულვართ:  
 ალას მიზნით,  
 ალას ფიქრებით...  
 და...  
 ამ ცხოვრების  
 ეკლიან გზებს –  
 კაცურად,  
 მოვლევთ...  
 დადგება: დრო... და...  
 ჩვენ –  
 არც, ერთი,  
 აღარ ვიქნებით...  
 მაგრამ...  
 სიკეთის მოციქულად,  
 დარჩება –  
 ოლე!!!...

**ზარნაოზ რაინაული**

